# არსენალი

№25 (172) 7-20 დეკემბერი, 2012 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გაწვევა 19 წლიდან 12-თვიან ჯარში?

1425
2012

## 500-დოლარიანი „კალაშნიკოვები" რეზერვისთვის თუ ჯარისთვის?

## ქართველი პილოტები აფრიკის ცაში

## გამაგრებული რაიონები საქართველოს საზღვარზე

## ავტომატური რევოლვერი იტალიურად

ეროვნული
ბიბლიოთეკა




18 ეს კანონია

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს
ფილტვის კიბოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

**კალეიდოსკოპი**
4 სამხედრო სიახლეები

**სკანდალი**
7 500-დოლარიანი „კალაშნიკოვები" რეზერვისთვის თუ ჯარისთვის?

**ინტერვიუ**
10 გაწვევა 19 წლიდან 12-თვიან ჯარში — ირაკლი სესიაშვილი

**კადრები**
11 ქართველი პილოტები აფრიკის ცაში

**ინოვაციური ტექნოლოგიები**
13 საბრძოლო რობოტები

**რეგიონი**
16 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

**სპეცსამსახურები**
18 ყინული დაიძრა: ზურაბ ჟვანიას სიკვდილის გამოძიება ბევრ საიდუმლოს ნათელს მოჰფენს

**ინიციატივა**
22 რას მოგვიტანს თბილისი-სოხუმი-მოსკოვის მატარებელი?

**კონფლიქტები, კრიზისები**
25 ფოლკსტადი — სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდი ბრუნდება?

**მეომრები**
30 500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

**XXI საუკუნის ომები**
34 სირიაში სამოქალაქო ომი გამძაფრდა
სირიის ჯავშანსატანკო ჯარები

**სპეცდანაყოფები**
38 საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფი COS-ი

**მფრინავი ინდიელი**
40 კაიოვა ბრძოლის ბილიკზე ბრუნდება

**ორი სტიქიის მბრძანებლები**
43 საგემბანო ავიაცია

**100 დიდი მხედართმთავარი**
46 უილიამ ავგუსტუსი

**დაიცავი თავი**
48 საბრძოლო ხელოვნების ფიზიკური და ფიზიოლოგიური პრინციპები

**სამხედრო ისტორიები**
50 გამაგრებული რაიონები საქართველოს საზღვარზე

**იარაღის გალერეა**
54 ავტომატური რევოლვერი იტალიურად

პალიტრა მედია

## რედაქციისგან

აშშ საქართველოს სტრატეგიული ქარტიის ფარგლებში არსებული უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრის შემდეგ ამერიკული მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ვაშინგტონი მზადაა არა მარტო ქართული არმიის ოფიცრებისა და ჯარისკაცების გადამზადებისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ საქართველოს მიჰყიდოს თავდაცვითი აღჭურვილობა საზღვაო და საჰაერო მონიტორინგის გასაუმჯობესებლად.

აღჭურვილობაში ამერიკელები, ალბათ, უფრო რადიოლოკაციურ სადგურებს გულისხმობენ, რომლითაც მართალია, ვერ ჩამოაგდებ მოწინააღმდეგის ბომბდამშენს, მაგრამ იგი აუცილებელია საჰაერო სამიზნეების აღმოსაჩენად. უცილობლად ეს წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად და ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება.

მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
3.12.2012

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

# ტანკზე მძიმე ქვეითთა საბრძოლო მანქანა



ამერიკელები მოძველებული ქვეითთა საბრძოლო მანქანა (ქსმ) Bradley-ს შეცვლას ეშურებიან და საქმეს ისეთი პირი უჩანს, მისი შემცვლელი ქსმ GCV რეკორდულად მძიმე — 84 ტონა იქნება. ცნობისთვის, ეს 1,3-ჯერ მძიმეა, ვიდრე ტანკი M1A1 Abrams-ი.

მანქანის უჩვეულოდ დიდი წონა უპირველესად განპირობებულია ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების უჩვეულოდ მაღალი დაცვის ხარისხით. და ეს მაშინ, როცა GCV-ის დაცულობის საიდუმლო უპირველესად არა ჯავშნის ფოლადის სისქეში, არამედ აქტიური დაცვის მაღალტექნოლოგიურ, ელექტრომექანიკურ სისტემებში უნდა იყოს.

არაა გამორიცხული, ახალი საბრძოლო მანქანა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ლაზერული სისტემებით, „გონიერი“ დინამიკური დაცვითა და რობოტებითაც აღიჭურვოს.

თითო ასეთი ჯავშანმანქანა, სავარაუდოდ, 13 მლნ დოლარი ეღირება და პირველ ეტაპზე 1800 მანქანის შესყიდვა იგეგმება. GCV ეკიპაჟის გარდა კიდევ 9 მებრძოლს იტევს.

# ადამიანის უფლებათა დამცველები საბრძოლო რობოტების წინააღმდეგ გამოდიან

ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაცია Human Rights Watch-მა 50-გვერდიანი ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც სრულებით ავტონომიური (რობოტიზებული) შეიარაღებისგან მომდინარე საფრთხეზე მიგვანიშნებს. სამხედროების გზავნილი ასეთია, — საბრძოლო რობოტები ვერ შეძლებენ მშვიდობიანი მოსახლეობის მებრძოლებისგან გარჩევას. ანგარიშში ნათქვამია, რომ მანქანები მოკლებული არიან თანაგრძნობის უნარს და არც პასუხისმგებლობას გრძნობენ მიყენებული ზარალის გამო.

ადამიანის უფლებათა დამცველებს მიაჩნიათ, რომ შეიარაღებულ ძალებში საბრძოლო რობოტების გამოჩენა, ერთი მხრივ, სამხედროების სიცოცხლის დაცვაზე ზრუნვას კი ემსახურება, მაგრამ ამან შეიძლება სამხედრო კონფლიქტების გაჩაღებისთვის მორალური პასუხისმგებლობა შეამციროს.

სადღეისოდ სრულყოფილი ავტონომიური საბრძოლო მანქანები არ არის შექმნილი და შესაბამისად, არც რომელიმე ქვეყნის შეიარაღებაშია, თუმცა, მსგავს ტექნოლოგიებზე მუშაობა აშშ-ში, ისრაელში, სამხრეთ კორეაში, ჩინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და რუსეთში უკვე დაწყებულია და რობოტ-მებრძოლების გამოჩენა 20-30 წელიწადშია მოსალოდნელი.



# ვირი ავღანეთის შვეულმფრენია!



თურმე, ავღანეთის მაღალმთიან რაიონებში არმიისთვის ბაზები შეიარაღებითა თუ სურსათ-სანოვაგით, ძირითადად, არა ამერიკული შვეულმფრენებით, არამედ... ვირებით მარაგდება.

როგორც ჩანს, ავღანეთის შეიარაღებული ძალებისთვის, რომლის გაწვრთნა-აღჭურვაზე ამერიკელები მილიონებს არ იშურებენ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, თანაც, სახედარი ამ ქვეყანაში, რიგ შემთხვევებში, უფრო გამოსადეგი და იაფია, ვიდრე თუნდაც ბოლო თაობის საფრენი აპარატი.

ავღანურ არმიაში „დასაქმებული“ ვირების თემა აქტუალური კი მას შემდეგ გახდა, რაც ამერიკელმა სამხედროებმა იმ ბაზების დათვალიერება მოისურვეს, სადაც ადგილობრივები მსახურობენ. ამერიკელები ერთ-ერთ ბაზაში ორი სახედრის დანახვამ გააოცა, — მათ ზურგზე წყლის ცისტერნები ჰქონდათ მოკიდებული.

„ვირები ავღანური შვეულმფრენებია“, — თქვა პროვინცია ყუნარის ბატალიონის მეთაურმა, პოლკოვნიკმა აბდულ ნასერიმ მათ გასაგონად, ვისაც სამხედრო ბაზებში ვირების „სამსახური“ უკვირთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქურთი ამორძალები მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან



თურქებისა და ქურთების კონფლიქტი მეოთხედ საუკუნეზე მეტია გრძელდება. თურქეთის არმიასა და ქურთისტანის შრომის პარტიის მებრძოლებს შორის შეტაკებები 1984 წლიდან დაიწყო და სხვადასხვა ინტენსივობით დღემდე გრძელდება. ქურთებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნა სურთ, თურქეთის ხელისუფლება კი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას ესწრაფვის. ქურთისტანის შრომის პარტია თავის რიგებში ქალი-მებრძოლების მიღებას არ ეწინააღმდეგება. მეტიც, გასული საუკუნის 90-იან წლებში მებრძოლთა 30%-ს სწორედ სუსტი სქესის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

**ცნობისთვის:**

ტრადიციულ ქურთულ კულტურაში ქალი უუფლებოა და მთლიანად მამაკაცზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს არ ვრცელდება არმიაზე, სადაც ქალები მამაკაცებთან ერთად წვრთნას გადიან და პურსაც მათთან ერთად ტეხენ.

რაც შეეხება ამ ფოტოსურათს, ის კოლინ დელფოსმა ერაყში, ქურთთა სამხედრო ბაზაში ყოფნისას გადაიღო. აქ ქალი-მებრძოლები, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან და სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან, სამხედრო და იდეოლოგიურ მომზადებას გადიან.

# გამანადგურებლის ავზის სამეურნეო დანიშნულება

აი, რას ნიშნავს პრაქტიკული ჭკუა! ჩინეთის პროვინცია შანდუნის მცხოვრებმა ჯართიდან გამანადგურებლის საწვავის სათადარიგო ავზი გამოქექა, თავისი სახლის სახურავზე „შემოდო“ და მას როგორც წყლის გამაცხელებელს იყენებს.

აეროპორტის ახლოს მცხოვრები გლეხი სამხედრო საქმის დიდი მოტრფიალე ყოფილა და რაკეტის მსგავსი ავზის ნაგავსაყრელზე აღმოჩენისთანავე უმალ მის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებაზე დაუწყია ფიქრი. და ფაქტია, თავში ორიგინალური იდეაც მოსვლია.

სურათის თანახმად ძნელი გასარჩევია, თავის დროზე რომელ გამანადგურებელს ეკუთვნოდა საწვავის ავზი, სავარაუდოდ, ის საბჭოთა კონსტრუქტორების შექმნილი საბრძოლო თვითმფრინავის ნაწილი უნდა ყოფილიყო.



# თალიბებმა „ფეისბუკი“ წარმატებით აითვისეს



სოციალურ ქსელებს საქმეში თურმე მოძრაობა „თალიბანის“ წევრებიც მოიხმარენ. თუკი უწინ მხოლოდ პაკისტანურ სერვერებზე არსებული საინფორმაციო ინტერნეტ-რესურსებით შემოიფარგლებოდნენ, ახლა მათ „თვითერის“ მიკრობლოგების სერვისი და „ფეისბუკიც“ აითვისეს, რომლის მეშვეობით ავღანეთში მყოფ NATO-ს სამხედროებზე ინფორმაციას აგროვებენ.

თურმე მოძრაობის წევრები მომხიბლავი გოგონების ფოტოსურათებით ყალბ აქაუნთებს ქმნიან და შემდეგ NATO-ს კონტინგენტის წარმომადგენლებს „იმეგობრებენ“. „გოგონებთან“ მიწერ-მოწერაში ჯარისკაცები თავიანთი ადგილსამყოფლისა და სხვა პირადი მონაცემების შესახებ ინფორმაციას გასცემენ, რასაც შემდეგ ბოევიკები შეიარაღებული თავდასხმისთვის იყენებენ.

ინტერნეტის ქსელიდან მომდინარე საფრთხეებზე უკვე სერიოზულად დაფიქრდა საერთაშორისო კოალიციის ხელმძღვანელობა. თავის მხრივ, ავსტრალიის თავდაცვის სამინისტრომ უკვე გამოაცხადა, რომ თავის ჯარისკაცებს დაურიგებს ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა „მოიქცნენ“ ინტერნეტით სარგებლობისას სამსახურის პერიოდში.

# ბრიტანელებს „ფორმულა 1“-ის ინჟინერთა დახმარებით შექმნილი ჯავშანმანქანა მოსწონთ

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო კომპანია General Dynamics-ს დამატებით 50 მლნ გირვანქა სტერლინგის 50 დაჯავშნულ მსუბუქ ავტომობილ Foxhound-ს დაუკვეთს.

მანქანა Foxhound-ის (ასევე ცნობილი სახელით Ocelot-ი) შექმნაზე General Dynamics-ის შვილობილმა ბრიტანულმა კომპანიამ იზრუნა, რაშიც „ფორმულა 1“-ის ინჟინრები და რალის რბოლების სპეციალისტებიც დაიხმარა.

თუმცა, მანქანა სულ რაღაც 132 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, სამაგიეროდ, რაც მთავარია, თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების ზემოქმედებისგან კარგად არის დაცული.

ამრიგად, მთლიანობაში დიდი ბრიტანეთის ჯავშანმანქანების პარკში 370 ერთეულზე მეტი Foxhound-ი იქნება. მათი გამოყენება იგეგმება როგორც ავღანეთში, ისე სხვა რეგიონებში.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული

# გერმანულმა პოლიციამ „ავტობანის მონადირეზე“ ინფორმაციისთვის ჯილდოდ 100 ათასი ევრო დააწესა



თავისი თავსატეხი გერმანელ სამართალდამცველებსაც აქვთ. აგერ, 2008 წლიდან დღემდე ვერ დაუდგენიათ, ვინ არის ის ბოროტმოქმედი, ქვეყნის ავტობანებზე მოძრავ ავტომშხიდებს გასართობად ცეცხლსასროლ იარაღს რომ ესვრის.

არადა, ამ ოთხი წლის განმავლობაში უკვე 700-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა და პოლიციას დამნაშავის საპოვნელად ხელჩასაჭიდი აქამდე არაფერი აქვს. როგორც წესი, ისვრიან 22 კალიბრის იარაღს, სამიზნეები კი მეტწილად სატვირთო, სამშენებლო ავტომობილები და ფურგონებია. საინტერესოა, რომ ბოროტმოქმედი აშკარად არ ცდილობს ავტომობილის მძღოლისა თუ მასში მყოფებისთვის ზიანის მიყენებას, თუმცა, ერთხელ „არ გაუმართლა“ და ტყვია ავტომობილში მყოფ ასაკოვან ქალს მოხვდა.

შარშან გერმანელმა სამართალდამცველებმა, სხვა რომ ვერაფერი გააწყვეს, „ავტობანის მონადირეზე“ ინფორმაციის მიწოდებისთვის ჯილდოდ 27 ათასი ევრო დააწესეს. ამან არ გაამართლა და აი, ახლა თანხის ოდენობა ერთბაშად 100 ათას ევრომდე გაზარდეს.



# მისი უდიდებულესობა სტუმრად „მხედრიონთან“

ნოემბრის მიწურულს დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II უინძორის სასახლის ახლოს დისლოცირებულ სამეფო გვარდიის ელიტურ ნაწილს — სასახლის კავალერიას ეწვია.

ნაწილის დასახელება და ჯარისკაცთა აღკაზმულობა შეცდომაში ნუ შეგიყვანთ — სასახლის კავალერია (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაც) სამეფო ოჯახს კი ემსახურება, თუმცა, ამ ნაწილს თანამედროვეობის სამხედრო კონფლიქტებში მიღებული საბრძოლო გამოცდილებაც საკმაო აქვს. მისი ჯარისკაცები იყვნენ ბოსნიაში, ერაყში, ავღანეთში...

სხვათა შორის, სწორედ სასახლის კავალერიაში დაიწყო სამხედრო სამსახური თავის დროზე უელსის პრინცმა ჰარიმაც.

ცნობისთვის: სწორედ ამ ნაწილის სნაიპერს ეკუთვნის ყველაზე შორ მანძილზე მომაკვდინებელი გასროლის რეკორდი — 2009 წელს კაპრალ-კავალერისტმა კრეიგ ჰარისონმა თალიბთა მეტყვიამფრქვევე 2475 მ-ში გააგორა.

რაც შეეხება ნაწილში მისი უდიდებულესობის ვიზიტს, დედოფალზე დიდი შთაბეჭდილება ვეებერთელა ტყვიამფრქვევმა მოახდინა.





# მექსიკელმა სამხედროებმა შეტაკების დროს „მის მექსიკა“ მოკლეს

ახლახან მექსიკის დასავლეთით, ქალაქ მოკორიტოში სამხედროებსა და ნარკომოვაჭრეთა დაჯგუფებას შორის მორიგი სისხლიანი შეტაკება მოხდა, რაც უკვე აღარავის უკვირს და არც ამ ამბავში იქნებოდა რაიმე უჩვეულო, რომ არა ერთი გარემოება — შეტაკებას სილამაზის კონკურსის გამარჯვებული, 20 წლის მარია სუსანა ფლორეს გამესი შეეწირა.

შეტაკებისას მექსიკელი მზეთუნახავი დამნაშავეთა შორის იყო. სამართალდამცველები დანამდვილებით ჯერ ვერ ამბობენ, გოგონაც უწევდათ თუ არა შეიარაღებულ წინააღმდეგობას, თუმცა, საინტერესოა, რომ შემთხვევის ადგილზე მისულებს მოკლული გოგონას გვერდით დაგდებული ავტომატი დახვდათ.

მარია სინალოას შტატის სილამაზის კონკურსის გამარჯვებული 2012 წლის თებერვალში გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 500-დოლარიანი „კალაშნიკოვები“ რეზერვისთვის თუ ჯარისთვის?



## პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი წინა ხელისუფლებას ათჯერ ძვირად უვარგისი „კალაშნიკოვების“ შეძენას აბრალებს, ყოფილი თავდაცვის მინისტრი შაშკინი კი აცხადებს, რომ „კალაშნიკოვები“ რეზერვისთვის იყო განკუთვნილი

28 ნოემბერს მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა: „როგორც აღმოჩნდა, ყოფილმა ხელისუფლებამ ენ რაოდენობის უძველესი ტიპის „კალაშნიკოვის“ ავტომატები ათმაგ ფასში შეიძინა და მასში 42 მლნ ლარი გადაიხადა. ასევე 3 მილიონამდე იყო გადარიცხული რაღაც ტანკზე. მეორედ ტანკზე ჩვენ აღარ გადავრიცხავთ, მაგრამ ამ ტიპის გაუაზრებელმა ხარჯებმა, რომელიც ბიუჯეტში არ იყო გაწერილი, იძულებული გაგვხადა, თავდაცვის სამინისტროსთვის 52 მლნ თავიდან გამოგვეყო“.

ფაქტობრივად, ამ განცხადებით ივანიშვილმა ბრალი დასდო სააკაშვილის ხელისუფლებას იმაში, რომ წინასწარ დაუგეგმავად და ამასთან, ათჯერ ძვირად მოძველებული შეიარაღება იყიდა.

ბრალდებაში არ არის დაკონკრეტებული არც „კალაშნიკოვების“ რაოდენობა, არც მათი ტიპი და არც თითოეული შეძენილი ავტომატის ფასი.

თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თითოეული „კალაშნიკოვი“, სავარაუდოდ, 500 დოლარის ფარგლებშია შეძენილი. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, „კალაშნიკოვის“ რომელი მოდელი — 7,62 მმ კალიბრიანი AKM-ები თუ 5,45 მმ-იანი AK-74-ები შეიძინეს, თუმცა, თითოეულ მათგანში თითქმის 800 დოლარის გადახდა მართლაც მეტისმეტია. მით უმეტეს, თუკი ავტომატების შეძენაში 42 მლნ ლარამდე დაიხარჯა, გამოდის, კონტრაქტი არანაკლებ 50-52 ათასი „კალაშნიკოვის“ მოწოდებას ითვალისწინებდა, ხოლო ამხელა პარტიის ყიდვისას, როგორც წესი, თითოეული ეგზემპლარის ფასი დაბლა იწევს.

მსოფლიო იარაღის ბაზარზე ლეგალურად შეიარაღების დიდი პარტიის ყიდვისას „კალაშნიკოვის“ ფასი იშვიათად თუ აჭარბებს 150-200 დოლარს, ხშირად კი უფრო ნაკლებიც ღირს (თუკი იარაღი ნახმარია). ასე რომ, სავარაუდოდ, თითოეულ „კალაშნიკოვში“, თუკი ისინი მართლაც 500 დოლარად შეიძინეს, 2-3-ჯერ მეტი მაინცაა გადახდილი.

გაეროს სპეციალური რეესტრის მონაცემებით, რომელიც ჩვეულებრივი შეიარაღების ექსპორტ-იმპორტს ითვლის, 2005-2010 წლებში სამხრეთ კავკასიიდან ყველაზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი საქართველომ იყიდა. 5 წლის განმავლობაში ოფიციალურმა თბილისმა შვიდი ქვეყნიდან 76 377 ერთეული სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი იყიდა. ყველაზე მეტ იარაღს ქართული მხარე უკრაინასა და ბულგარეთში ყიდულობდა, ძირითადად, „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატებს, აშშ-ში კი იყიდა 20 ცალი მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა „ბარეტი“ და 5 ათასი ავტომატური შაშხანა M4.

სხვა საკითხია, თუ რომელი კატეგორიის იყო „კალაშნიკოვების“ ამხელა პარტია.

ქარხანაში დამზადებული „კალაშნიკოვი“ პირველ კატეგორიას მიეკუთვნება, სამხედრო ნაწილში გაგზავნილი



პირველი ამერიკული M4-ები ქართულ ჯარში 2008 წლის დასაწყისში გამოჩნდა

იარაღი მეორე კატეგორიაში გადადის. სასწავლო სროლების შემდეგ იგი მესამე კატეგორიაში გადაინაცვლებს, ხოლო როდესაც ავტომატს უკვე 10 ათასზე მეტი ტყვია აქვს გასროლილი, იგი მეოთხე კატეგორიისაა და ჩამოწერას ექვემდებარება. ძნელი სათქმელია, რა იგულისხმა პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა, როდესაც წინა ხელისუფლების მიერ შეძენილი „კალაშნიკოვები“ უძველეს ტიპად მოიხსენია, შეიძლება ის სწორედ იმას უსვამდა ხაზს, რომ ეს „კალაშნიკოვები“ ნახმარი იყო.

პრემიერ-მინისტრის მწვავე განცხადებას რამდენიმე დღეში „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა უპასუხა. შაშკინის განცხადებით, „კალაშნიკოვების“ ეს პარტია ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროს იყიდეს, თუმცა, თავად რამდენიმეთვიანი მინისტრობის დროს მოასწრო, შეეკვეთა ამერიკული ავტომატური კარაბინ M4-ების პარტია იმ ქართველი სამხედროებისთვის, ვინც ავღანეთში ISAF-ის ოპერაციაში მონაწილეობს.

შაშკინი თავის წერილში აღიარებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მოწინააღმდეგემ ქართული სამხედრო ბაზებიდან იარაღიც გაზიდა. ამიტომაც „კალაშნიკოვების“ ეს დიდი პარტია იყიდეს რეზერვისთვის, რადგან სამხედრო ექსპერტების რჩევით რეზერვისტებს გაუჭირდებოდათ უფრო რთული ამერიკული M4-ების ათვისება და ამასთან, პარტიზანული ომის შემთხვევაში „კალაშნიკოვიან“ რეზერვისტებს გაუადვილდებოდათ ტყვია-წამლის მარაგის შევსება, რადგან რუსეთის არმიაც „კალაშნიკოვებითაა“ შეიარაღებულიო.

2008 წლის აგვისტოს ომის წინ მაშინდელმა ხელისუფლებამ მართლაც შეიძინა რამდენიმე ათასი „ბუშმასტერის“ ფირმის M4 ტიპის ავტომატური შაშხანა. მიუხედავად ამისა, აგვისტოს ომის დროს ქართული არმიისა და პოლიციის დანაყოფები, ძირითადად, მაინც „კალაშნიკოვებს“ იყენებდნენ, ხოლო ძვირად ღირებული ამერიკული M4-ები (თითოეულ მათგანში დაახლოებით 800 დოლარი იყო გადახდილი), სამხედრო ბაზების საიარაღო ოთახებში ინახებოდა.

რუსეთის საბრძოლო დანაყოფებმა გორის პირველი ქვეითი ბრიგადის, ასევე საარტილერიო ბრიგადისა და სენაკის მე-2 ქვეითი ბრიგადის საწყობებიდან დაახლოებით სამი ათასი M4 წაიღეს.

აგვისტოს ომის შემდგომ საქართველოს მიმართ ერთგვარი გამოუცხადებელი ემბარგო ამოქმედდა, როდესაც ევროპის ზოგიერთი ქვეყანა კრემლის პოლიტიკური ზეწოლის გამო




რუსეთის მიერ აგვისტოს ომის დროს გატანილი ქართული არმიის „კალაშნიკოვები“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილი თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი ირწმუნება, რომ „კალაშნიკოვები“ ე. წ. თეთრ ბაზარზე, აბსოლუტურად კანონიერად იყიდეს: „არსებობს ინფორმაცია გამყიდველზე და თუ ვინმე ფასის საკითხით დაინტერესდება, ეს ძალიან ადვილად გადასამოწმებელი ინფორმაციაა, რადგან იარაღის „თეთრი ბაზარი“ მკაცრად გაკონტროლებული და რეგლამენტირებულია“.

ჩვენ ვცადეთ გაეროს ჩვეულებრივი შეიარაღების რეესტრში გადაგვემოწმებინა ინფორმაცია, თუ რომელ ქვეყანაში და რამდენი „კალაშნიკოვი“ შეიძინა საქართველომ ბოლო წლებში. თუმცა, არც 2011 და 2012 წლების მონაცემებში არსად ფიგურირებს საქართველო, როგორც „კალაშნიკოვების“ დიდი პარტიის იმპორტიორი ქვეყანა.

ბოლო ოფიციალური მონაცემები, რომლებიც საქართველომ გაეროს ჩვეულებრივი შეიარაღების რეესტრში წარადგინა, 2008 წლის 7 ივლისითაა დათარიღებული და მოიცავს შეიარაღებისა და საჭურვლის იმ სიას, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საქართველომ 2007 წელს შეისყიდა.

სხვადასხვა შეიარაღების (მათ შორის ტანკების, არტილერიისა თუ საზენიტო-სარაკეტო სისტემების) გარდა, იქ მითითებულია, რომ საქართველომ 2007 წელს უკრაინისგან იყიდა 19 416 ცალი 5,45 მმ კალიბრის AK-74 (სავარაუდოდ, დასაკეცკონდახიანი AKC-74-ებიც) ტიპის ავტომატი, ბულგარეთიდან 3500 ცალი 5,45 მმ კალიბრის AR-M1 („კალაშნიკოვის“ ბულგარული ვარიანტი) და აშშ-იდან 4 ათასი 5,56 მმ კალიბრის M4A3 ტიპის ავტომატური კარაბინები.

სინამდვილეში, 2008 წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას აღარ მიუწოდებია გაეროს ჩვეულებრივი შეიარაღების რეესტრისთვის ოფიციალური ინფორმაცია შეიარაღების ექსპორტ-იმპორტის შესახებ. ინფორმაციის ყოველწლიურად მიწოდება გაეროს ჩვეულებრივი შეიარაღების რეესტრისთვის ნებაყოფლობითია, თუმცა, ქვეყნები, რომლებიც მალავენ იარაღის გაყიდვა-ყიდვის ფაქტებს, გაეროს უშიშროების საბჭოში დიდი სიმპათიით არ სარგებლობენ.

2007 წელს უკრაინიდან და ბულგარეთიდან ნაყიდი 23 ათასამდე „კალაშნიკოვი“ ვერ გახდებოდა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განრისხების საკითხი, რადგან ის წლევანდელი 2012 წლის თავდაცვის ბიუჯეტიდან „კალაშნიკოვებზე“ გახარჯულ 42 მლნ ლარზე ამახვილებდა ყურადღებას.

ისე, ცნობისათვის: 2006 წელს საქართველოს უკრაინისგან ნაყიდი აქვს 10 ათასი AKM და 11.700 ცალი AK-74.

თავს იკავებდა თბილისისთვის შეიარაღებისა და ტყვია-წამლის პარტიების მიყიდვისგან, რამაც გაართულა M4-ების მარაგის ისე შევსება, რომ ის ქართული არმიის ყველა დანაყოფს ჰყოფნოდა შესაიარაღებლად.

საერთოდ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ძალზე არასახარბიელო ვითარებაა — ერთდროულად მიმოქცევაშია ათამდე სხვადასხვა კალიბრისა და ტიპის ვაზნა, რაც ძალზე ართულებს საბრძოლო დანაყოფების ლოჯისტიკურ მომსახურებას.

არმიის შეიარაღებაშია 9X18 მმ ტიპის ვაზნები „მაკაროვის“ პისტოლეტისთვის; 7,62X39 მმ ტიპის ვაზნები AKM-ისთვის და 7,62X51 NATO-ს ტიპის ვაზნები; 5,45X39 მმ ვაზნები AKC-74-ისთვის და 5,56X45 NATO ტიპის ვაზნები M4-ისა და Negev-ის ტყვიამფრქვევისთვის; 7,62X54R ვაზნები СВД-ს სნაიპერული შაშხანისა და ПКМ-ის ტყვიამფრქვევისთვის: 12,7X108 მმ კალიბრის ვაზნები მსხვილკალიბრიანი საბჭოთა წარმოების ტყვიამფრქვევებისა და 12,7X99 (.50BMG) „ბრაუნინგის“ ვაზნები დასავლური წარმოების მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებისთვის.

ამდენი კალიბრისა და ტიპის ვაზნა შეიარაღებაში დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული და უფრო უპრიანია, არმიას ჰქონდეს თითო-თითო ტიპის ვაზნა პისტოლეტისთვის, ავტომატისთვის, ტყვიამფრქვევისა და სნაიპერული შაშხანებისთვის, და არა ერთი დანაყოფი „კალაშნიკოვებით“ იყოს შეიარაღებული, ხოლო მეორე კი M4-ებით.

***ირაკლი ალადაშვილი***



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გაწვევა 19 წლიდან 12-თვიან ჯარში — ირაკლი სესიაშვილი

**თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი სესიაშვილის განცხადებამ გაწვევასა და სარეზერვო სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების შესახებ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. სესიაშვილის შეფასებით, დღეს არსებული სისტემა არაეფექტურია. თუ რა ძირეული ცვლილებები და რეფორმები იგეგმება თავდაცვის სამინისტროში, ამის შესახებ ირაკლი სესიაშვილი გვესაუბრება:**

**— ბატონო ირაკლი, თქვენ განაცხადეთ, რომ უნდა შეიცვალოს სავალდებულო სამსახურში გაწვევის ასაკის ქვედა ზღვარი. დაგვიზუსტეთ, რა ასაკია ამისთვის მისაღები?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ ცალკეული რეფორმა არ უნდა განხორციელდეს და ყველა საკითხის გადაწყვეტა კომპლექსურად უნდა მოხდეს. ჩვენი ამოცანაა, შევჯერდეთ შეიარაღებული ძალების რეფორმირების იმ გზაზე, რომელიც NATO-სა და დანარჩენ პარტნიორებთან თანამშრომლობის ფარგლებში უნდა განვახორციელოთ. მას შემდეგ, რაც ჩამოვყალიბდებით, თუ რა ტიპის შეიარაღებული ძალები გვეყოლება, როგორი იქნება სავალდებულო და სამხედრო-საკონტრაქტო სამსახური და შესაბამისი მიზნების მიღწევას რა ვადა დასჭირდება, ასევე როგორი იქნება რეზერვი, სრულყოფილი სისტემის აგების საშუალებაც გვექნება.

რაც შეეხება გაწვევის ასაკს, სავალდებულო სამხედრო სამსახური მოქალაქეებს დისკომფორტს არ უნდა უქმნიდეს. 18 წლის ასაკში წვევამდელი სკოლას ამთავრებს და კანონის შესაბამისად ის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას ექვემდებარება. მას უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების საშუალება აღარ ექნება, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო მას განათლების მიღებას უზღუდავს. მას შემდეგ, რაც ის შეიარაღებული ძალებიდან დაბრუნდება, სკოლაში მიღებული განათლების თავიდან მიღება უწევს. ჩემი ინიციატივაა, რომ სამხედრო გაწვევა 19 წლის ასაკიდან დაიწყოს. თუნდაც იმიტომ, რომ მათი ძვლოვანი ჩამოყალიბება ჯერ კიდევ გრძელდება, გარდა ამისა, როგორც მეთაურები აცხადებენ, 19-20 წელი ჯარის განვითარებისთვის საუკეთესო ასაკია. მომავალი გვიჩვენებს, ამ ინიციატივას მხარს დაუჭერს თუ არა მთავრობა ან პარლამენტი.

**— რაც შეეხება სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადას, რომლის შემცირებაც იგეგმებოდა...**

— მას შემდეგ, რაც შეიარაღებული ძალების რეფორმირება დაიწყება, უკვე შეგვეძლება გაწვევის ვადის ეტაპობრივი შემცირება დავიწყოთ. ამ დროისთვის არის 15 თვე, ხოლო მას შემდეგ, რაც რეფორმის გეგმა იქნება წარმოდგენილი, შესაძლოა, 12-თვიანზე გადავიდეთ.

**— წინა ხელისუფლების მიერ დადგენილი კანონის თანახმად, გადავადება 2 ათასი ლარი ღირდა. ამ საკითხის გადახედვა თუ იგეგმება?**

— კი, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან კანონის ეს მუხლები დისკრიმინაციულია, ვინაიდან შესაძლოა, ვიღაცას ამ თანხის გადახდის საშუალება არც ჰქონდეს. ჩემი აზრით, გადავადების მოსაკრებელი უნდა გაუქმდეს, თუმცა, ეს არის ჩემი პოზიცია და იმედია, ჩემი კოლეგებიც გაიზიარებენ.

ასევე ვაპირებთ გადავხედოთ სარეზერვო სისტემას, საჭიროა მისი სწორად დაგეგმვა და ორგანიზება. საველე რეჟიმში უნდა მოხდეს ალტერნატიული შრომითი სამსახურის სისტემის რეფორმირება. მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ალტერნატიული შრომითი სამსახურის რეზერვს, რომელიც კანონში კი არის შეტანილი, მაგრამ პრაქტიკაში ვერ ვახორციელებთ.

**— აქტუალური რჩება სამხედრო ომბუდსმენის თემა. როგორია ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით თქვენი მიდგომა?**

— ეს საკითხი რჩება ჩვენი ყურადღების ცენტრში და რამდენიმე დღეში საკომიტეტო მოსმენას ვგეგმავთ, თუმცა, კანდიდატურაზე ლაპარაკი ნაადრევია.

**ლალი პაპასკირი**

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი პილოტები აფრიკის ცაში

## რატომ დაითხოვეს ქართველი სამხედრო პილოტები

ალბათ, არავინ დაობს იმაზე, რომ ქართულ სამხედრო ავიაციას მოიერიშეები თითზე ჩამოსათვლელად დარჩა. ამის მიზეზი თავდაცვის სამინისტროს წინა ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული „წმენდაა“. თუ რის გამო დაითხოვეს 2010 წლის შემოდგომაზე ოთხი სამხედრო პილოტი, ამის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები ვრცელდება. თავად პილოტები ამ ფაქტს სამხედრო პოლიციის უხეში ჩარევით ხსნიან, მეორე ვერსიით კი გიგი კალანდაძემ „ნათესაური კლანების“ წინააღმდეგ გაილაშქრა.

არადა, გათავისუფლებულ მფრინავებს შორის ის ორი მოიერიშეც მოხვდა, ვინც 8 აგვისტოს დილას ერთადერთი საბრძოლო გაფრენა შეასრულა.

ქართული ავიაციიდან გამოშვების შემდეგ, მალხაზ ტაბატაძემ და ტრიფონ წიქარიშვილმა აფრიკის ერთ-ერთი რესპუბლიკის საჰაერო ძალებში დაიწყეს სამსახური და თავის გამოცდილებას ადგილობრივ სამხედროებს უზიარებენ. საქმე ის არის, რომ უცხო მხარეში ქართველ სამხედროებს კარგი დაფასება და მატერიალური ანაზღაურება აქვთ. ჩვენ მათ აფრიკაში ინტერნეტის საშუალებით დავუკავშირდით და წასვლის მიზეზებსა და იქ არსებულ სამხედრო პირობებზე ვკითხეთ.

თუმცა, სანამ ჩვენს მკითხველს ქართველი სამხედროების აფრიკულ კარიერაზე მოვუთხრობდეთ, აღვნიშნავთ, რომ თავშესაფრის უცხოეთში ძიების მათი გადაწყვეტილება სხვა სამხედროებისთვისაც სტიმული გახდა და შესაძლოა, საქართველო კიდევ რამდენიმე კვალიფიციურმა სამხედრო მფრინავი დატოვოს. არადა, ვისაც ამ საქმეში რაღაც გაეგება, ისიც ეცოდინება, რომ სამხედრო პილოტების მომზადება სახელმწიფოს უზარმაზარი თანხა უჯდება.

იმედია, თავდაცვის სამინისტრო არსებულ ვითარებას ჯეროვნად შეაფასებს და სახელმწიფოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს.

**მალხაზ ტაბატაძე, სამხედრო პილოტი:**

— შეიარაღებული ძალებიდან ახსნა-განმარტების გარეშე დაგვითხოვეს. 2010 წლის 14 ოქტომბერს მარნეულის ბრიგადაში შემოსულან. მე ამ დროს ვაზიანის VI ბრიგადაში ვიყავი, სადაც ყოველკვირეულ ბრიფინგს ვატარებდი. შტაბის უფროსმა შემატყობინა, რომ მოსულა სახმელეთო ჯარების სარდლობა გიგი კალანდაძის ხელმძღვანელობით. ბრიგადაში დაბრუნებულს ისეთი სიტუაცია დამხვდა, ვიფიქრე, სპეცოპერაცია ხომ არ ტარდება-მეთქი. უამრავი სამხედრო მოსამსახურე ირეოდა, ბევრს არც კი ვიცნობდი, მხოლოდ ერთი ნაცნობი, კაპიტანი კედელაშვილი დამხვდა. ვკითხე, რა ხდება-მეთქი, მაგრამ პასუხი არავინ გამცა, არც მათი შემოსვლის მოტივი აუხსნია ვინმეს. ბრიგადის ტერიტორიაზე სრული ქაოსი იყო. მერე გამოიყვანეს ჩემი მოადგილეები და მთელი ბრიგადის წინაშე კედელაშვილმა, რომელიც განსაკუთრებით აქტიურობდა, შტაბის უფროსი უშვერი სიტყვებით გალანძღა. უხამსი გინების კორიანტელი მერეც გაგრძელდა.

**— შეურაცხყოფა თქვენც მოგაყენეს?**

— არა, შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ, გიგი კალანდაძემ მკითხა, რატომ ვმალავდი იმას, რომ ჩემს ნაწილში ნათესავები, მეგობრები და ოჯახის ახლობლები მყავდა დასაქმებული. მითხრა, რომ ჩემი პროტექციით მოყვანილი ადამიანების სია ჩამომეწერა, ასეთი კი მხოლოდ ორი პირი იყო, — ერთი შეიარაღებების მექანიკოსი, მეორე კი საქმის მწარმოებელი გოგონა. ამის შემდეგ მთხოვა, შვებულებაში წასვლის შესახებ პატაკი დამეწერა და იქვე დასძინა, რომ კაბინეტიც დამეცალა, ვინაიდან შვებულებიდან, სავარაუდოდ, ველარ დაბრუნდებიო. კალანდაძეს კიდევ ერთხელ ვკითხე, ბატონო გიგი, გამაგებინეთ, რა ხდება-მეთქი. მე ახსნა-განმარტებებს არ ვიძლევი, პირიქით, თქვენ უნდა მომცეთო. მკითხეთ და თუ რამე გაურკვევლობაა, რამე დანაშაული მედება ბრალად, მზად ვარ, გიპასუხოთ-მეთქი. ყველა სიტყვაზე კედელაშვილი მეპასუხებოდა. როდესაც ჩემს კაბინეტში შევედი, კალანდაძე და გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი, გვარად სამადაშვილი შემომყვნენ. მათ წოდებას თავად ვხვდებოდი, თორემ ისინი ჩემთვის არავის წარმოუდგენია. დავწერე საშვებულებო პატაკი, იარაღი ჩავაბარე და პირადი ნივთები მოვაგროვე. სამსახურებრივ მანქანაში ჩავჯექი და წამოვედი.

**— თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან მანამდე გქონიათ კონფლიქტი? რას უკავშირებთ სამსახურიდან გათავისუფლებას?**

— გიგი კალანდაძეს იმ დროიდან ვიცნობდი, როდესაც ბრიგადის მეთაური იყო. საჩხერეში ორი კვირით ვიყავით წასული მეთაურების შეკრებაზე და საკმაოდ კარგი, შეიძლება ითქვას, მეგობრული ურთიერთობაც მქონდა. სანამ სახმელეთო ჯარების სარდალი გახდებოდა, 2006-07 წლებში, რამდენჯერმე სხვადასხვა შეხვედრაზე, თათბირსა და ოფიციალურ სუფრაზეც შევხვედრივართ



მალხაზ ტაბატაძე

და საკმაოდ თბილადაც. მაშინ, როდესაც ის სახმელეთო ჯარების სარდალი იყო, ჩვენი ბრიგადა მას ექვემდებარებოდა და საქმიანი შეხვედრები გვქონდა. რა შეიცვალა ომის შემდეგ, ვერ გეტყვით.

ჩემი აზრით, სხვების დათხოვნის ხარჯზე დაახლოებული სამხედრო პირების დასაქმება-დაწინაურება უნდოდათ. ამით კი ერთ კაცს მთელი ჯარის გაკონტროლების საშუალება მიეცემოდა, დაშინებული სამხედროები ნებისმიერ სწორ თუ არასწორ ბრძანებას უსიტყვოდ შეასრულებდნენ. არსებობს კიდევ ერთი ვერსია, — მე ყველა სამხედრო პერსონალს დიდ პატივს ვცემ და არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ **სახმელეთო ჯარების დაქვემდებარებაში სამხედრო ავიაციის გადაყვანა მიზანშეწონილად არასდროს მიმაჩნდა, რადგან საჰაერო ძალები არის შეიარაღებული ძალების სპეციფიკური სახეობა, რომელსაც ავიაციაში გამოცდილი სამხედრო მხედართმთავრობა უნდა ხელმძღვანელობდეს.** მათ კი სათავეში თანატოლი ბიჭები მოიყვანეს. არც სხვა თანამდებობაზე მუშაობის წინააღმდეგი ვყოფილვარ, მაგრამ არაფერი შემოუთავაზებიათ და არც შევხვეწნივარ არავის, რადგან 18 წლის განმავლობაში საჰაერო ძალებში ვიყავი და ჩემს ქვეყანაში თუ ვერა, სხვაგან მაინც ვიპოვიდი სამსახურს.

შემდეგ გავიგე, რომ თავდაცვის მაშინდელ მინისტრს ჩემი თანამდებობიდან გადაყენება და არა გათავისუფლება უბრძანებია, მაგრამ გიგი კალანდაძემ გადაწყვეტილება თვითნებურად მიიღო.

**— 2008 წლის ომის დროს სად იყავით და რა დავალება გქონდათ?**

— 2008 წლის 8 აგვისტოს მხოლოდ ერთი საბრძოლო გაფრენის საშუალება მოგვეცა, რადგან ასეთი იყო სარდლობის ბრძანება... დაახლოებით დილის 6 საათზე ჩვენმა მოიერიშე თვითმფრინავებმა ცხინვალისკენ მიმავალ რუსულ ჯავშანკოლონას ჯავასთან დაარტყა. ამან ჩვენი შეიარაღებული ნაწილების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაარჩინა და მოწინააღმდეგე ფსიქოლოგიურად გატეხა.

აეროდრომზე უდანაკარგოდ დავბრუნდით და მზად ვიყავით (მას შემდეგ, რაც საწვავისა და ბომბების მარაგს შევავსებდით) მოწინააღმდეგისთვის განმეორებითი დარტყმა მიგვეყენებინა. უკვე ასაფრენად მზად ვიყავით, როდესაც სარდლობამ (კონკრეტული პირების დასახელებისგან თავს შევიკავებ) საბრძოლო გაფრენაზე უარი გვითხრა. შემდეგ კი, კიდევ კარგი, მოიერიშეები აეროდრომების სხვადასხვა ნაწილში გადამალეს და შენიღბეს.

**— აფრიკის რომელ რესპუბლიკაში ხართ და რა გზები გაიარეთ იქ მოსახვედრად?**

— რესპუბლიკის დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ აქ მოხვედრა პრობლემა არ ყოფილა. **ინტერნეტსაიტებზე შევიტანეთ ჩვენი მონაცემები და გამოგვეხმაურნენ. არის ქვეყნები, სადაც სამხედრო მფრინავები სჭირდებათ. უკვე მეოთხე თვეა, რაც აფრიკაში სამხედრო ინსტრუქტორებად ვმუშაობთ, თეორიულ კურსსაც ვკითხულობთ და პრაქტიკასაც ვატარებთ. დიდი პატივისცემით ვსარგებლობთ. საკმაოდ კარგი ანაზღაურება გვაქვს. საქართველოში ასეთი დაფასება ნამდვილად არ გვქონია.**

**— ახლა, როდესაც ხელისუფლება და თავდაცვის ხელმძღვანელობა შეიცვალა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დაბრუნებაზე არ ფიქრობთ?**

— თუ საქართველოს ჩემი გამოცდილება გამოადგება, არც დავფიქრდები, ისე წამოვალ საქართველოში, მაგრამ ჯერჯერობით დაბრუნებისათვის სიტუაციას ვერ ვხედავ. იმედია, თავდაცვის ახალი მინისტრი ბოლომდე შეისწავლის შეიარაღებულ ძალებში არსებულ ვითარებას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. მას კარგად ვიცნობ და მისი საქმისადმი დამოკიდებულებაც ვიცი.

**ტრიფონ წიქარიშვილი, ვიცე-პოლკოვნიკი, სამხედრო პილოტი:**

— ერთ-ერთ თათბირზე გიგი კალანდაძემ გამომიცხადა, დათხოვნილი ხართო, მერე კი დასძინა, მე თქვენ გიჩვენებთ კლანურ შეკრებასო. ჩემი ქვისლი შეიარაღებულ ძალებში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ **საქმე ის არის, რომ სამხედრო სამსახურში ჯერ კიდევ დაოჯახებამდე ვიყავით. მერე დავოჯახდით დებზე და დავნათესავდით, მაშინ რა ვიცოდით, რომ ეს ჩვენი საბედისწერო შეცდომა იქნებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ისე კი გათავისუფლების მიზეზად ეს დაგვისახელეს...** მას შემდეგ კარგა ხანს რაღაცის მოლოდინში ვიყავით, მაგრამ არაფერი შეცვლილა. აფრიკაში მეც იმავე გზით მოვხვდი, როგორც მალხაზ ტაბატაძე. გავიგე, რომ აფრიკის ერთ-ერთ რესპუბლიკაში სამხედრო მფრინავები სჭირდებოდათ, გავგზავნე მონაცემები და მიწვევა მომივიდა. გავრისკეთ და წამოვედით. მეოთხე თვეა აქა ვართ. აქ ახლა ზაფხული მოდის. აკლიმატიზაცია უკვე გავიარეთ. თარჯიმანიც გვყავს, ნორმალური საცხოვრებელი პირობები შეგვიქმნეს და ჩვენც ვცდილობთ, გამოცდილება აქაურ სამხედროებს გავუზიაროთ.

**— ალბათ, სრულიად განსხვავებულია მათი სამხედრო პოლიტიკა, მოტივაცია, განათლება და სტრატეგია...**

— დიახ, განსხვავება ძალიან დიდია. საქართველოს არმია, საჰაერო ძალები ბევრად განვითარებულია. აქ ეს სფერო ახლა ყალიბდება და იმ გზას გადის, რაც საქართველომ 90-იან წლებში გაიარა. ამიტომ ცდილობენ, ყველა გამოცდილი კადრის ცოდნა გამოიყენონ.

**— თქვენ გარდა კიდევ არიან უცხოელები?**

— კი, საკმაოდ, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდანაც, უკრაინელი და ბელორუსი კოლეგები გვყავს. ჩვენთან ერთად არიან ფრანგი და ბელგიელი სამხედრო პილოტებიც. გაეროს ჯგუფთან ერთად ვცხოვრობთ. ამას წინათ გაეროს ეგიდით 47 ქვეყნის პრეზიდენტის შეკრება ჩატარდა, სადაც ყველა ქვეყნის დროშა იყო გამოფენილი და ჩვენს პატივსაცემად საქართველოს დროშაც გამოფინეს. ყველა ინტერესით კითხულობდა, ეს რომელი სახელმწიფოს დროშააო. ბევრმა არც იცოდა ჩვენი ქვეყნის შესახებ და როდესაც ვუხსნიდით, რუსეთის შემადგენელი რესპუბლიკა ვეგონეთ, ბევრს ეგონა, რომ საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობს.

**— აფრიკულ საჰაერო ძალებს რომელი საფრენი აპარატები ჰყავთ?**

— ჩვენ Су 25-ებით დავფრინავთ... თქვენ აქაური სამხედროების მოტივაცაზე მკითხეთ, საკმაოდ მოტივირებული არიან, მაგრამ ჯერ კიდევ დაბალი დონეა, ეს ეხება როგორც სამხედრო სფეროს, ისე საზოგადოებას. რაც განსაკუთრებით გარეუბნებში შეინიშნება. ჩვენ, თეთრკანიანები, მათთვის იმდენად უცხონი ვართ, რომ როდესაც ქუჩაში მოვდივართ, პატარებს ჩვენზე ანიშნებენ. მოსახლეობა ძალზე კეთილგანწყობილია.

თავისუფალ დროს მათთან სალაპარაკოდ გამოვდივართ. ამას წინათ თავიანთი ტრადიციული კერძი გაგვასინჯეს, „ფუფუ" ჰქვია და ფაფას ჰგავს. სიმინდის ფქვილის მსგავსი მასისგან მზადდება. ვერ ვიტყვი, რომ მომეწონა, მაგრამ მაინტერესებდა და მაინც გავსინჯე.

**— თქვენს კვებაზე შეიარაღებულ ძალებში ზრუნავენ თუ თავად იმზადებთ?**

— არა, მზარეული გვიმზადებს რასაც მოვისურვებთ. აქ კაკალი არ ხარობს და ნიგვზიან კერძებს ვერ აკეთებენ, არადა, ძალიან გვენატრება.

**— რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვთ აფრიკულ მხარესთან?**

— ორივემ ექვსთვიანი კონტრაქტი გავაფორმეთ და ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ხელშეკრულებას გავაგრძელებთ თუ არა, არ ვიცით. ჩვენი პასუხი იმაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში პროცესები.



ტრიფონ წიქარიშვილი და აფრიკელი ავიატექნიკოსი

**ლალი პაპასკირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



2014 წლამდე აშშ-ის სახმელეთო ჯარები MAARS-ის ტიპის 1700 საბრძოლო რობორტს მიიღებენ

# საბრძოლო რობოტები

**ფანტასტიკურ რომანებსა თუ ფილმებში „საბრძოლო რობოტები" დიდი ხანია ადამიანების ნაცვლად ომობენ, მაგრამ თანამედროვე არმიებში სახმელეთო რობოტიზებული სისტემები ისევ იშვიათია. ავიაციისა და ფლოტისგან განსხვავებით სრულყოფილი საბრძოლო რობოტის შექმნა ტექნიკურად უფრო რთულად გადასაწყვეტი ამოცანაა.**

მოძრავი ნაღმების შექმნას საფუძველი პირველი მსოფლიო ომის ხანგრძლივმა პოზიციურმა ბრძოლებმა ჩაუყარა. მაშინ გაჩნდა მოწინააღმდეგის სანგრებისა და გამაგრებული ობიექტების გასანადგურებლად მართვადი მანქანების შექმნის იდეა და 1918 წელს ამერიკულმა ფირმა „კატერპილერმა" ელექტროსადენებით მართვადი მუხლუხიანი „სახმელეთო ტორპედო" დაამზადა, თუმცა, პროტოტიპის იქით საქმე არ წასულა.

შემდგომ წლებში მსგავსი სამუშაოები საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და სსრკ-შიც მიმდინარეობდა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში ფრანგული ლიცენზირებული „რენოს", შემდგომ კი სამამულო T-18-ის ტიპის ტანკების ბაზაზე რამდენიმე ტელემართვადი ტანკი აიგო. კარგ ამინდში რადიოსიგნალით ტელემართვადი TT-18 დისტანციურად 500-1000 მ-ზე იმართებოდა. გამოცდის არადამაკმაყოფილებელი შედეგის გამო სულ ათამდე ასეთი ტანკი დამზადდა.

დისტანციურად მართვადი ტანკის მორიგი პროექტი სსრკ-ში 1935-36 წლებში მომზადდა. მცირე სერიით დამზადებული ტელემართვადი 55 ტანკი ქიმიურ TT-26-სა (ცეცხლსატყორცნი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი) და მართვის TY-26-ის ტიპის ტანკებს აერთიანებდა.

წითელმა არმიამ ტელეტანკები პირველად ფინეთთან ომში მოსინჯა და ექსპერიმენტი მარცხით დასრულდა. დისტანციური მართვის სისტემის დაბალ საიმედოობასთან ერთად გადაუჭრელ პრობლემად დამიზნებით სროლა დარჩა. ამასთან, ოპერატორებისთვის შეუძლებელი იყო 500-700 მ-ით დაშორებული ტელეტანკის წინ არსებული რელიეფის დანახვა, რაც დამატებით სირთულეებს ქმნიდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ტელეტანკის შექმნას БТ-7-ის ბაზაზეც ცდილობდნენ, მაგრამ ომის დაწყებასთან ერთად ამ მიმართულებით ყველა საქმე შეჩერდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელმა ინჟინრებმა მუხლუხებიანი თვითმავალი ნაღმი „გოლიათი" შექმნეს. ჯერ ელექტრო, შემდგომ კი ბენზინის ძრავით აღჭურვილ „გოლიათს" 75-100 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება მიჰქონდა. მას ტანკებისა და ნაგებობების გასანადგურებლად იყენებდნენ. ომის ბოლომდე 7500-ზე მეტი „გოლიათის" გამოშვება მოესწრო. როგორც ტანკსაწინააღმდეგო საშუალება დაბალი სიჩქარისა და გამავლობის გამო არაეფექტური იყო. საკმაოდ ინტენსიურად ვერმახტის ჯარისკაცები მას ვარშავის აჯანყებისას, ბარიკადებისა და შენობების დასანგრევად იყენებდნენ.

სახმელეთო რობოტიზებულ სისტემებზე მუშაობა დიდი ინტენსივობით 80-იან წლებში დაიწყო, როცა შეია-



**დიდი წონისა და გაბარიტების მიუხედავად, „ქრაშერი“ გამავლობითა და წინააღმდეგობების გადალახვის კარგი უნარით გამოირჩევა**

რაღებისა და დაზვერვის საშუალებათა განვითარებამ საბრძოლო მოქმედებათა ზონაში ცოცხალი ძალის დანაკარგი გაზარდა.

**სამხედრო რობოტები თბოვიზორით, ოპტიკურელექტრონული, აკუსტიკური მოწყობილობებითა და ლაზერული მანძილმზომებით, თანამგზავრული ნავიგაციისა და თანამედროვე ციფრული საშუალებებით აღიჭურვა. მსგავსი რობოტები მე-3 თაობას მიეკუთვნება და ზოგიერთი სამხედროს შეფასებით უახლოეს მომავალში სრულფასოვან საბრძოლო ერთეულებად გადაიქცევიან.**

80-იანი წლების დამდეგს აშშ-ის ჯავშანსატანკო ჯარების ცენტრის ხელმძღვანელობით თვლიანი რობოტი „დემონი“ შეიქმნა. 2,7 ტ-იანი რობოტი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტებით იყო შეიარაღებული და სპეციალური ტანკიდან იმართებოდა.

1993 წელს პენტაგონმა პროგრამა TUGV (Tactical Unmanned Ground Vehicle — ტაქტიკური უპილოტო სახმელეთო აპარატი) წამოიწყო. მიზანი სპეცდანიშნულების ჯგუფებისთვის მსუბუქი, მრავალმიზნობრივი დისტანციურად მართვადი რობოტის შექმნა იყო. მას უშუალოდ ქვეითებთან ერთად უნდა ემოქმედა და საბრძოლო დავალების შესრულებაში დახმარებოდა. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, მასზე სადაზვერვო აღჭურვილობა ან ტყვიამფრქვევი იყო დაყენებული.

პირველ ვარიანტ Gladiator-ს მუხლუხა შასი ჰქონდა და რამდენიმე კამერითა და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი.

იმ დროისთვის „გლადიატორი“ დიდ მიღწევად ითვლებოდა, მაგრამ დამკვეთმა მისი გადაკეთება მოითხოვა.

Gladiator-2-ს უკვე ექვსთვლიანი შასი და გაზრდილი სიმძლავრის დიზელის ძრავა ჰქონდა. ახალ, სტაბილიზებულ პლატფორმაზე კი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, დღე-ღამის კამერები და მორტირები იყო დაყენებული.



**„გლადიატორის“ შექმნა დიდ წარმატებად ჩაითვალა, თუმცა სამხედროებმა მისი გადაკეთება მოითხოვეს**

2008 წელს აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსმა შეიარაღებაში „გლადიატორის“ 6 პროტოტიპი მიიღო და კიდევ 200-დან 300-მდე რობოტის შეძენა დაგეგმა, მაგრამ თავდაცვის ბიუჯეტის შემცირების გამო რობოტის ბედი დღემდე გაურკვეველია.

რამდენიმე წლის წინ ამერიკული DARPA-ს დაკვეთით, კორნეგი-მელონის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა თვლებიანი უნივერსალური რობოტიზებული პლატფორმა ააგეს.

დაჯავშნულკორპუსიან Crusher-ს სიგრძე 5 მ და სიმაღლე 1,5 მ აქვს და ჯავშანი ცალკეული ელემენტების სახითაა შესრულებული, ხოლო მისი მოხსნის შემთხვევაში სასარგებლო დატვირთვა 3,6 ტ-მდე მატულობს.

„ქრაშერი“ დიზელელექტრული ტიპის რობოტია, სადაც ძირითადი ძრავა მძლავრი დიზელია, რომელიც იმავდროულად აკუმულატორებსაც მუხტავს. სასარგებლო დატვირთვისა და რელიეფის გათვალისწინებით დიზელის ძრავის მწყობრიდან გამოსვლისას რობოტი აკუმულატორებით 3-დან 16 კმ-ს გადის.

პროექტირების ბოლო სტადიაზე „ქრაშერზე“ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის მოდული და სადაზვერვო კომპლექსი დაიდგა. კომპლექტაციის მეორე ვარიანტში კოშკურის ნაცვლად რობოტი ტელესკოპურ ანძას ატარებს.

თავდაცვის უწყების დაკვეთით, მცირეგაბარიტული შეიარაღებული რობოტის შექმნა ამერიკელმა სპეციალისტებმა 2000-იან წლებში დაიწყეს და რამდენიმეწლიანი მუშაობის შედეგად საკმაოდ კომპაქტური, მუხლუხაშასიანი SWORDS-ი შეიქმნა.

რობოტი 45 კგ იწონის და აკუმულატორები 8,5 სთ-ის უწყვეტ ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ. აქვს შეიარაღების საკმაოდ ფართო არსენალი და დასახული ამოცანიდან გამომდინარე, მასზე 5,56 მმ-იანი M249-ის ტიპის ტყვიამფრქვევის, 12,7 მმ-იანი „ბარეტის“ სნაიპერული შაშხანის, დოლური ტიპის 40 მმ-იანი ან ოთხლულიანი 66 მმ-იანი ყუმბარსატყორცნების დაყენება შეიძლება.

2007 წელს აშშ-ის არმიამ ერაყში რეალურ პირობებში ტყვიამფრქვევებიანი სამი SWORDS-ი გამოცადა. მაშინ ამ ფაქტმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რადგან კაცობრიობის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საბ-



**MULE-ს დამრტყმელი ვარიანტი თავდაცვის ბიუჯეტის შემცირებამ იმსხვერპლა**

რძოლო რობოტები ქვეითებთან ერთად რეალურ ბრძოლებში მონაწილეობას მიიღებდნენ. თუმცა, საქმე სხვაგვარად წარიმართა, — არმიის მეთაურობამ ტექნიკურ გარემოებათა მომიზეზებით მის გამოყენებაზე უარი თქვა.

**უპილოტო საფრენი აპარატებისგან განსხვავებით, სახმელეთო-საბრძოლო რობოტებს მოქმედება მოწინააღმდეგესთან უშუალო კონტაქტში უწევთ. ეს კი, თავის მხრივ, რობოტისგან ინფორმაციის სწრაფი გადამუშავების უნარსა და უმცირეს დროში გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას მოითხოვს.**

მიზეზთა გამო აშშ-ის არმიამ SWORDS-ების მასობრივ შესყიდვაზეც უარი თქვა, ამიტომაც მწარმოებელი Foster-Miller-ი დისტანციურად მართვადი ახალი რობოტ MAARS-ის პროექტირებაზე გადაერთო. წინამორბედის მსგავსად მასაც მუხლუხა შასი აქვს და კომპაქტური კომპიუტერით იმართება. რობოტზე თანამგზავრული ნავიგაციის სისტემა, ოპტიკური და ინფრაწითელი დეტექტორები, ლაზერული მანძილმზომი და კავშირის საშუალებებია დაყენებული. შეიარაღებიდან M240-ის ტიპის ტყვიამფრქვევს ან 40 მმ-იან ავტომატურ ყუმბარსატყორცნს ატარებს.

2008 წლის დასაწყისში არმიისთვის MAARS-ების მიწოდება დაიწყო. გეგმით 2014 წლამდე აშშ-ის სახმელეთო ჯარების 15 ქვეითი ბრიგადა 1700 საბრძოლო რობოტს მიიღებს. მათი ნაწილი ცეცხლსასროლი და ტანკსაწინააღმდეგო იარაღით იქნება აღჭურვილი. ნაწილს კი მხოლოდ სადაზვერვოდ ან განაღმვით ოპერაციებში გამოიყენებენ.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო დიდი რობოტებითაც არის დაინტერესებული. 2003 წელს „ლოქჰიდ მარტინთან“ ერთად სამხედროებმა პროექტ MULE-ზე (Multifuncti- onal Utility/Logistics and Equipment vehicle) დაიწყეს მუშაობა. ექვსთვლიანი რობოტი ერთდროულად სამ მოდიფიკაციად — სატრანსპორტო (XM1217), გამნაღმველ-საინჟინრო (XM1218) და დამრტყმელად (XM1219) — იქმნებოდა. სამივე ვერსიას მოასფალტებულ გზაზე 90 კმ/სთ-მდე სიჩქარის განვითარება შეეძლო, სვლის მარაგი 400 კმ-ს შეადგენდა და დამოუკიდებელი ნავიგაციის საშუალებები ჰქონდა.

დამრტყმელი ვარიანტი „ჰელფაერის“ ან „ჯაველინის“ ტიპის 4 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტით (შესაბამისი დამიზნების სისტემებით) და ერთი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი.

2009 წელს სამხედროებმა სატრანსპორტო MULE-ის პროგრამა გააჩერეს. მიზეზად წაყენებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა დასახელდა, დაგეგმილი 1090 კგ-ის სანაცვლოდ რობორტს 860 კგ მიჰქონდა.

რამდენიმე თვეში ანალოგიური ბედი რობოტის გამნაღმველმა ვარიანტმაც გაიზიარა. რაც შეეხება დამრტყმელ XM1219-ს, მასზე მუშაობა 2011 წლამდე გაგრძელდა და მისი მოქმედი პროტოტიპიც (მხოლოდ სავალი ნაწილის) მომზადდა, მაგრამ თავდაცვის ბიუჯეტის შემცირებამ MULE-ის პროგრამაც შეაჩერა.

დიდი მცდელობის მიუხედავად, შეიარაღებული რობოტების შექმნა დამრტყმელ უპილოტოებსა და კატარღებთან შედარებით გაცილებით რთულია. გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე, საბრძოლო რობოტი პრაქტიკულად მოწინააღმდეგეს უშუალოდ უპირისპირდება, ამიტომ ცეცხლსასროლი იარაღისგან დასაცავად ის აუცილებლად შეჯავშნული უნდა იყოს.

ბრძოლისას, განსაკუთრებით კი ქალაქის პირობებში, ვითარება ძალიან სწრაფად იცვლება და მეტი ეფექტურობისთვის რობოტმა გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად უნდა მიიღოს, რაც ცეცხლის გახსნასაც შეეხება. არის ერთი დიდი პრობლემაც, — კომპიუტერში სისტემური გადაცდომის შემთხვევაში რომოტმა ცეცხლი შეიძლება საკუთარ ჯარისკაცებს გაუხსნას.

***ალექსანდრე აფაქიძე***




უპილოტო საფრენ აპარატებთან და კატარღებთან ერთად, ისრაელი სამხედრო რობოტების შექმნაზეც აქტიურად მუშაობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების


რუსეთში დამზადებული Ми-35М საცდელ ფრენას ბაქოს მახლობლად ასრულებს

## აზერბაიჯანი

● 19 ნოემბერს აზერბაიჯან-სომხეთის შეხების ხაზზე, ხოჯავენდის მიმართულებაზე, 19 წლის აზერბაიჯანელი ჯარისკაცი ნაღმზე აფეთქდა და გარდაიცვალა.

● 21 ნოემბერს დილით აზერბაიჯანის არმიის ორი ჯარისკაცი ფრონტის ხაზის გერანბოის მიმართულებაზე ნაღმზე აფეთქდა. ორივე მძიმე მდგომარეობაში ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც ფეხების ამპუტაცია დასჭირდათ.

● 22 ნოემბერს სირიის წარმომადგენელმა გაეროს უშიშროების საბჭოს 20 უცხო ქვეყნის 143 მოქალაქის სია გადასცა, რომლებიც სირიის ტერიტორიაზე ბრძოლების დროს მოკლეს. სიაში აზერბაიჯანის ორი მოქალაქეა.

● თურქეთში 26 ნოემბერს დაიწყო და 2 დეკემბერს დასრულდა სამმხრივი აზერბაიჯან-თურქეთ-საქართველოს სპეციალური ქვედანაყოფების ერთობლივი სწავლებები.

● 28 ნოემბერს ფრონტის ხაზის აღდამის მონაკვეთზე 19 წლის აზერბაიჯანელი ჯარისკაცი ნაღმზე აფეთქდა და ფეხებში მძიმე ჭრილობები მიიღო.

● განვლილ პერიოდში აზერბაიჯან-სომხეთის შეხების ხაზზე ნაღმებზე აფეთქების 16 შემთხვევა დაფიქსირდა, საიდანაც 12 — სამხედროებს და 4 — სამოქალაქო პირებს შეემთხვათ. სამხედროებიდან 3 კაცი. დაიღუპა. შეიმჩნევა ნაღმზე აფეთქების შემთხვევათა ზრდის ტენდენცია. შარშან ასეთი 4 შემთხვევა აღინიშნა და 3 სამხედრო დაიღუპა.

● „როსვერტოლის" აეროპორტ „დონის როსტოვიდან" ავიაკომპანია „ვოლგა-დონის" მძიმე სატრანსპორტო Ан-124-მა ბაქოში კიდევ ოთხი შვეულმფრენი Ми-35М ჩაიტანა.

● სამხედრო ჟურნალისტიკის კვლევების ცენტრ „დოქტრინის" მონაცემებით მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების დანაკარგი 89 გარდაცვლილი და 84 დაჭრილ-ტრავმირებული მოსამსახურეა. გარდაცვლილებიდან 15 ბრძოლებშია მოკლული, 3 ნაღმზე აფეთქდა, 70 არასაბრძოლო მიზეზითა (მათ შორის 10 არასაწესდებო ურთიერთობების მიზეზით, 18-მა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და ა.შ.) და 1 ოპერაციის მსვლელობისას დაიღუპა.

## სომხეთი

● ალაგიოზისა და კამჰუტის მაღალმთიან სასწავლო-საწვრთნელ კომპლექსებში რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზის სნაიპერებმა 600 სთ-ზე მეტი გაატარეს. მეცადინეობებზე სნაიპერებმა საცეცხლე მომზადებაში სხვადასხვა სამიზნეზე 100-დან 900 მ მანძილზე და მათ შორის ღამით 15-ზე მეტი სროლითი ვარჯიში შეასრულეს.

● „სომხეთის არმია მომზადებულია ზომიერი თავდაცვის პირობებში დიდი ამოცანების მცირე ძალებით შესასრულებლად", — ასეთი განცხადება გააკეთა თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ასეთმა ტაქტიკამ ყარაბაღის ომში სავსებით გაამართლა.

● თავდაცვის მინისტრ სეირან ოგანიანის შეფასებით, ამჟამად ომის საფრთხე საშუალოზე ბევრად ნაკლებია და ამ სიტუაციაში მოწინააღმდეგის ერთადერთი შემაკავებელი ძალა სომხეთის არმიაა.

● სამხრეთის სამხედრო ოლქიდან საავიაციო რადიოელექტრონული მოწყობილობებისა და შეიარაღების დაახლოებით 100 სპეციალისტი როტაციით სამსახურს რუსული 102-ე ბაზის საავიაციო ნაწილებში გააგრძელებს.

● 20 ნოემბერს ერევანში შედგა თავდაცვის მინისტრ სეირან ოგანია-


102-ე ბაზის საავიაციო ნაწილებში როტაციით სამსახურისთვის რუსეთიდან 100 ავიასპეციალისტი ჩავა

# მიმოხილვა



ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი Хризантема-С

ნის მეორე წიგნის „სომხეთის არმიის 20-წლიანი მატიანის“ პრეზენტაცია. მინისტრის პირველი წიგნი „XXI საუკუნის არმია“ იყო.

● 26 ნოემბერს თავდაცვის მინისტრი სეირან ოგანიანი ორდღიანი ვიზიტით ავღანეთში გაემგზავრა, სადაც შეხვდა ქვეყნის თავდაცვის მინისტრ ბისმალა ჰან მოჰამადს, საერთაშორისო სარდლობის წარმომადგენლებს, ესტუმრა ყუნდუზისა და მაზარი-შარიფის პროვინციებში დისლოცირებულ სომეხ მშვიდობისმყოფელებს.

## ჩრდილო კავკასია

● მიმდინარე წელს სამხრეთის სამხედრო ოლქის არტილერისტებმა ახალი შეიარაღების 300 ერთეულზე მეტი მიიღეს. მათ შორისაა 40 ერთეული 152 მმ-იანი ჰაუბიცა Мста-С დამიზნებისა და ცეცხლის მართვის ავტომატიზებული სისტემით, 20 ერთეული ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი Корнет-ი, 70-ზე მეტი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები Торнадо და Град-ი (КАМАЗ-ის ბაზაზე), ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსები Искандер-ი, 20-ზე მეტი 120 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი 2С34 Хоста ორჯერ გაზრდილი სროლის სიშორით, ნაღმსატყორცნები, არტილერიის მართვის სახმელეთო პუნქტები, სადაზვერვო სადგურები, სარემონტო სახელოსნოები და სხვ.

● სამხრეთის სამხედრო ოლქში ინგუშეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საარტილერიო შენაერთმა ცოტა ხნის წინ БМП-3-ის ბაზაზე დამზადებული ათზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი Хризантема-С მიიღო, რომლითაც სამომავლოდ ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები Штурм-ები უნდა შეიცვალოს.

● ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ყაზბეგ ტატუევის თქმით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული წინააღმდეგობის 50-60 მებრძოლი მოქმედებს, საიდანაც 32 ოფიციალურად, როგორც ექსტრემისტი, ძებნილად ითვლება და 15 უკვალოდ დაკარგულთა რიცხვს მიეკუთვნება. მისივე შეფასებით, ბევრად მეტია მათი რიცხვი, ვინც მებრძოლებს თანაუგრძნობს.

● დაღესტანმა თავდაცვის მინისტრს სერგეი შოიგუს სთხოვა, რომ მომავალ წელს არმიაში არანაკლებ 3-5 ათასი დაღესტნელი წვევამდელი გაიწვიოს. მიმდინარე წლის საშემოდგომო გაწვევაზე დაღესტნიდან არმიაში 179 წვევამდელი წაიყვანეს.

● პოლიგონ „დარიალზე“ გამოცდა გაიარა მობილურმა სამთო-საბაგირო გზამ, რომლის დახმარებითაც მთებში 3 კმ-ის მანძილზე 500 კგ ტვირთამწეობის ვაგონებით საბრძოლო მასალების გადაზიდვა არის შესაძლებელი. საბაგირო გზის გამართვა-მონტაჟისთვის ორი დღეა საჭირო. ასევე გამოიცადა ჯარისკაცებისა და დაჭრილთა გადასაყვანი საბაგირო მინი კომპლექსი.

## კონფლიქტის რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● კოდორის ხეობაში რუსმა და აფხაზმა მესაზღვრეებმა ჩაატარეს ერთობლივი სწავლება, სადაც ბანდიტური ჯგუფის ძებნა-განადგურების ამოცანები დამუშავდა.

● საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზამ თანამგზავრული კავშირის ახალი მობილური სადგური Ливень-ი მიიღო. სადგურის საშუალებით შესაძლებელია ტექსტური, ციფრული და სამსახურებრივი დახურული კავშირის გადაცემათა წარმოება.

*თემურ ჩაჩანიძე*



კოდორის ხეობაში რუსი მესაზღვრეები სწავლებებზე ერთ-ერთ დავალებას ასრულებენ



საქართველოს ... ეროვნული ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყინული დაიძრა: ზურაბ ჟვანიას სიკვდილის გამოძიება ბევრ საიდუმლოს ნათელს მოჰფენს



**„ყოფილი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიება ქვეყნის პრესტიჟის საქმეა“,** — განაცხადა ნოემბრის ბოლოს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა.

ჩვენ შეგვიძლია დავძინოთ, რომ ზურაბ ჟვანიას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების გამოძიება და ჭეშმარიტების დადგენა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული.

## სიმართლის დადგენის მოლოდინში

ახალი ხელისუფლება მრავალ დაპირებას იძლევა. „ქართული ოცნების“ გეგმებიდან, ბუნებრივია, ყველას თავისი მნიშვნელობა და შესრულების დრო აქვს. თუმცა, არის საკითხები, რომელთა გადაჭრა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ყველა სხვა პრობლემის სათავეა. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში მომხდარი მკვლელობების, საეჭვო თვითმკვლელობების თუ უბედური შემთხვევების სასწრაფო გამოძიება.

**სამწუხაროდ, ამგვარი ჩამონათვალი ძალზე ვრცელია: ზვიად გამსახურდიას დღემდე საიდუმლო და ბოლომდე გამოუძიებელი თვითმკვლელობის ვერსია, მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძის სიკვდილის გარემოებები, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლის, ფრედ ვუდროფის მკვლელობა, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობის ვერსია, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას უბედური შემთხვევის მიზეზით გარდაცვალების ვერსია, ექსპერტიზის ბიუროს ახალგაზრდა ხელმძღვანელის, ლევან სამხარაულის მკვლელობა, პროფესორ გურამ შარაძის მკვლელობა, გენერალ დავით ჭკუას თვითმკვლელობის ვერსია, საქართველოს უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის, გენერალ თამაზ ნინუას მკვლელობა და კიდევ სხვა სამწუხაროდ მრავალი ტრაგიკული ფაქტი.**

მათ ერთი საერთო ნიშანი ჰქონდათ — ეს იყო აშკარა პოლიტიკური შეფერილობა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საზოგადოებას გაუჩნდა მოლოდინი, რომ მრავალი საიდუმლოებით მოცული შემთხვევა გამოძიებული იქნებოდა და სიმართლე გაირკვეოდა. თუმცა, მოლოდინი მოლოდინად დარჩა. უფრო მეტიც, ადრინდელ შემთხვევებს ვინ ჩივის, 2004 წლიდან ტრაგიკულმა შემთხვევებმა იმატა კიდეც.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა აიღო ვალდებულება, სინათლე მოჰფინოს პოლიტიკური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებს და თუ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები არ გაირკვა, სხვა დაპირებების შესრულებას: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, დემოკრატიული და ძლიერი სახელმწიფოს აშენებას, საფრთხე შეექმნება და აუხდენელ ოცნებად დარჩება.

## ბურუსით მოცული 2005 წლის 3 თებერვალი

ოფიციალური ვერსიით, 2005 წლის 3 თებერვალს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და ქვემო ქართლის რწმუნებულის მოადგილე რაულ იუსუფოვი კონსპირაციულ ბინაში ნახშირჟანგით გაიგუდნენ.

პირველ დღეებში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარმომადგენლები სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სწორედ მათ-მიერ გაკეთებულმა დაბნეულმა და ხშირად ურთიერთგამომრიცხავმა საჯარო განცხადებებმა განაპირობა გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიაში თავიდანვე დაეჭვება.

**ექსპერტებს ისეთი მარტივი თეორიული საკითხები ეშლებოდათ, რომელთა უცოდინარობაც 4-5 კურსის სტუდენტებსაც კი არ ეპატიებათ.**

თითქმის რვა წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მრავალი კითხვა კვლავ პასუხგაუცემელია. საქართველოს მთავარ პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე არ დაუხურავს, რის გამოც საზოგადოებას საშუალება არა აქვს, გაეცნოს გამოძიების მასალებს. ამიტომაც არის, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და უკანასკნელი ათწლეულის საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფიგურის, ფრთხილი და წინდახედული ზურაბ ჟვანიას, ამგვარი გარდაცვალება დაეჭვების საბაბს ნამდვილად იძლევა.

ბევრი პოლიტიკოსი, ექსპერტი, ჟურნალისტი თუ უბრალო მოქალაქე, რომ არაფერი ვთქვათ, გარდაცვლილთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე, თვლის, რომ თბილისში მომხდარი ტრაგიკული ფაქტი „უბედური შემთხვევა და შემთხვევითი მოწამვლა“ კი არ არის, არამედ წინასწარ დაგეგმილი და ჩატარებული ოპერაცია.

ზურაბ ჟვანიას ყოფილი მეგობრებიდან თუ მტრებიდან არც ერთს არ ეყო გამბედაობა, სიმართლის თქმა მოეთხოვა წინა ხელისუფლებისგან ან თავად ეთქვა სიმართლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ეჭვს რატომღაც თანამდებობიდან წასვლის შემდეგ გამოთქვამდნენ და სენსაციურ განცხადებებს აკეთებენ. ზურაბ ნოღაიდელს ძალზე გვიან „გაუნათდა“ გონება. მისი თქმით: „ვფიქრობდი, რომ ქართულ სპეცსამსახურებს ამდაგვარი მკვლელობის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც ვნახე ბადრი პატარკაციშვილთან საუბრის ჩანაწერები და ჩემს ძველ სპეცსამსახურელ მეგობრებს ვესაუბრე, შემდეგ უკვე გამიჩნდა ეჭვი, რომ ტექნიკურად ამის გაკეთება საქართველოს სპეცსამსახურებსაც შეუძლიათ“.

უფრო ადრე კი, 2007 წლის სექტემბრის ბოლოს, ყოფილმა თავდაცვისა და შემდეგ ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, ინგა გრიგოლიასთან სკანდალურ ტელეინტერვიუში, განაცხადა: „ზურაბ ჟვანია იმ ბინაში არ გარდაცვლილა, მისი ცხედარი შემდეგ მიიტანეს“.

საინტერესოა, რომ 2005 წლის დასაწყისში ნოღაიდელი ფინანსთა მინისტრი იყო, ხოლო ოქრუაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრობიდან თავდაცვის მინისტრად ერთი თვის გადაყვანილი იყო და ძველი კავშირები ისევ ჰქონდა. ასე რომ, პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების შესახებ მათ (ისევე, როგორც ხელისუფლების სხვა წევრებს) გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვთ და უფრო მეტი იციან.

ამ სისხლის სამართლის საქმეში ძალზე ბევრი „თეთრი ლაქაა“. ეს ეხება ზურაბ ჟვანიას პირადი დაცვის საეჭვოდ არაპროფესიონალურ მოქმედებებს, მობილური ტელეფონების მოულოდნელ „გაფუჭებას“, შემთხვევის ადგილზე საგამოძიებო მოქმედებების ლაფსუსებს, კონსპირაციულ ბინაში არსებულ ნივთებზე გარდაცვლილების თითის ანაბეჭდების არარსებობას, ჟვანიას დაცვის წევრების ჩვენებებში არსებულ შეუსაბამობებს და ა.შ.



პარლამენტარმა გოგლა ჟვანიამ ძმის სიკვდილთან დაკავშირებით პროკურატურას ჩვენებები უკვე მისცა

**ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ ვერსიების ნაკლებობა ნამდვილად არ არის: ერთნი ამტკიცებენ, ეს ამერიკელებმა გააკეთეს პრემიერ-მინისტრის პრორუსული პოლიტიკის გამო, მეორენი, პირიქით, ამბობენ, ეს რუსების გაკეთებულია, ჟვანიას აშკარა პროდასავლური კურსიდან გამომდინარე. სხვები ბიზნესინტერესების დაპირისპირებაში ხედავდნენ გარდაცვალების მიზეზს.**

დღეს ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ, რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებს შეუძლიათ ამგვარი პოლიტიკური მკვლელობის მომზადება და შესრულება.



მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ზურაბ ჟვანიას სიკვდილის გარშემო არსებულ ახალ გარემოებებზე საუბრობს

## ყველაზე საიდუმლო ოპერაციები

მშვიდობიან პერიოდში სპეცსამსახურები არასასურველი ობიექტის სწრაფი ლიკვიდაციისათვის თითქმის ყოველთვის უბედური შემთხვევის იმიტაციას ქმნიან. ჯანმრთელი ადამიანის მოულოდნელი გარდაცვალების „საუკეთესო“ ახსნა საყოფაცხოვრებო პირობებში მისი ტრაგიკული დაღუპვა ან სხვა უბედური შემთხვევაა (ავტოავარია, დენის დარტყმა, აბაზანაში „დახრჩობა“, იარაღის „გავარდნა“, საკვები პროდუქტით მოწამვლა, გაზით გაგუდვა და ა.შ.).

**იმ შემთხვევაში, თუ პირი დაცვისა და მაღალკვალიფიციური ექიმების მუდმივ მეთვალყურეობაშია, „ლიკვიდატორების“ ამოცანა გაცილებით რთულდება.**

ზურაბ ჟვანიასა და რაულ იუსუფო-

ვის გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიაში ეჭვის საფუძველს ქმნის ის, რომ ამ ფაქტის „შეფუთვა“ აშკარად ჰგავს სპეცსამსახურების ხელწერას.

**რჩება შთაბეჭდილება, რომ ოფიციალური ვერსიის არაორაზროვანი მინიშნებების მიზანი იყო საზოგადოებრივი აზრის ისეთი მიმართულებით წარმართვა, რომ რაც შეიძლება ცოტას გასჩენოდა ამ ტრაგიკულ შემთხვევაში ღრმად ჩახედვის სურვილი.**

ფაქტია, რომ ჟვანიას პრემიერ-მინისტრობის დროსაც უსმენდნენ და მის ახლო გარემოცვაში სხვადასხვა აგენტურაც მოქმედებდა.

ოჯახის წევრები ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებენ, რომ 2004 წლის ოქტომბერში საზღვარგარეთ მივლინებისას ზურაბ ჟვანიამ საკუთარ ნომერზე კი არ ჩართო როუმინგი (რაც ნებისმიერი რიგითი მოქალაქისთვისაც კი უმნიშვნელო პროცედურაა), არამედ მაშინდელ ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს გამოართვა როუმინგიანი ნომრის სიმბარათი. ამ ფაქტს ერთადერთი ახსნა აქვს, — ჟვანიას არ სურდა საქართველოში სცოდნოდათ, რა ნომრით სარგებლობდა უცხოეთში.

ამ ტრაგიკულ შემთხვევაში სპეცსამსახურების „ყურები“ შორიდან ჩანს. თუმცა, კონკრეტული ქვეყნის კონკრეტულ სპეცსამსახურს ხელს ვერავინ დაადებს. ერთი კია, ჟვანიას გარდაცვალებამ ისეთი შორსმიმავალი გეოპოლიტიკური შედეგი განაპირობა, რომ ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურები დამოუკიდებლად ამდენს ნამდვილად ვერ „გაქაჩავდნენ“, ისინი, ალბათ, მხოლოდ დაბალი დონის შემსრულებლების სტატუსით მონაწილეობდნენ ამ სპეცოპერაციაში, შემკვეთი კი სულ სხვა იყო.

საშინაო და საგარეო ოპონენტების ლიკვიდაციის მრავალფეროვან ხერხებს „წარმატებით“ იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები. რაც უფრო მაღალი კლასისაა სპეცსამსახური, მით უფრო ძნელია (ხანდახან კი შეუძლებელიც!) მათი კვალის მიგნება.

**დღეისათვის საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურიდან მხოლოდ ორს (გამოცნობა მკითხველისთვის მიმინდვია) ძალუძდა ამ დონის პოლიტიკოსის ლიკვიდაციის დაგეგმვა-ორგანიზება და ძნელი დასაჯერებელია, რომ მათ დილეტანტურად ემოქმედათ და ამდენი სამხილი დაეტოვებინათ. ისინი, როგორც წესი, „კუდებს“ ღრმად მალავენ.**

ჩვენ კი ერთ მინიშნებას შემოგთავაზებთ, — რომელი ქვეყნის ინტერესებში იყო და არის საქართველოში არასტაბილურობა?

**თუმცა, არსებობს ორი შემთხვევა, როცა უძლიერესი სპეცსამსახურებიც კი მარტივ შეცდომებს უშვებენ. პირველი — როცა ოპერაცია სასწრაფოდ იგეგმება და ყველა ნიუანსის გათვლა არ ესწრება, მეორე კი ის შემთხვევაა, როცა შემსრულებლები ადგილობრივი არაპროფესიონალები არიან.**

იმავდროულად, არის მაგალითები, როცა გამოცდილი სპეცსამსახური სამხილებს შეგნებულად ტოვებს, რათა ეჭვი არაპროფესიონალებზე მიიტანონ.

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური მკვლელობების საარქივო დოკუმენტებს (თუ ასეთი სადმე არსებობს!) „სრულიად საიდუმლო“ გრიფი არასდროს, საუკუნის გასვლის შემდეგაც არ ეხსნება.

## აშშ-ის სენატის რეზოლუცია

**„აშშ-ის სენატი — საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ხსოვნის უკვდავსაყოფად**

**ბატონი ბრაუნბეკი: ბატონო პრეზიდენტო! მოგმართავთ თხოვნით განვიხილოთ რეზოლუცია (S. Res. 46)**

**ბატონი ლუგარი: ბატონო პრეზიდენტო! წარმოგიდგენთ რეზოლუციას ზურაბ ჟვანიას, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ხსოვნის უკვდავსაყოფად.**

**ბატონი ლუგარი: ბატონო პრეზიდენტო! წარმოგიდგენთ რეზოლუციას ზურაბ ჟვანიას, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ხსოვნის უკვდავსაყოფად.**

**გასულ კვირას, პრეზიდენტ ბუშის დავალებით, პატივი მქონდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაკრძალვაზე იმ დელეგაციის ხელმძღვანელის რანგში ვყოფილიყავი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოადგენდა.**

**პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ თვალსაჩინო ლიდერი და ნამდვილი რეფორმატორი იყო, ცნობილი თავისი ინტელექტითა და გამჭრიახობით. იგი ამერიკის დიდი მეგობარიც იყო. მე წილად მხვდა ბედნიერება გასული წლის დეკემბერში ბატონ ზურაბს შევხვედროდი. საქართველოს ნათელ მომავალთან დაკავშირებით, ჩვენ ბევრი საკითხი განვიხილეთ და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრესის რეგიონული მოდელი ჩამოვაყალიბეთ.**

**სენატი შეთანხმდა, რომ:**

**1. უდიდეს სამძიმარს უცხადებს ზურაბ ჟვანიას ოჯახს, შვილის, ქმრისა და მამის ტრაგიკული სიკვდილის გამო;**

**2. ზურაბ ჟვანიას სიმამაცე, ენერგია, პოლიტიკური წარმოსახვა და ხელმძღვანელობა, საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო;**

**3. საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ზურაბ ჟვანიას ხედვისა და დაწყებული საქმის დასრულება, ასევე მისი გრძელვადიანი მემკვიდრეობა იქნება;**

**აშშ-ის სენატი, 2005 წლის 8 თებერვალი“.**

ცნობილია, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს საიდუმლო ინსტიტუტები აქვს შექმნილი, სადაც მოწინააღმდეგე



ქვეყნებზე გულმოდგინედ მუშაობენ და დისერტაციებსაც კი იცავენ. ერთ-ერთ სადისერტაციო თემას ასეთ „მიმზიდველი“ სათაური აქვს: **„ქართველი ერის ეროვნული ნიშან-თვისებები და ხასიათის თავისებურებანი და მათი გამოყენება ოპერატიულ-აგენტურულ მუშაობაში“.**

ამ ცოდნას რუსეთის სპეცსამსახურები შესაბამისად იყენებენ. რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებაში კი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ ქვეყნის სპეცსამსახურებს.

ზურაბ ჟვანიას საქმე სწორედ იმ კატეგორიას განეკუთვნება, როცა „შემთხვევითობა“ გამორიცხულია და ჩვენმა მტრებმა კარგად იციან, თუ რომელი საყრდენი უნდა წააქციონ, რათა საქართველოში არასტაბილურობა და მათთვის ხელსაყრელი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო შედეგი მიიღონ. ზურაბ ჟვანიას სიკვდილით დაირღვა ბალანსი და ტანდემში – საჯარო-პოლიტიკოსი (მიხეილ სააკაშვილი) და არაფორმალური (რეალური ლიდერი ზურაბ ჟვანია) — ერთპიროვნული ძალაუფლება გამოუცდელ და იმპულსურ სააკაშვილს დარჩა.

**ზურაბ ჟვანია ოპერატიული დამუშავების ობიექტი წლების განმავლობაში იყო. საინტერესოა, რომ აქტიურობდნენ როგორც საქართველოს სპეცსამსახურები (შსს და უშიშროების სამინისტრო), ასევე უცხო ქვეყნების საიდუმლო სამსახურები. ზურაბ ჟვანიამ თავადაც კარგად უწყოდა, რომ სპეცსამსახურების სამიზნე იყო.**

**პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს ის „მოქკავშირის“ ახალგაზრდა კადრების საშუალებით ცდილობდა, გაერკვია, კონკრეტულად რა ძალები ცდილობდნენ მის კომპრომეტირებას.**

ამ პერიოდში ის ამ თემაზე საჯარო განცხადებების გაკეთებისაგან თავს იკავებდა. ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ კი, როდესაც უკვე აშკარად ადანაშაულებდნენ რუსული ინტერესების გატარებაში, საპასუხოდ აცხადებდა: „ძალიან ბევრი გავაკეთე იმისთვის, რომ საქართველოს დასავლეთის სამყაროში შესვლის შანსი ჰქონოდა. ამის გამო ჩემზე რუსეთის სპეცსამსახურებიდან ათასი ზეწოლა იყო და მრავალი სიბინძურე ვრცელდებოდა. მოსახლეობისთვის ნათელია, ვინ სად დგას“ (ინტერვიუ, ჟურნალი „სარკე“, 11-17 ივნისი, 2003 წ.).

**რუსეთის სურვილი იყო, არის და იქნება ის, რომ საქართველოში სერიოზულ, ჭკუადამჯდარ პატრიოტ პოლიტიკოსებს გასაქანი არ მიეცეს. რუსეთს ყოველთვის ის აინტერესებს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში, ყველა დონეზე, ახალგაზრდა, მაქსიმალურად გამოუცდელი და ეგზალტირებული ხალხი მოღვაწეობდეს.**



მედიამ პრემიერ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით თავისი ეჭვები არაერთგზის გამოთქვა

რამდენიმე წლის წინ, როცა ჟვანიას გარდაცვალების ფაქტზე პირველად ვწერდი, გულწრფელად მჯეროდა, რომ აშკარა სამხილების უქონლობის გამო საქართველოს ხელისუფლება „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ პრინციპით მოქმედებდა, ხელს ვერ ადებდა იმ ქვეყანას, რომელმაც ეს ჩაიდინა და ამ ერთ ბრძოლაში დამარცხებული ქართული სპეცსამსახურები მომავალ ბრძოლებში გამარჯვებისთვის ემზადებოდნენ.

მჯეროდა, რომ სულ მალე ხელისუფლება ამ საქმის შესახებ სიმართლეს გაარკვევდა. თანდათან ჩემი შეხედულება კარდინალურად შეიცვალა – წლები გადიოდა, წინა ხელისუფლებას კი რატომღაც არ სურდა, მინიშნებითაც კი, სიმართლე გაერკვია და ეთქვა, პირიქით სამხილებისა და მტკიცებულებების გაყალბებით იყო დაკავებული. რატომ? სწორედ ამ კითხვაზეა პასუხი გასაცემი.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები დღესაც აცხადებენ, რომ 2005 წლის 3 თებერვალს ტრაგიკულ შემთხვევითობას შეეწირა ორი ადამიანი. ერთი წუთითაც რომ დავიჯეროთ მათი გულწრფელობა, მაშინ ერთი კითხვა ჩნდება: ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და მათი მასწავლებელ-ლიდერის სიცოცხლე თუ ვერ დაიცვა „ნაციონალების“ ხელისუფლებამ, სწორედ მაშინ დაწყებულა მათი ძალაუფლების სისტემური კრიზისი და ჩამოშლა! არ დასჯილა არც ერთი კაცი, ვისაც პრემიერ-მინისტრის დაცვა ევალებოდა, ეს ფაქტიც ბევრზე მეტყველებს.

**„ჟვანიას საქმე იყო, არის და იქნება ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პრიორიტეტი, რადგან ჩვენს ქვეყანას ეკუთვნის, იცოდეს, რა პირობებში გარდაიცვალა მისი პრემიერ-მინისტრი, რომლის ხსოვნისადმი საზოგადოება დიდი მოწიწებითაა გამსჭვალული. ამიტომ არც ერთ ჩვენს რესურსს არ დავიშურებთ იმისთვის, რომ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით სიმართლე დადგინდეს“, — განაცხადა ნოემბრის ბოლოს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.**

იმედს ვიტოვებთ, რომ მთავარი პროკურატურა სრულყოფილად გამოიძიებს გახმაურებული პოლიტიკური მკვლელობების ყველა ფაქტს და საზოგადოებას სისტემატურად გააცნობს შედეგებს.

***ბესიკ ალადაშვილი***

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*



# რას მოგვიტანს თბილისი-სოხუმი-მოსკოვის მატარებელი?

აფხაზეთში ომის დაწყების დღიდან, ანუ 1993 წლის 14 აგვისტოდან, რუსეთთან აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლა შეწყვეტილია.

ომმაც რკინიგზის ხაზს, სარკინიგზო მეურნეობასა და მოძრავ შემადგენლობას დიდი ზიანი მიაყენა, რის გამოც აფხაზეთის რკინიგზა ფაქტობრივად გაპარტახებული იყო.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი თბილისის გვერდის ავლით, ცალმხრივად, აფხაზეთის რკინიგზის ცალკეული მონაკვეთის აღდგენა-გამოყენებას მაინც ახერხებდა.

საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 2002 წლის 25 დეკემბერს ელექტრომატარებელმა სოხუმი-სოჭი-სოხუმის პირველი რეისი შეასრულა. სცადეს ისიც, რომ რკინიგზის გახსნა და დევნილთა დაბრუნება სინქრონიზებული ყოფილიყო, რაზეც 2003 წლის იანვარში კიევში შევარდნაძემ და პუტინმა მოილაპარაკეს.

დევნილთა დაბრუნება არ შედგა, ხოლო 2004 წელს რუსულმა ორგანიზაციებმა ფსოუდან სოხუმამდე რკინიგზის ხაზი შეაკეთეს და იმავე წლის სექტემბერში სოხუმი-მოსკოვის სამგზავრო მატარებელი კურსირებას შეუდგა.

2008 წლის მაისში, ისევ საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით, სოხუმი-ოჩამჩირის რკინიგზის ხაზის აღდგენის მიზნით რუსეთმა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის 76-ე სარკინიგზო კორპუსის 400-კაციანი ბატალიონი შემოიყვანა.

მოსკოვმა სარკინიგზო სამუშაო სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის თხოვნასა და ე. წ. ჰუმანიტარულ დახმარებას დაუკავშირა.

ივნის-ივლისში სარკინიგზო ბატალიონმა სოხუმი-ოჩამჩირის 54 კმ-იან მონაკვეთზე შეცვალა დაზიანებული შპალები და რელსები, შეაკეთა რამდენიმე ხიდი-გვირაბი, რკინიგზის ვაკისი ბუჩქებისგან გაასუფთავა და ბალასტით შეავსო, რის შემდეგაც რკინიგზის ხაზი მძიმეწონიანი მატარებლებისთვის მდინარე ფსოუდან ოჩამჩირემდე გაიმართა.

2008 წლის ზაფხულში აფხაზეთში მყოფი რუსი სამხედრო რკინიგზელები



ანაპიდან 1141-ე საარტილერიო პოლკის სამხედრო ტექნიკა საქართველოსკენ მოემართება



ივლისის ბოლოს სარკინიგზო ბატალიონის ერთმა ნაწილმა აფხაზეთი დატოვა და შეკეთებული რკინიგზის რეალური დანიშნულება ძალიან მალე გამოჩნდა, როცა აგვისტოში რუსეთმა საქართველოს ტერიტორია დაიკავა.

**იმ დღეებში გარემონტებული რკინიგზით საქართველოსკენ სტავროპოლიდან 247-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის პირადი შემადგენლობა და საბრძოლო ტექნიკა, ანაპიდან 1141-ე საარტილერიო პოლკის დივიზიონი (2С9 Нона-ს ტიპის 12 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი) და სხვა მძიმე შეიარაღება დაიძრა.**

რკინიგზით სარგებლობს საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 სამხედრო ბაზაც, როცა ბაზის შემადგენლობაში შემავალი სატანკო-საარტილერიო ქვედანაყოფები საბრძოლო წვრთნებისა და სროლებისთვის ჩრდილო კავკასიაში მდებარე პოლიგონებზე მიემართებიან.

საქართველოს სათავეში მოსული ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტი რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენაა და იმავდროულად, აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო მიმოსვლის ნებაც გამოიხატა, რაც ამასთან, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის განახლებას, საერთო-ეკონომიკური ინტერესების ძებნასა და სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობათა ფართო გამოყენებას უნდა წაადგეს.

რუსეთთან პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა 20 წელზე მეტი ხნის წინ შეწყდა. გარდა ამისა, მოსკოვის დაწესებულმა სანქციებმა საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ორიენტირები შესამჩნევად შეცვალა.

ამჟამად საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის წამყვანი პოზიცია თურქეთსა და აზერბაიჯანს უკავიათ, ხოლო რუსეთმა მე-8 პოზიციაზე გადაინაცვლა.

თუ რუსეთის ბაზარი ქართული ღვინის, მინერალური წყლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის გაიხსნება, მაშინ ტვირთების რაოდენობა მოიმატებს და ვაჭრობის მოცულობაც გაიზრდება. ამ შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ სარკინიგზო მიმოსვლის განახლების საჭიროება ისევ დადგეს. მით უფრო, რომ რუსეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი, ზემო ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტი ზამთარში გარკვეული დროით იკეტება.

რუსეთთან პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა მეზობელი სომხეთისთვის კვლავინდებურად აქტუალურია და მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

სომხეთისთვის რუსეთი კვლავინდებურად მთავარ სავაჭრო პარტნიორად რჩება. ერევანი რკინიგზის აღდგენის ინიციატივით ადრეც რამდენჯერმე გამოვიდა და იმედი ჰქონდა, რომ სოჭის ოლიმპიური ობიექტების მშენებლობას საკუთარი წარმოების ცემენტით მოამარაგებდა.

საქართველოს გავლით ტვირთების ტრანსპორტირება რუსეთსა და ევროპაში აზერბაიჯანისთვისაც მიმზიდველი უნდა იყოს.

ამჟამად ბაქო ჩრდილო კავკასიაზე გამავალი რკინიგზით სარგებლობს, რომელიც უფრო გრძელია და თანაც რუსეთის საკმაოდ არასტაბილურ სამხრეთის რეგიონებზე გადის.

გარკვეულწილად, აფხაზეთის გავლით საქართველოს პორტებზე გასვლა რუსეთისთვისაც საინტერესოა უნდა იყო, რადგან შავიზღვისპირა პორტები — ნოვოროსიისკი, კავკაზსკოე, ტუაფსე ზამთარში ორი-სამი თვით გაყინულია.

**ოფიციალური ბაქოს რეაქცია უცნობია, ხოლო აზერბაიჯანელი პოლიტოლოგები სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას ეწინააღმდეგება და თვლიან, რომ რკინიგზა სომხეთის სამხედრო პოტენციალის გაზრდას მოემსახურება.**

საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის ტერიტორიაზე მატარებლების მიმოსვლა 1940 წელს სოხუმი-ინგირის მონაკვეთის დასრულების შემდეგ დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს, მწყობრში ჩადგა სოჭი-სოხუმის მონაკვეთი, მაგრამ ექსპლუატაციაში 1949 წლიდან შევიდა.

საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრიდან ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე სადგურ ინგირამდე რკინიგზის ხაზის საერთო სიგრძე 197 კმ-ია, საიდანაც ახლა ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია ოჩამჩირე-ინგურის 40 კმ-იანი მონაკვეთი.

აყრილია რელსები და თურქეთში ჯართად არის გაყიდული, მწყობრიდან გამოსულია განძელები, ჩამოხსნილია საკონტაქტო სადენები, აღსადგენია ვაკისი, ტექნიკურ-საინჟინრო ნაგებობები და მათ შორის 400 მ-იანი ხიდი მდინარე ენგურზე.

ამჟამად საქართველოს რკინიგზა წელიწადში საშუალოდ 20 მლნ ტ სხვადასხვა სახის ტვირთს ეზიდება.

საბჭოთა პერიოდში ზოგჯერ რკინიგზას ახლანდელ მაჩვენებელზე 2-3-ჯერ მეტი ტვირთი გადაჰქონდა.

ამდენად, საქართველოს რკინიგზას დამატებითი ტვირთების გადასაზიდად რეზერვები აქვს.



რუსეთი სამხედრო ტვირთების და პირადი შემადგენლობის ტრანსპორტირებისთვის სატვირთო Ил-76-ებს იყენებს

სოხუმი კი მიიჩნევს, რომ რკინიგზის აღდგენა აფხაზეთისთვის საჭირო არ არის და პირიქით სახიფათოც კი იქნება — ადგილობრივი სეპარატისტული რეჟიმი საქართველოსგან იზოლაციისა და გაუცხოების გაძლიერებით არის დაინტერესებული.

მოსკოვი საქართველოს ახალი ხელისუფლების ინიციატივებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა აღდგენაზე ჯერჯერობით დუმილით პასუხობს.

**აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნის საკითხი მისი ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ადრე თუ გვიან, მაინც დადგება. თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ რკინიგზა სამოქალაქო დანიშნულების ტვირთების გადაზიდვასა და მგზავრთა გადაყვანასთან ერთად სამხედრო დანიშნულებასაც ასრულებს, — გადაჰყავს პირადი შემადგენლობა, ეზიდება შეიარაღებას, სამხედრო ტექნიკას (განსაკუთრებით ეს შეეხება ტანკებს, მძიმე თვითმავალ საარტილერიო დანადგარებს და სხვ.), უზრუნველყოფის საშუალებებს და ა.შ.**

რუსეთთან პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა გარკვეულწილად სომხეთში გიუმრის 102-ე რუსულ სამხედრო ბაზასთანაა დაკავშირებული. მით უფრო, რომ 2011 წლის 19 აპრილს საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თხოვნის შემდეგ დენონსირება გაუკეთა 2006 წლის 13 აპრილის საქართველოსა და რუსეთს შორის საქართველოს ტერიტორიის გავლით სამხედრო ტვირთებისა და პერსონალის ტრანზიტის ორგანიზების შესახებ შეთანხმებას.

102-ე ბაზას პერიოდულად ესაჭიროება საბრძოლო ტექნიკისა თუ შეიარაღების განახლება-რემონტი და პირადი შემადგენლობის როტაცია.

**მას შემდეგ, რაც საქართველომ რუსული სამხედრო ტვირთებისთვის თავისი ტერიტორია და საჰაერო სივრცე ჩაკეტა, რუსებმა გამოსავალი მოძებნეს და ამისთვის სამოქალაქო სამგზავრო თვითმფრინავებს, ავიაკომპანია „აეროფლოტისა“ და რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს სატრანსპორტო თვითმფრინავებს იყენებენ.**

სამგზავრო ავიარეისებით ყოველწლიურად 102-ე ბაზაში დაახლოებით 2500-4000 რუსი სამხედრო მოსამსახურის როტაცია ხდება, ხოლო სატრანსპორტო Ил-76-ები ეზიდებიან ახალ შეიარაღებას (თვითმფრინავებით შემოტანილია ანტისარაკეტო კომპლექსი С-300), მსუბუქ საბრძოლო ტექნიკას, სათადარიგო ნაწილებს, საბრძოლო მასალებს და ა.შ.

სატრანსპორტო თვითმფრინავები გამოიყენება 102-ე ბაზის საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფების ასტრახანის ოლქში აშულუკის პოლიგონზე გადასაყვანად, სადაც საბრძოლო სროლაში ვარჯიშობენ.

საჰაერო ტრანსპორტს აქტიურად იყენებს სომხეთიც. ერთხანს სხვადასხვა სომხურ ავიაკომპანიას რუსული კომპანიებისგან არენდით სატრანსპორტო სამ ათეულამდე Ил-76Т/Ил-76ТД და ათამდე Ан-12Б/Ан-12БК ჰქონდა აღებული.

ეს თვითმფრინავები და აგრეთვე სამხედრო-საჰაერო ძალების სამი სატვირთო Ил-76 დროდადრო თავდაცვის სამინისტროს ინტერესებისთვის სამხედრო გადაზიდვებით არიან დაკავებული.

საჰაერო გზებით სომხებმა შემოიტანეს 273 მმ-იანი ჩინური ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა WM-80, რუსული ანტისარაკეტო კომპლექსი С-300ПМ-1 და ჯავშანავტომობილები ГАЗ-2975 Тигр-ი და სხვა ტექნიკა.

ცოტა ხნის წინ სომხურმა სატრანსპორტო თვითმფრინავებმა მოლდავეთიდან გადაზიდეს რამდენიმე ათასი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა, მისი შესამოწმებელი კომპლექსები, ტრენაჟორები და სხვა იარაღი, რაც მოლდავეთში დიდი სკანდალის მიზეზი გახდა.

**P.S. 28 ნოემბერს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის რკინიგზის თემა დაიხურა, რადგან სოხუმმა ამასთან დაკავშირებით დაინტერესება არ გამოხატა. ამის მიუხედავად რკინიგზის აღდგენის საკითხი ადრე თუ გვიან მაინც დადგება.**

*თემურ ჩაჩანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფოლკსტადი — სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდი ბრუნდება?

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის რეჟიმი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ლეგენდარული ნელსონ მანდელას თაოსნობით წარმოებული 40-წლიანი ბრძოლის შედეგად დაემხო. იქამდე კი მთელი ხელისუფლება XVII საუკუნეში ჰოლანდიიდან ჩამოსახლებული კოლონისტების, აფრიკანერების, ანუ ბურების ხელთ იყო. ამ ხალხის რაოდენობა 3 მილიონზე ოდნავ მეტია, ისე კი სამხრეთ აფრიკაში 50 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს, რომელთა დიდი უმრავლესობა შავკანიანია.

ბურებმა სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე საკუთარი სახელმწიფოები — ორანჟისა და ტრანსვაალის რესპუბლიკები XIX საუკუნის მეორე ნახევარში დააარსეს, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ინგლისელებთან ორჯერ იომეს ეთნიკური თვითმყოფადობის გადასარჩენად. მართალია, ბოლო ომი წააგეს, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში რიგი პრივილეგიები მაინც შეინარჩუნეს.

1948 წლიდან კი აფრიკანერმა ნაციონალისტებმა იმასაც მიაღწიეს, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირში (იმჟამად დიდი ბრიტანეთის დომინიონში) გამოაცხადეს აპარტეიდი — რასობრივი განცალკევების რეჟიმი.

აფრიკანერთა ბატონობას, როგორც ითქვა, გასული საუკუნის 90-იან წლებში ბოლო მოეღო და ხელისუფლება შავკანიანთა ხელში გადავიდა.

სიმართლე რომ ითქვას, ამან ოდნავ მოგვიანებით, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეუქმნა — სამხრეთ აფრიკაში ოცზე მეტი ადგილობრივი ტომი თუ ეროვნება სახლობს და ისინი ენით, ზნე-ჩვეულებებით და ზოგჯერ რასობრივადაც დიდად განსხვავდებიან.

იქამდე, სანამ აპარტეიდის რეჟიმი იყო, აფრიკელები მოკლებულნი იყვნენ მოქალაქეობრივ და ადამიანურ უფლებებს და აფრიკაანსის (ასე ჰქვია აფრიკანერთა ენას) ცოდნაც ყველას მოეთხოვებოდა.

აპარტეიდის გაუქმების შემდეგ კი თითოეულმა ეროვნებამ და ტომმა მშობლიურ ენაზევე მოინდომა სწავლა-განათლებისა და საქმის წარმოების უფლება და ინგლისურისა და აფრიკაანსის ჩათვლით ქვეყანაში 11 ოფიციალური ენა გამოცხადდა. ამგვარმა ენობრივმა პოლიტიკამ კი სეპარატიზმსაც ჩაუყარა საფუძველი, რის გამოც „მთავარ სახელმწიფო ენად“ სასწრაფოდ აქციეს ინგლისური.

ამასთან, აფრიკანერმა ნაციონალისტებმა, რომლებმაც ცივი უარი თქვეს სამხრეთ აფრიკის დატოვებაზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის — საქართველოშიც) გადასასახლებლად მზად მყოფი თანამემამულეები კი მოღალატეებად შერაცხეს. დაიწყეს საუბარი დამოუკიდებელი აფრიკანერული სახელმწიფოს — „ფოლკსტადის“ შექმნასა და შავკანიანთაგან განცალკევებაზე, ანუ აპარტეიდზე — აფრიკაანსზე ეს სიტყვა სწორედ „განცალკევებას“ აღნიშნავს.

## როგორ ყალიბდება „აფრიკული ევროპა“

აფრიკანერები ჰოლანდიელი კოლონისტების შთამომავლები არიან და ძველთაგან მეტად პრაგმატულად აზროვნებენ. თითქმის მაშინვე, როგორც კი აპარტეიდს წყალი შეუდგა, „აფრიკანერ ნაციონალისტთა წინააღმდეგობის ლიგამ“, რომელსაც სათავეში ეჟენ ედუარდ ტერბლანში ედგა, კაპის პროვინციაში (იქ აფრიკანერები მოსახლეობის 80%-ზე მეტს შეადგენდნენ) პარტიული დანაზოგით შეიძინა მიწები, ნაკვეთებად დაყო და პარტიის მოხალისე წევრებს დაუნაწილა. ასე წარმოიშვა პატარა ქალაქი, ანუ კრაალი, რომელსაც ორანია უწოდეს.



აფრიკანერი ნაციონალისტების მეთაური ეჟენ ნეი დე ტერბლანში

დასაბამიდანვე ორანიის მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა აფრიკანერები არიან. თითოეული ოჯახი გაწევრებულია კომპანიაში, რომელსაც „ფლეიტენსკრაალი“ („საქალაქო მმართველობა“) ეწოდება და მისი აქციონერია.

აქციების ყიდვისა და განკარგვის უფლება მხოლოდ აფრიკანერებს აქვთ; შესაბამისად, ქალაქში მათ გარდა, სხვა ვერავინ იცხოვრებს.

ორანიაში შავკანიანებს არ აჭაჭანებენ, იქ ყველა სამუშაოს თეთრკანიანები ასრულებენ. ისედაც, ორანიის მართვა-გამგებლობა, როგორც წესი, კალვინიზმის (პროტესტანტული ქრისტიანობის ერთ-ერთი განშტოება, რომელსაც აფრიკანერები მისდევენ) ნორმებს ეფუძნება: თითოეული აფრიკანერი მიწაზე მუშაობს და ზედმეტ მოსავალს გაჭირვებულ თანამოქალაქეებს უნაწილებს.

თვით ქალაქის მერი, მერიის ყველა თანამშრომელი და პოლიციელებიც კი (ორანიაში ფოლკსპულისი, ანუ სახალხო პოლიცია მოქმედებს) ვალდებულნი არიან, თავად დაამუშაონ საკუთარი მიწის ნაკვეთები.

დღეს ორანიაში 1500-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს, ანუ საშუალოდ 3 ათასზე მეტი კაცი. ქალაქის ტერიტორია საცხოვრებელ კვარტალებთან ერთად, სავარგულებსა და ხუტორებსაც მოიცავს და აფრიკანერული ტრადიციის თანახმად, შემოღობილია.

იქ არაა ცათამბჯენები და საერთოდ, ორანია ტრადიციულ ქალაქს არც ჰგავს: მთელ ქალაქში ერთგვარი ორ და სამსართულიანი სახლებია, ქუჩებიც თანაბრადაა დაპროექტებული და კარგად მოვლილი. ორანიაში მთელი ქონება ისე ნაწილდება, რომ მდიდრები და ღარიბები არ არსებობენ.

მეორე წმინდად აფრიკანერული დასახლებაც აგრეთვე კაპის პროვინციაშია, — მას კლეინფონტეინი ეწოდება და ანალოგიური პრინციპითაა მოწყობილი.

როგორც ორანია, ისიც კერძო კომპანიის საკუთრებაა და შავკანიანებს იქ ცხოვრების უფლება არ აქვთ; ორანიისგან განსხვავებით, კლეინფონტეინი უფრო მესაქონლეების, ანუ ტრეკ-ბურების დასახლებაა. აქაურებს საქონლის ჯოგები ჰყავთ და საძოვრებზე დაატარებენ. ამის გამო კლეინფონტეინის ტერიტორია ფართობით ოდნავ აღემატება თბილისს, თუმცაღა იქ სულ რაღაც 2 ათასზე მეტი აფრიკანერი ცხოვრობს.

ისინი თავად მწყემსავენ თავის საქონელს და ზედმეტ მოგებას, როგორც წესი, გაჭირვებულებს უნაწილებენ. ქალაქელები ერთად წყვეტენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა სავაჭრო ურთიერთობები სამხრეთ აფრიკის სხვა პროვინციებსა და თავად კაპთანაც კი, სადაც კლეინფონტეინი მდებარეობს. სხვათა შორის, ორანიაშიც და კლეინფონტეინშიც ფულის საკუთარი ერთეული — ორა აქვთ, ვაჭრობით მხოლოდ კლეინფონტეინი ვაჭრობს გარე სამყაროსთან.

ერთი სიტყვით, გაერთიანებების, ამხანაგობებისა თუ კომპანიების სახით ამჟამად აფრიკანერები „თეთრ“ დასახლებებს ქმნიან, რომლებიც გარე სამყაროზე ეკონომიკურად დამოკიდებულნი არ არიან. აქედან დამოუკიდებელი ფოლკსტადის (ეს სიტყვა „სახალხო სახელმწიფოს“ ნიშნავს) საზღვრების მონიშვნამდე ერთი ნაბიჯია.

აფრიკაანსის ენაზე სამხრეთ აფრიკაში 10 მილიონამდე კაცი მეტყველებს, მაგრამ აქედან მხოლოდ 3 მილიონი ითვლება აფრიკანერად, რადგანაც თეთრკანიანია.

შავები და „ფერადკანიანები“ (ასე ეძახიან იქ მულატებს) აფრიკანერებად არ ითვლებიან. ამის გამო, ცხადია, ფოლკსტადში არ მოხვდება ის ქალაქები, სადაც უმრავლესობა შავი ან ფერადკანიანია: „ჩვენ ვისწავლეთ ჭკუა და შავკანიანებს ახლოს აღარ გავიკარებთ. აქ, სამხრეთ აფრიკაში, ჩვენი მშობლიური მიწაა, აქ ჩამოვყალიბდით ერად და აქვე უნდა ვიცხოვროთ“, — განაცხადა აფრიკანერ ნაციონალისტთა ლიდერმა იან დე ბოთამ გაზეთ „ფოლკსხენოოტესთან“ ინტერვიუში გასულ წელს. მანვე სხვა ქვეყნებში გადახვეწილი აფრიკანერები „მოღალატეებად“ მოიხსენია და აღნიშნა, რომ მაშინ, როცა აფრიკანერი ფერმერები შავკანიანთა თავდასხმებით ზარალდებიან, უცხოეთში გაქცევა დანაშაულზე მეტია.

„აფრიკული ევროპის“ ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ასევე აფრიკანერების გასამხედროებული ორგანიზაციები, რომლებიც დღეს „მონადირეთა არტელების“ საფარს მიღმა იქმნება.

ესენი არიან კარგად გაწვრთნილი სამთო ეგერები და სულ ადვილად შეუძლიათ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიონ ნებისმიერ არმიას, რასაკვირველია, პარტიზანულ ომში.

აფრიკანერები პარტიზანული ომის დიდოსტატები არიან, მათ სწორედ ასე მოიგეს პირველი ომი ინგლისელებთან (1880-81 წწ.). ოცი წლის შემდეგ მეორე ომში კი ნისლიანი ალბიონის შვილებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს.

ამას ემატება ისიც, რომ აპარტეიდის რეჟიმის დროს სამხრეთ აფრიკის არმია, ძირითადად, აფრიკანერებით კომპლექტდებოდა და როდესაც შავკანიანებმა ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს, პროფესიონალი მეომრები ერთი ხელის დაკვრით დაითხოვეს არმიიდან. ის ხალხი კი ნაციონალისტებს მიეკედლა და „მონადირეთა არტელები“ შექმნა. სამხრეთ აფრიკის ლიბერალურ მასმედიაში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ამჟამად აფრიკანერი „მონადირეები“ ცხოველებზე იმდენად არ ნადირობენ, რამდენადაც შავკანიანებზე.

## „შავ-თეთრი“ დაპირისპირება სამხრეთ აფრიკაში

„აპარტეიდის“ დამხობის დღიდანვე სამხრეთ აფრიკაში თეთრებსა (რომელთა დიდ ნაწილს აფრიკანერები შეადგენენ) და შავებს შორის გაათფრებული შეტაკებები დაიწყო. შავკანიანებმა, რომლებიც იქამდე სპეციალურად მათთვის გამოყოფილ ტერიტორიებზე, ბანტუსტანებში ცხოვრობდნენ, ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე მოინდომეს თეთრკანიანების ნაყოფიერი მიწებიდან განდევნა და ჩანაფიქრის აღსასრულებლად ძალადობას მიმართეს.

1990-2000 წლებში სამხრეთ აფრი-

კაში რამდენიმეჯერ დაარბიეს აფრიკანერები, რომელთაგან ყველაზე მასშტაბური 1994 წლის მოვლენები იყო. მაშინ შავკანიანმა კაფრებმა კეიპტაუნის „თეთრი უბანი“ დაარბიეს და 25 კაცი მოკლეს, ორი ამდენი კი დაასახიჩრეს.

აფრიკანერებმა, რომლებიც ძალადობას ყოველთვის პასუხობდნენ, შურის საძიებლად კაფრების უბანი იავარყვეს, — დახოცეს 50 კაცზე მეტი, 100-მდე კი მძიმედ დაჭრეს.

ამის შემდეგ შეიქმნა „აფრიკანერთა დაცვის კორპუსი“, რომელიც მასმედიამ მაშინვე „ახალ კუ-კლუქს-კლანად“ მონათლა, — აფრიკანერ დამცველებს ისე ეცვათ, როგორც აშშ-ის სამხრეთში კუ-კლუქს-კლანელებს. შავკანიანები მათ „თეთრ აჩრდილებს“ ეძახდნენ. „აჩრდილებმა“ შეძლეს, რომ აფრიკანერებით დასახლებულ კაპის პროვინციაში შავკანიანთა თარეში ჯერ შემცირდა, მერე კი საერთოდ შეწყდა. ამიტომაც სამხრეთ აფრიკის სხვა პროვინციებში მცხოვრებმა აფრიკანერებმა კაპში გადასვლას მოუხშირეს.

აფრიკანერების გადასახლების, ანუ ტრეკის შედეგად, თეთრკანიანი მოსახლეობა თითქმის გაქრა ტრანსვაალში, ორანჟ-ფრაისტადში და სხვა პროვინციებში, კაპში კი, პირიქით, გაორმაგდა. შესაბამისად, აფრიკანერმა ნაციონალისტებმა დაიწყეს სჯა-ბაასი ფოლკსტადზე, ანუ „აფრიკულ ევროპაზე“.

სანაცვლოდ კი მათი ლიდერი ეჟენ ნეი დე ტერბლანში (ეჟენ ედუარდ ტერბლანშის შვილი) შავკანიანებმა სამხრეთაფრიკელ ჰიტლერად შერაცხეს და მისი დაპატიმრება მოითხოვეს.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ტერბლანშ-უმცროსს ხელისუფლების მესვეურებმა ხელი ვერ ახლეს, მას დეპუტატის მანდატიც იცავდა და აფრიკანერი დამცველებიც. ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ სამხრეთაფრიკელმა ჰიტლერმა შავკანიანების მორიგი დარბევისას რამდენიმე კაცი იმ ქვეყნად არ გაისტუმრა.

2001 წელს ეჟენ ნეი დე ტერბლანში დააპატიმრეს და 4 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცაღა, მხოლოდ 3 წელი მოიხადა და მერე ორანიაში, საკუთარ ფერმაში დაბრუნდა, სადაც შინაპატიმრობაში იყო და წერდა ნაშრომს „ვინ ვართ ჩვენ — აფრიკანერები?“. ტერბლანში ამტკიცებდა, რომ აფრიკანერ ფერმერებს კაპის პროვინცია საერთო ძალით, კანონიერად უნდა შეესყიდათ კაპის პროვინციის ის მიწები, სადაც შემდგომში ფოლკსტადი შეიქმნებოდა.

2010 წლის 3 აპრილს შუაღამის 2 სთ-ზე, ორანიაში, ტერბლანშის ფერმაში ორი შავკანიანი კილერი შეიპარა, რომლებმაც მძინარე სამხრეთაფრიკელ ჰიტლერს ხელჯოხების ცემით ამოხადეს სული.

დილით ფერმაში მომუშავეებმა ტერბლანში მოკლული ნახეს, როგორც დადგინდა, აფრიკანერ ნაციონალისტთა ლიდერს ძილის წამალი ჰქონდა მიღებული და თავდასხმისას, ვერც კი გამოერკვა, ისე ამოხდა სული.

ტერბლანშის მკვლელებს ვერ მიაგნეს, თუმცაღა, ნაციონალისტებმა კაპის „შავი ქალაქები“ (ასე უწოდებენ სამხრეთ აფრიკაში დასახლებულ პუნქტებს, სადაც უმეტესად შავკანიანები ცხოვრობენ) ძირისძირობამდე გაჩხრიკეს და ერთი-ორჯერ დაარბიეს კიდეც.



ინგლის-ბურების 1880-1881 წლების ომისდროინდელი აფრიკანერი პარტიზანები

„შავ-თეთრი“ დაპირისპირება სამხრეთ აფრიკაში დღესაც გრძელდება, აფრიკანერი ნაციონალისტები კი მიწების შესყიდვას მაინც განაგრძობენ. მათი თქმით, ფოლკსტადი მაინც შეიქმნება და ის სწორედაც რომ „აფრიკული ევროპა“ იქნება.

## ეროვნულ-ენობრივი პოლიტიკა სამხრეთ აფრიკაში

მიუხედავად იმისა, რომ აპარტეიდის რეჟიმი კარგა ხანია დაემხო და აფრიკული ენებიც სწავლა-განათლებასა და საქმის წარმოებაში მკვიდრდება, აფრიკაანსი სამხრეთ აფრიკის ყოველდღიურ ცხოვრებაში მაინც უდიდეს როლს ასრულებს.

იქიდან გამომდინარე, რომ აფრიკანერებს დღეს სამხრეთ აფრიკაში ათვალწუნებით ეპყრობიან, ხელისუფლება ცდილობს, აფრიკაანსს ინგლისური შეუნაცვლოს, რასაც სხვათა შორის, წარმატებითაც ახერხებს, თუმცა, კაპის პროვინციაში აფრიკაანსი მაინც არ თმობს პოზიციებს: „ფერადკანიანები“, რომელთათვის ეს ენა მშობლიურია, ძნელად ითვისებენ ინგლისურს; მთავრობაც იძულებულია, აფრიკაანსი შეზღუდულად, მაგრამ მაინც გამოიყენოს.

ერთი სიტყვით, შავკანიანებმა ხელისუფლება კი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ ძველი სისტემის ნაცვლად ახლის შემოღება საკმაოდ უძნელდებათ, რის გამოც აფრიკანერები ამტკიცებენ, თითქოსდა „შავ რასას“ ქვეყნის მართვა არ შეეძლოს.

**მიხეილ ლაბაძე**



სამხრეთაფრიკული პოლიცია აფრიკანერ ნაციონალისტს აკავებს


არსენალი
PHL-03

ეროვნული ბიბლიოთეკა



▲ ეგვიპტის მტრებთან საბრძოლველად მიმავალი, საბრძოლო ეტლზე ამხედრებული ეგვიპტის ფარაონი ტუტანხამონი მშვილდს ისვრის.

**107** სავარაუდოდ, ძველი ეგვიპტელები თავიანთ თმას იყენებდნენ ჯავშნად. ზოგიერთი ძველი ეგვიპტელი ძალიან გრძელ თმას იზრდიდა, შემდეგ სქლად იწნავდა და თავზე იხვევდა, როდესაც ბრძოლაში მიდიოდა. სავარაუდოდ, თმა თავს დაზიანებისგან იცავდა.



**108** ზოგიერთ ეგვიპტელ ჯარისკაცს თავისივე სიდიდის ფარი ჰქონდა. დაახლოებით ძვ. წ. 1800-იან წლებში ჯარისკაცები ატარებდნენ ფარებს, რომელიც ადამიანის სიმაღლის იყო. როდესაც მტერი შეუტევდა, ფარებს აიფარებდნენ, შემდეგ გამოხტებოდნენ და შუბებით იწყებდნენ ბრძოლას.



**109** ეგვიპტელი ქვეითი ჯარისკაცები ხშირად საბრძოლო ნაჯახებით იბრძოდნენ. ჯარისკაცებს, რომლებიც ფარაონს (მეფეს) იცავდნენ, ბრინჯაოს მძიმე საბრძოლო ნაჯახები ჰქონდათ და ბრძოლაში მტერს სასიკვდილო დარტყმას აყენებდნენ.

▲ ეგვიპტური საბრძოლო ნაჯახის მოხრილი პირი. ამ იარაღს შეეძლო გაეპო ნებისმიერი აბჯარი ან ფარი, რომლებიც იმ დროს გამოიყენებოდა. ამ ტიპის ნაჯახი საჭიროდ გამოიყენებოდა, როცა სხვა ტიპის ნაჯახებს აბჯრის გასაკვეთად იყენებდნენ.

**110** ასირიელები გრძელ ჯაჭვის პერანგს ატარებდნენ. ძვ. წ. 900-იან წლებში ზოგიერთი ასურელი ჯარისკაცი ჯაჭვის აბჯარს ატარებდა. ერთმანეთზე გადაბმული მეტალის რგოლები ხმლებისა და შუბების დარტყმას უძლებდა.

**111** ბაბილონელების ჯავშანი კაშკაშა ფერის იყო. დაახლოებით ძვ. წ. 1000-იან წლებში უძველესი ქალაქი ბაბილონი, მესოპოტამიაში (ახლ. ერაყის ნაწილი), ცნობილი იყო სიმდიდრით. ბაბილონელი ჯარისკაცები ატარებდნენ აბჯარს, რომელსაც ხშირად კაშკაშა ფერად ღებავდნენ, რათა ბრძოლისას მტრისთვის თვალი მოეჭრათ



► ასურელთა ჯარი მესოპოტამიის გამაგრებულ ქალაქს უტევს სალეწი კოჭურებითა და მშვილდოსნებით

# ჰოპლიტები და ფალანგები



ეროვნული ბიბლიოთეკა

**112** ჰოპლიტები აბჯრიანი ქვეითები იყვნენ. დაახლოებით ძვ. წ. 700-იანი წლებიდან ბერძენი ქვეითები აღჭურვილი იყვნენ ფარით, მუზარადით, შუბითა და ხმლით. მათ ჰოპლიტები (აბჯრიანი კაცები) ეწოდებოდათ. თითოეულ ჰოპლიტს თავისი იარაღი და აბჯარი ჰქონდა.

**113** ბერძენი, რომელიც ფარს დაკარგავდა, მხდალად ითვლებოდა. ჰოპლიტის ხის ან ბრინჯაოს ფარი სიგანეში ერთი მეტრი იყო. ფარი ძალიან მძიმე იყო და თუ ვინმე შეეცდებოდა მოწინააღმდეგეს გაჰქცეოდა, მაშინ მისი გადაგდება მოუწევდა, ასე რომ, იმ ჯარისკაცებს, რომლებიც ბრძოლაში ფარებს დაკარგავდნენ, ხშირად სიმხდალეში სდებდნენ ბრალს.

**114** ჰოპლიტების საბრძოლო წყობას ფალანგა ეწოდება. ბრძოლის ველზე ჰოპლიტები ერთმანეთის მხარდამხარ დგებოდნენ ისე, რომ მათი ფარები ერთმანეთს ფარავდა, ფარების ზემოდან კი წინ მიმართული შუბები ეკავათ. ფალანგა ერთიმეორის უკან დაწყობილი ექვსი ან მეტი ჰოპლიტების მწკრივისაგან შედგებოდა.

**115** ბერძნულ შუბს ტარის ბოლოს დამაგრებული ჰქონდა ე. წ. „ხვლიკების მკვლელი". ეს იყო ბრინჯაოს წვერიანი ბუნიკი — საუროტერი, რომლითაც შუბს მიწაში არჭობდნენ, როცა არ სჭირდებოდათ.

**116** საუკეთესო მუზარადები მთლიანი მეტალისგან მზადდებოდა. ბერძნული ქალაქ კორინთოს მარჯვე მჭედლები მუზარადს ბრინჯაოს ერთი ნაჭრისგან აკეთებდნენ. ასეთი მუზარადი ბევრად გამძლე იყო, ვიდრე ის, რომელსაც მეტალის რამდენიმე ნაჭრისგან ამზადებდნენ. ამ მუზარადებს „კორინთულს" უწოდებდნენ.



► ბერძენი ჯარისკაცების გამარჯვება ბრძოლაში დამოკიდებული იყო მჭიდრო საბრძოლო წყობის შენარჩუნებაზე. მათი ფარების ხაზი მოწინააღმდეგეს ვერ უნდა გაერღვია.

## დაუჯერებელია!

სპარტელი ჰოპლიტები ისეთი ძლიერები იყვნენ, რომ ნებისმიერი ბრძოლის მოგება შეეძლოთ, თუნდაც მოწინააღმდეგე მათზე ხუთჯერ მრავალრიცხოვანი ყოფილიყო!

# სირიაში სამოქალაქო ომი გამძაფრდა



ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1-ის დაცვის სირიული ვარიანტი

**არაბული რევოლუციების ტალღას სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ასადის რეჟიმმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია. სამოქალაქო დაპირისპირების მეორე წელი იწურება, თუმცა, გამარჯვებულ-დამარცხებულის გარკვევა ჯერ ისევ ძნელია.**

მაისიდან სირიაში სამოქალაქო ომი ახალ სტადიაზე გადავიდა, — არმია ავიაციისა და ჯავშანტექნიკის დიდი უპირატესობის ხარჯზე უშედეგოდ ცდილობს კონფლიქტში გარდატეხის შეტანას.

ეს მით უფრო გასაკვირია, როცა სირიელმა მფრინავებმა და ტანკისტებმა ისრაელთან ომებში მდიდარი საბრძოლო გამოცდილება დააგროვეს, მაგრამ ჩანს, რომ სამოქალაქო ომისთვის ეს ცოდნა საკმარისი არ არის.

ბევრმა სირიელმა გენერალმა და ოფიცერმა სამხედრო განათლება რუსეთში მიიღო, ალბათ, მათ ლექციებს ჩეჩნეთის ომსა და ქალაქ გროზნოში ჯავშანტექნიკის მარცხიან გამოყენებაზეც წაუკითხავდნენ.

მაგრამ ეს ცოდნა სირიის არმიას ქვეყნის დასახლებული პუნქტების აღებაში, აჯანყებულთა წინააღმდეგობის დათრგუნვაში არ შველის და დანაკარგიც დღითი დღე მატულობს.

ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში ჯავშანტექნიკამ სისწრაფე-მანევრულობა დაკარგა და ხაფანგად იქცა, სადაც ტანკებსა და ჯავშანტრანსპორტიორებთან ბრძოლაში ცეცხლგამჩენსითხიანი ბოთლები ეფექტურ საშუალებად გადაიქცა.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციონერები შეიარაღებულ წინააღმდეგობაზე გადავიდნენ, სირიის არმიის დამწვარ-აფეთქებული ჯავშანტექნიკის ფოტოებიც მომრავლდა.

ზაფხულიდან არმიამ სამოქმედო ტაქტიკა შეცვალა, აჯანყებულთა პოზიციებს ჯერ არტილერია-ავიაცია ამუშავებს, ხოლო შემდეგ მოქმედებას ტანკები და ქვეითთა საბრძოლო მანქანები იწყებენ, ოღონდ ქვეითთა მხარდაჭერის გარეშე, რასაც თავის მხრივ ჯავშანტექნიკის დიდი დანაკარგი ახლავს.

მიზეზი სირიელი ჯარისკაცების სუსტი აღჭურვილობაა. მათი ერთადერთი დამცავი საშუალება მუზარადია და ძალიან ცოტას აცვია ჯავშანჟილეტი. ასევე მოკლებული არიან ინდივიდუალური რადიოკავშირისა თუ ღამის ხედვის საშუალებებს, დაბალია საცეცხლე-ტაქტიკური მომზადება და ა.შ.

ზოგჯერ სამთავრობო ჯარები ქუჩებში ბრძოლისას დროს საფრად მშვიდობიან მოსახლეობას იყენებენ.

აჯანყებულთა მობილური რაზმების



„მოლოტოვის კოქტეილის“ მომზადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი ტანკსაწინააღმდეგო იარაღი РПГ-7 და მისი გადაკეთებული ვარიანტებია — РПГ-7-ის გასროლზე ცეცხლგამჩენი სითხით სავსე პლასტმასის ორი 100-150-გრამიანი ბოთლი ან დამატებით ფეთქებადი ნივთიერება სკოჩით არის დამაგრებული.



დამატებით ფეთქებადი ნივთიერებებით დატვირთული РПГ-7

მართალია, ასეთი ჭურვის სროლის სიშორე ნაკლებია, ჯავშანგამტარობა მცირდება, სიზუსტე უარესდება და მოცულობითი აფეთქებაც არ ხდება, სამაგიეროდ, სამიზნეს გარედან ცეცხლი ეკიდება.

РПГ-7-ის გასროლებით კი მეტწილად ტანკების ყველაზე ნაკლებად დაცული — გვერდითი და უკანა ნახევარსფეროები ზიანდება.

თანაც სატანკო ქვედანაყოფებს სირთულეს ქუჩის ბარიკადები, შენობათა ნანგრევები, დამწვარი ავტომობილები და სხვა დაბრკოლებები უქმნიან, რის გამოც მოძრაობა შეჩერებებითა და დაბალ სიჩქარეებზე უხდებათ, რაც დამიზნებას მნიშვნელოვნად აადვილებს.

თავდაპირველად სირიის არმია მოძველებულ და დინამიკური დაცვის არმქონე ტანკებს იყენებდა, მაგრამ დანაკარგის ზრდის გამო ბრძოლებში ახლა სულ უფრო ხშირად დინამიკური დაცვის მქონე ტანკები (T-55AMB, T-72AB და სხვ.) გამოიყენება.

რაც შეეხება ქვეითთა საბრძოლო მანქანებსა და სხვა მსუბუქ ჯავშანტექნიკას, ამ შემთხვევაში ეკიპაჟები საკუთარი ძალებით ბორტებს ლითონის ნაწილებით, საბურავებით ან ქვიშიანი ტომრებით ფარავენ, მაგრამ დაცვის ეს პრიმიტიული გზა სათანადო ეფექტს არ იძლევა.

ცეცხლმოდებული ჯავშანტექნიკიდან ეკიპაჟისთვის გადარჩენის ერთადერთი შანსი მისი სწრაფად დატოვებაა, თუ ისიც დროულად მოხერხდა.

მაინცდამაინც დიდი თავდადებით სამთავრობო ტანკისტებიც არ გამოირჩევიან და ამჟამად აჯანყებულთა ხელში ათეულობით ტექნიკურად გამართული ტანკი და ქვეითთა საბრძოლო მანქანაა.

თანდათან ოპოზიციონერთა წინააღმდეგობა ორგანიზებული და მედგარი ბრძოლის სახეს იღებს, რაც ხშირად სამთავრობო ჯარებისთვის დიდი დანაკარგით მთავრდება.

ივლისში თურქეთის საზღვრის ახლოს, ქალაქ აზაზისთვის სამკვირიან ბრძოლაში არმიამ 20 ტანკი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა დაკარგა.

მესამე თვეა ბრძოლა მიმდინარეობს ქალაქ ალეპოსთვის. არადა, ოპერაციის დასაწყისში სამთავრობო ძალები ქალაქის დაკავებას 20 დღეში გეგმავდნენ.

5 ნოემბერს ალეპოსთან აჯანყებულთა ტანკმა სამთავრობო ტანკი პირდაპირი გასროლით ააფეთქა და ახლა ქალაქისთვის ბრძოლაში არმიის ჯავშანტექნიკის დანაკარგმა რამდენიმე ათეულს გადააჭარბა.

ასადის არმიას ასეულობით ჯავშანტექნიკა გაუნადგურდა და დანაკარგიც ყოველდღიურად მატულობს, მაგრამ მარაგი ჯერ ისევ დიდია.

უკვე შეიმჩნევა საწვავისა და მომზადებული ტანკისტების ნაკლებობა, რაც მთლიანობაში არმიის ბრძოლისუნარიანობაზე აისახება.

რამდენიმე დღის წინ იდლიბის პროვინციაში ქალაქ ალ-ატარიბას მახლობლად ბაშარ ასადის ოპოზიციონერებმა სამხედრო აღლუმი ჩაატარეს და წარმოდგენილ ტექნიკას შორის ტანკებიც იყო.

პირველად აჯანყებულებმა ტანკები 2 აგვისტოს სასაზღვრო ქალაქ აზაზიდან 5 კმ-ში მდებარე სამხედრო აეროდრომზე თავდასხმისას გამოიყენეს.

ახლა ქალაქ ალეპოსთვის ბრძოლაში აჯანყებულები ჯავშანტექნიკის რამდენიმე ერთეულს იყენებენ, მაგრამ საავიაციო მხარდაჭერის უქონლობის გამო ამას მაინც შეზღუდული ხასიათი აქვს.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ერაყელი ვეტერანები სირიელ აჯანყებულებს გზების დანაღმვისა და ჩასაფრებიდან ჯავშანკოლონებთან ბრძოლის მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ.

იმავდროულად, ერაყელი ვეტერანები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა-რუსულ ჯავშანტექნიკასთან ბრძოლა ბევრად იოლია, რადგან ხარისხით ის ამერიკულს ჩამოუვარდება.

*თემურ ჩახანიძე*



თვითნაკეთი ყუმბარმტყორცნი



კიბუც დეგანიასთან 1948 წლის 20 მაისს განადგურებული სირიელთა ტანკი R-35s-ი

# სირიის ჯავშანსატანკო ჯარები

1946 წლის იანვარში სირიის ტერიტორია საფრანგეთის არმიის ბოლო ქვედანაყოფებმა დატოვეს და თავიანთი მსუბუქი ტანკები Renault R-35s-ი ადგილობრივ სამხედროებს დაუტოვეს.

იმავე წელს სირიის არმიის 1-ლი ბრიგადის შემადგენლობაში ორი ქვეითი და ერთი სატანკო ბატალიონი ჩამოყალიბდა.

1948 წლის 20 მაისს კი სირიელი ტანკისტების საბრძოლო ნათლობა შედგა, როცა ებრაელთა კიბუცს, დეგანიას ხუთი ტანკით შეუტიეს და მარცხიც იწვნიეს.

კიბუცის დამცველებმა 20 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებითა და ცეცხლგამჩენსითხიანი ბოთლებით შეტევა მოიგერიეს და სამი ტანკი მწყობრიდან გამოიყვანეს.

60-იანი წლების დასაწყისში სირიის არმია საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიური T-34-85-ებითა და T-54A-ებით შეივსო, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყანაში ნაყიდი მეორე მსოფლიო ომის გერმანული PzKpfw.IV-ები და StuG.III-ები დაემატა.

სირიელებმა გერმანული ტანკები საცეცხლე წერტილებად გოლანის სიმაღლეებზე განალაგეს, სადაც მდინარე იორდანეს კალაპოტის შესაცვლელი სამუშაოს დაწყებას აპირებდნენ. პროექტი მდინარე იორდანეს წყლის 60%-ის სხვა მიმართულებით გაშვებას ითვალისწინებდა, რაც ისრაელს დიდ საფრთხეს უქმნიდა.

მაშინ სირიელმა და ისრაელელმა ტანკისტებმა ერთმანეთის ძალები ე. წ. „წყლის“ ინციდენტების დროს კიდევ ერთხელ მოსინჯეს.

პირველ ბრძოლაში, 1964 წლის 3 ნოემბერს, დანაკარგს ორივე მხარე გადაურჩა, მაგრამ 13 ნოემბერს ისრაელელთა „შერმანებმა“ და „ცენტურიონებმა“ სირიელთა ორი ტანკი და ორი ქვემეხი გაანადგურეს.

1967 წლის ივნისში ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის მორიგი ომი დაიწყო, რომელიც სამხედრო ისტორიაში „ექვსდღიანი ომის“ სახელით შევიდა.

9 ივნისს ისრაელის არმიამ შეტევა სირიის წინააღმდეგ გოლანის მთიან ადგილებში განავითარა და მთავარი დარტყმა სირიელთა მე-14 და 44-ე ჯავშანსატანკო ბრიგადებს (ორივე ბრიგადა საბჭოთა T-54A/T-55-ებით იყო აღჭურვილი) მიაყენა.

მძიმე ბრძოლებით 10 ივნისის ბოლოს ისრაელელთა „ცენტურიონებმა“ და „პატონებმა“ სირიის სიღრმეში ზოგან 26 კმ-ით შეჭრა შეძლეს. იმავე დღის ბოლოს კი ცეცხლის შეწყვეტაზე მიღწეული შეთანხმებით საბრძოლო მოქმედებები შეჩერდა.

„ექვსდღიან ომში“ სირიამ ჯავშანტექნიკის 73 ერთეული დაკარგა, ხოლო 120 კი ისრაელს ალაფად დარჩა. თავად ისრაელელთა დანაკლისმა 160 ტანკი შეადგინა.

1973 წლის ომში სირია ისრაელისთვის რევანშის აღებისა და წინა ომში დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად მოემზადა.

საბჭოთა სამხედროთა დახმარებით დამასკომ მოკლე დროში შექმნა ძლიერი და თანამედროვე ჯავშანსატანკო ჯარი, რომელიც 2 დივიზიას, 3 ბრიგადასა და კიდევ რამდენიმე ცალკეულ სატანკო ქვედანაყოფს აერთიანებდა.

სირიელთა ჯავშანტექნიკის (1350 ერთეული) დიდ ნაწილს საბჭოთა წარმოების ტანკები (T-54, T-55, T-62, ПТ-76) შეადგენდა.

1973 წლის 6 ოქტომბერს 13-50 სთ-ზე გოლანისკენ არტილერიისა და ავიაციის ერთსაათიანი დარტყმის შემდეგ სირიის არმია შეტევაზე სამი მიმართულებით გადავიდა და მოწინააღმდეგის პოზიციათა გარღვევას 3 ჯავშანსატანკო და 1 მექანიზებული ბრიგადის ძალებით შეეცადა. დიდი დანაკარგის მიუხედავად, დღის ბოლოს ზოგიერთ

ადგილზე 18-20 კმ-ით წინ წაწევა მაინც მოხერხდა.

ბრძოლა ღამითაც გაგრძელდა, სადაც სირიელი ტანკისტები ღამის ხედვის ხელსაწყოების ხარჯზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ სუსტი მომზადება უპირატესობის გამოყენებას საშუალებას არ აძლევდა და დიდ დანაკარგსაც განიცდიდნენ.

7 ოქტომბერს დილიდან ორივე მხარემ სარეზერვო-სატანკო ქვედანაყოფები შემოიყვანეს და ისრაელელმა მებრძოლებმა მედგარი წინააღმდეგობით სირიელთა ყველა შეტევა მოიგერიეს.

ორ დღეში სირიამ დაახლოებით 650-მდე ტანკი დაკარგა და იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ 8 ოქტომბერს შეტევაზე გადასული ისრაელის არმიის შესაჩერებლად დამასკოს ერაყისა და იორდანიის ტანკების დახმარება დასჭირდა.

ისრაელმა გოლანის სიმაღლეებზე დაკარგული პოზიცია არა მარტო დაიბრუნა, არამედ სირიის სიღრმეში 10-20 კმ-ით შეიჭრა, შეტევებს განაგრძობდა და დამასკომდე 30 კმ ჰქონდა დარჩენილი.

კრიტიკულ სიტუაციაში სირია სრული ფიასკოსგან ცეცხლის შეწყვეტაზე მიღწეულმა შეთანხმებამ გადაარჩინა.

სირიელ ტანკისტებს კიდევ ერთი ომის გადატანა ლიბანში 1982 წელს მოუხდათ, სადაც სირიელი სამხედროები 1976 წელს სამოქალაქო ომის დროს მხარეთა დაშორიშორების მიზნით სამშვიდობო მანდატით შევიდნენ.

კონტინგენტი 25 ათას მშვიდობისმყოფელს ითვლიდა და მათ განკარგულებაში 300-მდე ტანკი იყო, საიდანაც 100-მდე სირიის ტერიტორიაზე ლიბანის საზღვრის ახლოს იყო განთავსებული.

სირიელთა სატანკო ბრიგადები T-62-ებით, ხოლო მექანიზებულები კი T-55-ებით იყო აღჭურვილი.



დამწვარი საპოლიციო БРДМ-2

1982 წლის 6 ივნისს 11 სთ-ზე ისრაელის არმიამ (ცახალი) ლიბანის საზღვარი სამ ადგილზე გადაკვეთა და პალესტინელთა გამოდევნას შეუდგა.

ისრაელს სირიასთან დაპირისპირება არ დაუგეგმავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სირიის სარდლობამ ბეირუთი-დამასკოს შოსეზე ცახალის გასვლის საფრთხე დაინახა, ორი სატანკო ბრიგადით ქარუნის ტბასთან პოზიცია გაიმაგრა და შეტაკებებიც პირველად იქ გაიმართა.

სირიელი ტანკისტები ასევე მონაწილეობდნენ ბეირუთის დაცვის ბრძოლებში და მოწინააღმდეგეს დიდ წინააღმდეგობასაც უწევდნენ.

ლიბანის პირველ ომში სირიის არმიამ 375 ტანკი (მათ შორის 20 T-72 იყო) დაკარგა, საიდანაც 87 ტანკი ისრაელს გამართულ მდგომარეობაში დარჩა.

მრავალრიცხოვანი დანაკარგი ისევ სირიელ ტანკისტთა სუსტმა მომზადებამ განაპირობა.

სირიის არმიის ჯავშანსატანკო დივიზია კოალიციური ჯარების შემადგენლობაში მონაწილეობდა 1991 წელს სპარსეთის ყურეში ერაყის წინააღმდეგ წარმოებულ ოპერაციებში, თუმცა, მაშინდელი ბრძოლების შესახებ არაფერია ცნობილი.

ისრაელთან ომებში სირიელი ტანკისტები მეტწილად საერთო-საჯარისო ამოცანების (შეტევა, თავდაცვა, შემხვედრი ბრძოლა, საცეცხლე წერტილების ჩახშობა და ა.შ.) შესრულებით იყვნენ დაკავებული.

სამოქალაქო ომის წინ სირიის არმია დაახლოებით 5 ათას ტანკს ითვლიდა: 2250 — T-55 (T-55MB, T-55AMB), 1000 — T-62 (T-62K, T-62M) და 1500-1700 — T-72 (T-72M, T-72M1, T-72AB);

მსუბუქი ჯავშანტექნიკა: ქვეითთა საბრძოლო მანქანები — 2450 БМП-1/БМП-2, ჯავშანტრანსპორტიორები — რამდენიმე ათეული ამერიკული M-113, 1000 БТР-50/БТР-60/БТР-70 და БТР-152K;

საპოლიციო ძალების შეიარაღებაშია: 600-მდე საბჭოთა БРДМ-2, რამდენიმე ასეული ბრიტანული Shorland SB 401 და ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი.

*თემურ ჩაჩანიძე*


გერმანულ PzKpfw.IV-ებს სირიის არმია გოლანის სიმაღლეებზე საცეცხლე წერტილებად იყენებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფი COS-ი

**(დასასრული, დასაწყისი იხ. „არსენალი“ №24, 2012 წ.)**

საზღვაო კომანდოსების თითოეული ქვედანაყოფის შემადგენლობაში შტაბი და ოთხი საბრძოლო ოცეული შედის. მეთაურისა და მეთაურის მოადგილესთან ერთად შტაბში ირიცხება საზღვაო დაზვერვის ოფიცერი, ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტის ორი სპეციალისტი, ორი რადისტი და ნავიგაციის სამი სპეციალისტი.

ოცეულები ორ გუნდად იყოფა და თითოეულ კონკრეტულ დავალებას ასრულებს. მაგალითად, მზვერავები მოვალენი არიან სანაპიროზე დესანტის გადასხმის ადგილი კარგად დაზვერონ და ტერიტორიის ხელში ჩაგდების ოპტიმალური ვარიანტი მოამზადონ.

მოიერიშე ჯგუფი ვალდებულია მძიმე შეიარაღების ოცეულის ცეცხლის დაცვის დახმარებით სანაპიროს წინასწარ დაგეგმილი მონაკვეთი დაიკავოს და დესანტის გადასხმამდე შენარჩუნოს.

დესანტირებისთვის გამოიყენება თვითმფრინავები, შვეულმფრენები, ხომალდები და წყალქვეშა ნავები. შვეულმფრენებიდან დესანტირებისას ფრენის სიმაღლის გათვალისწინებით მედესანტეები ძირს პარაშუტებით ან ბაგირებით ეშვებიან.

საჰაერო გზით დესანტირებისთვის კომანდოსები, ჩვეულებრივ, Super Frelon-ისა და Puma-ის ტიპის შვეულმფრენებით სარგებლობენ.

დესანტირება ხდება სამოქმედო რაიონიდან არანაკლებ 20 მილის დაშორებით. ფრანგი სამხედრო სპეციალისტების აზრით, ასეთ მანძილზე დივერსანტების აღმოჩენა-განადგურება მოწინააღმდეგეს უნდა გაუძნელდეს.

ოცეულის მეორე ნახევარი „პუმას“ ბორტს გასაბერი ნავით, „ზოდიაქოთი“ წუთზე ნაკლებ დროში ტოვებს და სამოქმედო რაიონისკენ მიემართება.

ტერორისტებისგან სამოქალაქო გემების გასათავისუფლებლად შექმნილია ცალკე ჯგუფი Groupe de Combat in milieu clos (GCMC), რომელიც 16 ჯარისკაცსა და 1 ოფიცერს ითვლის. ის, თავის მხრივ, რვაკაციან ორ გუნდად იყოფა.

გუნდების პირადი შემადგენლობის შეიარაღებაშია: პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები MP 5S-ი, საიერიშო შაშხანები G3 და M 16, Smith & Wesson-ის პისტოლეტები.

სნაიპერთა აღჭურვილობაშია მაღალი სიზუსტის 7,62 მმ-იანი შაშხანები FR-F2-ები, ხოლო საცეცხლე მხარდაჭერისთვის 5,56 მმ-იანი ტყვიამფრქვევები Minimi-ები გამოიყენება.

განსაკუთრებულ შემთხვევებში ჯგუფი შეიძლება გაძლიერდეს სხვა ქვედანაყოფებით, რომლებიც ხომალდებისა და მძევლების გასათავისუფლებელ ტაქტიკას, მეთოდებსა და ხერხებს კარგად ფლობენ.

ჩვეულებრივ, ეს ქვედანაყოფი არის „იუბერი“, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, დანარჩენებისაგან განსხვავებით მებრძოლი მყვინთავებით არის დაკომპლექტებული. ეს სამხედრო ნაწილი პორტ ტულონში მებრძოლ მყვინთავთა სამხედრო-საზღვაო სკოლის მახლობლად არის დისლოცირებული. ამ ელიტურ ქვედანაყოფში სამსახურის მსურველი მოხალისე-კანდიდატისთვის აუცილებელია საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში სამსახურის ოთხწლიანი სტაჟი და მყვინთავის კვალიფიკაცია. მებრძოლ მყვინთავთა კურსზე მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას მებრძოლები კიდევ ჰაერიდან დესანტირების ტექნიკას უმატებენ და „ოსტატ-პარაშუტისტის“ კვალიფიკაციასაც იღებენ.

ვინც შერჩევა-მომზადების ეტაპს გაივლის, ხელს სამწლიან ხელშეკრულებაზე აწერს, თუმცა, თითოეული არანაკლებ ექვსი წელი მსახურობს.

სპეცქვედანაყოფი „იუბერი“ ორი ასეულისგან შედგება. პირველი ოპერატიულია, ხოლო მეორე კი საცეცხლე მხარდამჭერია.

ქვედანაყოფის განკარგულებაშია საბრძოლო ხომალდი „პოსეიდონი“, რომელიც მებრძოლ მყვინთავთა და ორადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანი ჰიდროციკლების მცურავ ბაზად გამოიყენება.

პირველი ასეულის შემადგენლობაში მყოფი 50 მებრძოლი ოთხ რაზმადაა დაყოფილი და თითოეულს საკუთარი სპეციალიზაცია აქვს: ოცეული A მართვისა და ხელმძღვანელობის ფუნქციებს ასრულებს, B-ს მოვალეობა ტერორიზმთან ბრძოლაა, C დაკავებულია წყალქვეშა ოპერაციებით და D-ს დანიშნულება დაზვერვა და საცეცხლე მხარდაჭერაა.

საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად ახალი ჯგუფი შეიძლება სხვადასხვა ოცეულის მებრძოლებისგან ჩამოყალიბდეს.



საზღვაო კომანდოსების მზვერავები საბრძოლო დავალებას ასრულებენ

## სამხედრო-საჰაერო ძალების კომანდოსები და სხვები

საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების კომანდოსთა ისტორია ომის შემდგომ, მეორე ათწლეულში იწყება, როცა ქვეყნის სამხედრო მინისტრის 1956 წლის 12 მარტის ბრძანებით საჰაერო ძალების 541-ე პარაშუტისტ-კომანდოსთა ჯგუფი შეიქმნა.

ეს ქვედანაყოფი მონაწილეობდა ალჟირში ამბოხების ჩახშობაში. წარმატებისათვის კომანდოსებს 1959 წელს საკუთარი დროშა გადაეცათ.

1979 წლისთვის კომანდოსებს საკუთარი შტაბი ჰქონდათ გენერლის მეთაურობით, ხოლო შტაბის დაქვემდებარებაში მყოფი 60 ესკადრონის ამოცანა აეროდრომების დაცვა იყო.

1994 წლიდან სპეციალური ოპერაციების სარდლობის შემადგენლობაში შევიდა Commando parachutiste de l'air no 10 (CPA10) შვეულმფრენთა სპეციალურ ესკადრილიასთან ერთად.

ამ ცალკეულ ქვედანაყოფს ასეულის სტრუქტურა აქვს, 125 მებრძოლს ითვლის და შტაბის, სამი საბრძოლო რაზმის, მომზადების ქვედანაყოფისა და ზურგის სამსახურის ჯგუფისგან შედგება.

ერთ-ერთი რაზმი დაკომპლექტებულია უმაღლესი კლასის პარაშუტისტებისგან, რომლებიც დიდი სიმაღლიდან შეყოვნებული გადმოხტომის და პარაშუტებით პლანერირებული ფრენების ტექნიკას ფლობენ.

CPA10-ის მოვალეობაა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ჩამოგდებული თვითმფრინავების პილოტების ძებნა-გადარჩენა, დესანტისთვის შესაფერი ადგილის შერჩევა, მისი ლაზერული შენათება და დაცვა.

ბოსნიის ოპერაციისას და სპარსეთის ყურეში საავიაციო იერიშებისათვის კომანდოსები სამიზნეებს ლაზერებით შენათებას უკეთებდნენ.

ამ ქვედანაყოფში სამსახურის მსურველ კანდიდატს, სულ მცირე, ხუთი წლის სამხედრო სამსახურის სტაჟი მაინც უნდა ჰქონდეს.

კანდიდატები, ჩვეულებრივ, 27-28-წლისანი არიან. გამონაკლისი დაშვებულია სერჟანტებისა და სპეციალისტებისთვის. ისინი შეიძლება ასაკით უფროსები იყვნენ, ოღონდ მათი კვალიფიკაცია მეორე დონეს უნდა აღემატებოდეს.

შვეულმფრენთა სპეციალური ესკადრილია კაზაუკსეს სამხედრო ბაზაშია განლაგებული. სპეციალური ოპერაციების სარდლობის სპეციალურ ამოცანათა შესასრულებლად ხუთი ეკიპაჟი მუდმივ მზადყოფნაშია.

სადაზვერვო ან საძიებო ოპერაციებზე შვეულმფრენ „პუმას" წყვილს მხარდაჭერას უკეთებენ საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელ-ბომბდამშენები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში AWACS-ის სისტემის თვითმფრინავი.

ესკადრილიის მფრინავებს არანაკლებ 1500 სთ აქვთ ნაფრენი, ღამით სამხედრო ხომალდებზე დაჯდომის ტექნიკა აქვთ ათვისებული და სამხედრო შვეულმფრენების პილოტებს შორის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესონი არიან.

სპეციალური ოპერაციების ავიადივიზია ტულუზის საწვრთნელი ცენტრის ავიაფრთის დაქვემდებარებაშია. მის განკარგულებაშია 17 ტაქტიკური სატრანსპორტო თვითმფრინავი Transall C-160 ეკიპაჟებიანად. დანარჩენი თვითმფრინავები C-130 Hercules-ები ორლეანის სამხედრო-საჰაერო ბაზაზეა მიწერილი.

„ჰერკულესების" ეკიპაჟების შემადგენლობაში არიან: ორი პილოტი, შტურმანი, შეიარაღების ოფიცერი-სპეციალისტი, ბორტმექანიკოსი და სახმელეთო მექანიკოსი.

ეკიპაჟები დაკომპლექტებულია გამოცდილი სპეციალისტებით, რომლებსაც შეუძლიათ საფრანგეთის სპეციალური ოპერაციების სარდლობის ძალების დესანტირება, მხარდაჭერა და ევაკუაცია.

ზღვაზე მძევალთა გათავისუფლების ტექნიკის დამუშავება



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეძღვნება კაიოვების ბელად სატანტას
Dedicated to Kiowa war chief Satanta

# კაიოვა ბრძოლის ბილიკზე ბრუნდება

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-ში ინტენსიურად მიმდინარეობდა მისისიპის დასავლეთით ტერიტორიების ათვისება. ამ პროცესმა გამოიწვია ინდიელ ტომთა საცხოვრებელი არეალის კატასტროფული შემცირება, მათი ტრადიციული ცხოვრების წესის დარღვევა და ინდიელებმა ხელისუფლებას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს.

1850-90 წლებში ქვეყნის მთელი დასავლეთი აშშ-ის არმიასა და ინდიელთა შორის ომებმა მოიცვა. მართალია ბოლოს ინდიელები დამარცხდნენ, მაგრამ ისტორიას შემორჩა ინდიელი მეომრის უნიკალური ფენომენი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკაში ინდიელთა ტომები გაიხსენეს და მათი სახელები საბრძოლო ტექნიკის სხვადასხვა ნიმუშს დაარქვეს, რითაც ძლევამოსილ ინდიელ მეომრებს ერთგვარად პატივი მიაგეს.

არცთუ შემთხვევითია, რომ ამერიკაში წარმოებული მრავალი შვეულმფრენი ინდიელთა სახელის მატარებელია.

ამერიკული ავიაციის ისტორიის დასაწყისი ოკლაჰომაში ფორტ-სილს უკავშირდება, ხოლო ოკლაჰომას შტატი ინდიელთა რეზერვაციების სიმრავლით გამოირჩევა.

ფორტ-სილი კი რეზერვაციათა შუაგულში მდებარეობს და სამხედროებმა იმ მიწაზე მცხოვრებ აბორიგენთა პატივსაცემად შვეულმფრენებისთვის ინდიელთა ტომების სახელების დარქმევა მოიფიქრეს.

იდეამ მხარდაჭერა მიიღო, მით უფრო, რომ ინდიელთა მებრძოლი სული შვეულმფრენთა დანიშნულება-ფუნქციებს ზუსტად შეესაბამებოდა.

ასეთნაირად მოინათლა ამერიკული შვეულმფრენები: ლაკოტას, სიუს, შაიენის, აპაჩის, კომანჩის, ბლექ ჰოუკის („შავი შევარდენი" — ერთ-ერთი ტომის ბელადი იყო), ჩიკასაუს, ჩოკტაუს და ინდიელთა სხვა სახელებით.

დასახელებული შვეულმფრენებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა მსუბუქი და მრავალმხრივი დანიშნულების კაიოვას ტომის სახელის მატარებელი Bell OH-58 Kiowa.

1960 წელს აშშ-ის არმიამ კონკურსი გამოაცხადა შვეულმფრენზე, რომელსაც უნდა შესძლებოდა დაჭრილთა ევაკუაცია, ქვეითთა საჰაერო მხარდაჭერა, დაზვერვა და ტერიტორიაზე დაკვირვება.

საკონკურსო მოთხოვნები იყო: სასარგებლო დატვირთვა 181 კგ, კრეისერული სიჩქარე 193 კმ/სთ-ში და ფიუზელაჟში 4 დასაჯდომი ადგილი.

კონკურსში კომპანია Hughes-ის პროექტმა გაიმარჯვა, თუმცა, არანაკლები ინტერესი ცნობილი საავიაციო ფირმა Bell-ის ექსპერიმენტულმა მოდელმა 206A JetRanger-მა დაიმსახურა, ხოლო მომდევნო 1967 წლის კონკურსში კი საუკეთესოდ სწორედ „ბელის" პროექტი დასახელდა.

კონსტრუქციულად „კაიოვას" 206A JetRanger-ისგან დიდი დიამეტრის წამყვანი ხრახნი და მცირედ შიდა მოწყობილობები განასხვავებდა.

შვეულმფრენმა სახელად OH-58A Kaiowa მიიღო, სერიულ წარმოებას გადაეცა და მალევე დიდი გამოცდის წინაშე დადგა, — 1969 წლის მაისში აშშ-ის არმიის გენერალმა ჯონ ნორტონმა ფირმა Bell-ისგან პირველი OH-58 Kiowa საზეიმოდ ჩაიბარა სულ რალაც ორ თვეში კი ამ სერიის შვეულმფრენები ვიეტნამის ომის ბატალიებში ჩაებნენ.

„კაიოვებმა" სატესტო ფრენები პირდაპირ მოწინააღმდეგის საჰაერო სივრცეში შეასრულეს და შემდგომში ვიეტნამის ომის ერთგვარ სიმბოლოდაც კი იქცა.

საბრძოლო ოპერაციებში „კაიოვები" პატარა სახმელეთო ქვედანაყოფებისთვის შეუცვლელი მოკავშირე იყო, რომელიც კონტრპარტიზანულ მოქმედებებში ქვეითებს ჰაერიდან ეფექტური და ზუსტი ცეცხლით უზრუნველყოფდა.

ვიეტნამის ომში ამერიკელებმა 45 „კაიოვა" დაკარგეს. ამის მიზეზი მეტწილად არასრულყოფილი მართვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემა იყო და ამიტომაც მფრინავებში შვეულმფრენი მაინცდამაინც პოპულარობით არ სარგებლობდა.

ვიეტნამში გამოიკვეთა შვეულმფრენის სამომავლო განვითარების აუცილებლობა, მისი სუსტი მხარეების მოდიფიკაციისა და გაძლიერების შესაძლო ვარიანტები.

„ბელმა" მომდევნო მოდელ OH-58D Kiowa Warrior-ში შეძლო რიგი მახასიათებლების გაუმჯობესება, რის შემდეგაც შვეულმფრენმა საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა.

საავიაციო ესკადრილიებში „კაიოვა ვარიორი" AH-ს ტიპის დამრტყმელ შვეულმფრენებთან ერთად კოორდინირებულად მოქმედებდა და მთავარი დანიშნულება მოწინააღმდეგეთა ჯავშანტექნიკის ადგილსამყოფლის დადგენა და მათთვის ზუსტი საცეცხლე დარტყმების მიყენება იყო.

1973 წლისთვის შვეულმფრენის წარმოება დასრულდა და გამოშვებული აპარატების რაოდენობამ დაახლოებით 2200 შეადგინა.

ირან-ერაყის ომის (1980-88 წწ.) დროს „კაიოვები" ნავთობით დატვირთულ ტანკერებს ესკორტირებას უკეთებდნენ და ირანული კატარღების თავდასხმისგან იცავდნენ.

1988-91 წლებში „კაიოვა ვარიორები" სპარსეთის ყურეში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებზე ბაზირებდნენ და საზღვაო კომუნიკაციების დაცვით იყვნენ დაკავებული, ხოლო მოგვიანებით შვეულმფრენთა ნაწილი ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალში" ჩაერთო.

ოპერაციის პირველივე დღეს „კაიოვა ვარიორებმა" „ჰიუ კობრებთან" ერთად 1-ლი ჯავშანსატანკო დივიზიის ტანკისტთა მხარდასაჭერი სადაზვერვო ოპერაცია ჩაატარეს.

„უდაბნოს ქარიშხალში" 115-ზე მეტმა „კაიოვამ" მრავალი საბრძოლო დავალება შეასრულა და ჰაერში დაახლოებით 9 ათასი საათი იფრინეს.

აღსანიშნავია, რომ „კაიოვები" საკუთრივ აშშ-ის ტერიტორიაზე საზღვრების დაცვასა და ანტინარკოტიკული ოპერაციების მხარდაჭერაში მონაწილეობენ.

აშშ-ის არმიაში OH-58D Kiowa Warrior-ი ერთ-ერთი საუკეთესოა და მსოფლიოს ათამდე ქვეყნის არმიის სამსახურში დღემდე რჩება, რაც მის შესანიშნავ საბრძოლო-საექსპლუატაციო თვისებებზე ლაპარაკობს.

XX საუკუნის „კაიოვა" აგრძელებს დიდი წინამორბედის, კაიოვას ტომის დიად წარსულს, რომლის ბელადებსა და მეომრებს აშშ-ის დასავლეთის ინდიელთა ომების ისტორიაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავიათ.

კაიოვას ტომი თავდაპირველად თანამედროვე მონტანას შტატის დასავლეთ ტერიტორიებზე მდინარე იელოუსტოუნის ხეობაში მოსახლეობდა.

მიგრაციის შედეგად XIX საუკუნის დასაწყისისთვის ტომმა ახალი საცხოვრებელი უკვე აშშ-ის სამხრეთ დაბლობებზე დაიდო.

ტომის სამოსახლო არეალი მოიცავდა მდ. არკანზასის აუზს სამხრეთ-აღმოსავლეთ კოლორადოსა და დასავლეთ კანზასში, ასევე მდ. რედ-რივერის ირგვლივ მდებარე ტერიტორიებს დასავლეთ ოკლაჰომასა და ჩრდილოეთ ტეხასში.



სატანტა — კაიოვების ტომის უკანასკნელი სამხედრო ბელადი

კაიოვები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და მათი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო ცხენი.

ტომის მეომრები ბიზონებზე ერთ-ერთ საუკეთესო მონადირეებად ითვლებოდნენ. ისევე როგორც აშშ-ის დაბლობის უმრავლესი ტომები, კაიოვებიც მთლიანად ბიზონებზე იყვნენ დამოკიდებული.

გარდა ნადირობისა, ცხენი გახდა კაიოვების ტომის სამხედრო პოტენციალის მთავარი საფუძველი.

რეგიონში კაიოვას ინდიელებს უშიშარი და ძლიერი მეომრების სახელი ჰქონდათ და ტომის დამრტყმელ სამხედრო ძალას მხედრები წარმოადგენდნენ.

ცხენზე ამხედრებულ კაიოვას მეომარს ძნელად თუ შეედრებოდა ვინმე მშვილდ-ისრის გამოყენების სისწრაფესა და სროლის სიზუსტეში, ასევე ოსტატურად იყენებდნენ შუბებს, მოგვიანებით კი ცეცხლსასროლ იარაღს.

კაიოვას ტომის მეომრები განთქმულნი იყვნენ დახვეწილი პარტიზანული ბრძოლის მეთოდებით. გარდა ამისა, კაიოვებს შეეძლოთ საკმაოდ დიდ მანძილებზე მოეწყოთ მარბიელი თავდასხმები და ასეთი რეიდები ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის არასასურველი და რთულად მოსაგერიებელი იყო.

კაიოვას პერიოდულად ნავახოს, იუტებისა და პაუნის ინდიელებთან შეტაკება უხდებოდა.



დიდი დაბლობის ინდიელი მეომრის ტრადიციული საბრძოლო ტანსაცმელი და იარაღი



კაიოვას ტომის მეომარი

ტომის მოკავშირეები იყვნენ მეზობლად მომთაბარე კომანჩები. კაიოვა-კომანჩების ალიანსი ძლიერ სამხედრო ძალას წარმოადგენდა, რაშიც არაერთხელ დარწმუნდა აშშ-ის არმია 1860-70-იან წლებში.

კაიოვა-კომანჩები ერთობლივ რეიდებს აწყობდნენ მექსიკასა და ტეხასის ამერიკულ დასახლებებზე. აღსანიშნავია, რომ ინდიელთა ომების პერიოდში კაიოვების ტომი ერთ-ერთი უკანასკნელი იყო, ვინც აშშ-ის ფედერალურ სამხედრო ძალებს დანებდა.

ტომის სამხედრო ლიდერებიდან გამოსაყოფია ბელადი სატანტა („თეთრი დათვი" 1820-78 წწ.). იგი თავისი დროის ერთ-ერთი მამაცი და შეუპოვარი მეომარი გახლდათ. სატანტა მოუხელთებელი იყო არმიისთვის, ხოლო მისი ოსტატური სამხედრო რეიდები და თავდასხმები პარტიზანული ბრძოლის ეტალონს წარმოადგენდა.

სახელოვანი მეომრის რეპუტაციის გარდა სატანტა ცნობილი იყო თავისი ორატორული ნიჭით. ამერიკელებთან გამართულ საბჭოებზე იგი იცავდა საკუთარი ტომის ინტერესებსა და ტრადიციებს.

სატანტამ თავი გამოიჩინა 1864 წლის ედობი უოლსის პირველ ბრძოლაში. არმიელთა საყვირის გამოყენებით მან შეცდომაში შეიყვანა შეტევაზე გადმოსული ჯარისკაცები. ამ ბრძოლაში სატანტა არ შეუშინდა ამერიკულ ჰაუბიცებს და ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ფედერალებს შეტევით უპასუხა.

1866-67 წლებში თეთრკანიანი ახალმოსახლეებისგან ინდიელთა ტერიტორიების დასაცავად სატანტა აწყობდა რეიდებს ამერიკელთა დასახლებებზე ტეხასსა და კანზასში.

სახელოვანი სატანტა კაიოვების უკანასკნელი სამხედრო ბელადი იყო და იგი 1878 წელს გარდაიცვალა.

მთავრობის გადაწყვეტილებით კაიოვების ტომი ოკლაჰომის რეზერვაციაში დაასახლეს. მალე ინდიელთა ომებიც დასრულდა, ფრონტირიც გაქრა და კაიოვას სახელოვანი, მამაცი ბელადებისა და მეომრების დიდებაც ისტორიას ჩაჰბარდა. თუმცა, XX საუკუნის 60-იან წლებში კაიოვას სახელი კვლავ გაისმა ამერიკულ სამხედრო წრეებში, როცა კაიოვას ტომის მეომრული წარსული გაიხსენეს და კაიოვა ისევ ბრძოლის ბილიკზე დაბრუნდა.

**მიხეილ ბარნოვი**




ეროვნული ბიბლიოთეკა




# საგემბანო ავიაცია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N17-23, 2012**

## ბრძოლა სანტა-კრუზთან

მარცხის შემდეგ იაპონელებმა სოლომონის კუნძულების დაპყრობა კიდევ ერთხელ სცადეს და ოპერაციისთვის ოთხი ავიამზიდი (საესკადრო „სეკაკუ“ და „ძეიკაკუ“, საშუალო „ძუნიე“ და მსუბუქი „ძუიჰო“) და 212 თვითმფრინავი გამოყვეს. ამ ძალას ამერიკელებმა მხოლოდ ორი ავიამზიდი – „ჰორნეტი“ და დაზიანებული „ენტერპრაიზი“ (171 თვითმფრინავი) დაუპირისპირეს.

ამერიკელები იაპონელთა გეგმების შესახებ ინფორმირებული იყვნენ, მაგრამ მათთვის უცნობი მოწინააღმდეგის ძალების რაოდენობა იყო.

იაპონელების გადაადგილებების დასადგენად ფლოტის „კატალინები“ და საჰაერო ძალების B-17-ები რეგულარულად დაფრინავდნენ.

ამერიკელების ძალისხმევამ ნაყოფი მალე გამოიღო და 1942 წლის 26 ოქტომბერს 16-მა მოპიკირე SBD-მ ავიამზიდ „ძუიჰოს“ ორი ბომბი მოარტყა. ხომალდის კიჩოს გემბანი იმდენად დაზიანდა, რომ თვითმფრინავების მიღება ველარ შეძლო და ბრძოლიდან გავიდა.

მეორე დღეს ამერიკული ესკადრის გასანადგურებლად იაპონელებმა თვითმფრინავების პირველი ტალღა გაგზავნეს, მათ შორის 21 „ზერო“, 21 ბომბდამშენი „ველი“ და 20 ტორპედმზიდი „კეიტი“ იყო.

თითქმის იმავე დროს „ენტერპრაიზიდან“ და „ჰორნეტიდან“ იაპონელების მოსაძებნად 73 თვითმფრინავი აფრინდა. სამიზნემდე შუაგზაზე დამრტყმელი ჯგუფები ერთმანეთს შეხვდნენ და სწრაფ საჰაერო ბრძოლაში იაპონელებმა 4 „ზეროს“ ხარჯზე 6 ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს და ამდენივე დააზიანეს.

ამერიკელებს დარტყმა პირველად იაპონელებმა მიაყენეს. 38-მა „უაილდკეტმა“ ვერ შეძლო იაპონელების შეჩერება და „ჰორნეტს“ ბომბების წვიმა დაატყდა. ბომბები ხომალდს კიჩოში მოხვდა. მეზენიტეების დაზიანებული ერთ-ერთი ბომბდამშენი ხომალდის საკვამურ მილს საგანგებოდ დაეჯახა, რასაც მასზე ჩამოკიდებული ბომბის დეტონაცია მოჰყვა. ავიამზიდს კიდევ 2 ტორპედო და 3 ბომბი მოხვდა. 10 წთ-ში იაპონელები გაფრინდნენ და ცხვირიდან კიჩომდე ალმოდებული „ჰორნეტი“ მოიტოვეს.

იაპონელებმა 25 თვითმფრინავი დაკარგეს. კიდევ 13 ერთეული ზღვაში ჩავარდა ან გემბანზე დაჯდომისას დაიმტვრა.

ამ ოპერაციაში, ისევე როგორც

**მეორე მსოფლიო ომში მსგავსი შემთხვევები ხშირი იყო და მეტწილად ინციდენტებს პილოტების არასათანადო მომზადება იწვევდა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



შეიარაღებაში ახალი თვითმფრინავების მიღების მიუხედავად, „კაიტი“ ომის ბოლომდე ძირითად იაპონურ ტორპედმზიდად დარჩა

მოდიფიკაცია — B5N2
სიგრძე — 10.3 მ
ფრთის გაქანი — 15.52 მ
ცარიელი თვითმფრინავის წონა — 2279კგ
მაქს. ასაფრენი — 4100 კგ
ძრავა — 1x1000 ცხ.ძ
მაქს. სიჩქარე — 378 კმ/სთ-ში
პრაქტიკული ჭერი — 8620 მ
ეკიპაჟი — 3 კაცი
შეიარაღება — უკანა კაბინაში ერთი 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, ექვსი 60 კგ-იანი, ან სამი 250 კგ-იანი, ან ერთი 800 კგ-იანი ჯავშანგამტანი ბომბი ან ერთი 800 კგ-იანი ტორპედო




ერთნაირი ეფექტურობით „მეკობრეს“ გამოყენება როგორც გამანადგურებლის, ასევე მოიერიშე თვითმფრინავის სახით შეიძლებოდა

მოდიფიკაცია — F4U-4 Corsar
სიგრძე — 10,26 მ
ფრთის გაქანი — 12,5 მ
ცარიელი თვითმფრინავის წონა — 4175 კგ
მაქს. ასაფრენი — 6654 კგ
ძრავა — 1x2350 ცხ.ძ
მაქს. სიჩქარე — 717 კმ/სთ-ში
პრაქტიკული ჭერი — 12650 მ
ეკიპაჟი — 1 კაცი
შეიარაღება — ექვსი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ან ოთხი 20 მმ-იანი ქვემეხი,
რვა 127 მმ-იანი უმართავი რაკეტა, 1800 კგ ბომბი

მთელი ომის განმავლობაში, საგემბანო ტორპედმზიდებად იაპონელები B5N-ს იყენებდნენ.

1921 წელს იაპონიაში ინჟინრებისა და მფრინავებისგან შემდგარი 30-კაციანი ბრიტანული ჯგუფი მიიწვიეს. მათ იაპონელი მფრინავების მომზადება და ახალი საფრენი აპარატების შექმნაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ.

საგემბანო ავიაციის შექმნა იაპონიამ 30-იან წლებში დაიწყო. პროცესს ადმირალი იამამოტო ხელმძღვანელობდა და ეფექტურმა მიდგომამ ნაყოფი მალე გამოიღო, 1940 წლისთვის იაპონიას მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი საგემბანო ავიაცია ჰყავდა.

1935 წელს საგემბანო ტორპედმზიდის შესაქმნელად ახალი კონკურსი გამოცხადდა. გაიმარჯვა კომპანია „მიცუბიშის“ B5N-მა (შემდგომში ამერიკელებმა მას Kate შეარქვეს). სამადგილიანი თვითმფრინავის მთავარი შეიარაღება ერთი 800 კგ-იანი ტორპედო იყო.

1937 წელს იაპონელებს 125 ერთეული ასეთი თვითმფრინავი ჰყავდათ. ომის პირველ ეტაპზე თავის კლასში „კეიტი“ საუკეთესოდ ითვლებოდა და პერლ-ჰარბორზე თავდასხმისას იაპონიამ ხუთი B5N დაკარგა.

ამერიკელებმა დაზიანებული „ჰორნეტის“ ბუქსირება სცადეს, მაგრამ იაპონელების იერიშებმა ამის საშუალება არ მისცა. საბოლოოდ „ჰორნეტი“ ბადრაგის საესკადრო ნაღმოსნებმა ტორპედოებით ჩაძირეს.

ბრძოლა კუნძულ სანტა-კრუზთან ავიამზიდებისა და საგემბანო ავიაციის მონაწილეობით მეოთხე შერკინება იყო, სადაც იაპონელებმა 90 თვითმფრინავი დაკარგეს, ხოლო ორი ავიამზიდი მძიმედ დაზიანდა.

ამერიკელებმა 74 თვითმფრინავი, თითო-თითო ავიამზიდი და საესკადრო ნაღმოსანი დაკარგეს. დაზიანდა სახაზო ხომალდი და ავიამზიდი „ენტერპრაიზი“.

ამერიკელებმა მიზანს მიაღწიეს — გუადალკანალზე იაპონელების გადასხმა ჩაიშალა და ჩამოგდებულ თვითმფრინავებს ბევრი გამოცდილი იაპონელი მფრინავი ემსხვერპლა.

## ამერიკელი „მეკობრე“

1943 წლის თებერვალში გუადალკანალის აეროდრომზე F4U-1-ის ტიპის 12 თვითმფრინავი დაეშვა. ფრთის ფორმის თვითმფრინავი იმ დროს ყველაზე სრულყოფილ საგემბანო გამანადგურებლად ითვლებოდა.

მისი შექმნის ისტორია სათავეს 1938 წელს იღებს, როცა საგემბანო გამა-

ნადგურებლის კონკურსის ფინალში უკეთესი მახასიათებლების მქონე F4U გავიდა. ფირმა „ჩანს-ვოუტის“ ქმნილების მთავარი სიახლე „ამოყირავებული თოლიის“ ტიპის ფრთა იყო. სრულიად განსხვავებული ფორმა თვითმფრინავს აეროდინამიკური თვალსაზრისით დიდ უპირატესობას ანიჭებდა.

1940 წლის 29 მაისს Corsar-ი (ქართულად „მეკობრე“) პირველად აფრინდა. გამოცდისას თვითმფრინავს ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა: წინ წაწეული სიმძიმის ცენტრი, გართულებული მართვა, სუსტი შეიარაღება, ზოგიერთი დეტალის არასაკმარისი სიმტკიცე. მაღალმა სიჩქარემ 650 კმ/სთ-ში სამხედროებს ყველაფერზე თვალი დაახუჭვინა და 1941-ში 580 „მეკობრე“ დამზადდა.

შემდგომ F4U სიჩქარით იაპონელთა საამაყო „ზეროსაც“ სჯობნიდა.

„მეკობრის“ საბრძოლო დებიუტი გუადალკანალზე შედგა და პირველივე ბრძოლებში გამოუცდელი პილოტებით დაკომპლექტებულმა ესკადრილიამ 8 თვითმფრინავი დაკარგა.

მალე „მეკობრემ“ თავისი საუკეთესო შესაძლებლობის ჩვენება შეძლო და ძლიერი ძრავით, სიჩქარით, შეიარაღებითა და ჯავშნით ის წინამორბედ F4F „უაილდკეტსა“ და იაპონურ „ზეროსაც“ ჯაბნიდა.

1944 წელს „მეკობრეები“ ავიამზიდებზეც გამოჩნდნენ. თვითმფრინავებმა წყნარ ოკეანეში გამართულ ყველა მსხვილ ოპერაციაში მიიღეს მონაწილეობა. გამოცდილი პილოტის ხელში „მეკობრე“ მრისხანე იარაღი იყო.

თვითმფრინავის ყველაზე სრულყოფილი ვარიანტი F4U-4 2070 ცხ.ძ-იანი ძრავით 720 კმ/სთ-ში სიჩქარეს ავითარებდა.


„ბარაკუდების“ ერთ-ერთი დანიშნულება გერმანულ სუბმარინებთან ბრძოლა იყო

დიდმა ბრიტანეთმა ლენდ-ლიზით 2000-მდე „მეკობრე“ მიიღო და ატლანტის ოკეანეში მიმდინარე ბრძოლებში იყენებდა. თვითმფრინავები სახაზო ხომალდ „ტირპიცის“ წინააღმდეგ გამართულ რეიდშიც მონაწილეობდნენ.

„მეკობრის“ წარმოება 11 წელი გაგრძელდა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მის ბაზაზე მოიერიშეები, ღამის გზაგადამჭრელები და მოდიფიკაციები მზადდებოდა. ყველაზე გვიან თვითმფრინავები შეიარაღებიდან სალვადორმა (1976) და ჰონდურასმა (1979) მოხსნეს.

U-4-ისა და U-5-ის სერიის ამერიკული „მეკობრეები“ კორეის ომშიც მონაწილეობდნენ. რეაქტიულ МиГ-15-თან მათ პაექრობა არ შეეძლოთ, ამიტომაც სადაზვერვო და დამრტყმელ ამოცანებს ასრულებდნენ.

## ოპერაცია „ვოლფრამი“

ომის პირველ წლებში ბრიტანული საგემბანო ავიაციის აქტიურად გამოყენების ერთ-ერთი ხელშემშლელი მიზეზი თანამედროვე თვითმფრინავების უქონლობა იყო. ამის გამო გერმანულ სუბმარინებს ინგლისელები საგემბანო Seafire-ებითა და ლენდ-ლიზით მიწოდებული Wildcat-ებით ებრძოდნენ.

წყალზევით მყოფი წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრიტანელი მფრინავები საავიაციო ტყვიამფრქვევებსა და ქვემეხებს იყენებდნენ.

„ბისმარკის“ შემდეგ, სადაც მოძველებულმა Swordfish-ებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს, ბრიტანულმა საგემბანო ავიაციამ მომდევნო წარმატებას „ტირპიცზე“ თავდასხმებში მიაღწია, სადაც გერმანული ხომალდის გასანადგურებელი რამდენიმე მარცხიანი ოპერაციის შემდეგ ფსონი საგემბანო ავიაციაზე დაიდო.

ოპერაცია „ვოლფრამში“ მონაწილეობდა: ბრიტანული ფლოტის 2 სახაზო ხომალდი, ორ-ორი საესკადრო და საესკორტო ავიამზიდი, 2 კრეისერი, 16 საესკადრო ნაღმოსანი, Firefly-სა და Barracuda-ს ტიპის ახალი საგემბანო თვითმფრინავები.

ბრიტანელმა მფრინავებმა „ტირპიცს“ 227 კგ-იანი ჯავშანგამტანი, მსხვრევადი და სპეციალურად ამ იერიშისთვის შექმნილი 726 კგ-იანი ბომბები დაუშინეს.

1944 წლის 3 აპრილს ინგლისელთა საგემბანო ავიაციის საჰაერო დარტყმები „ტირპიცის“ მძიმე დაზიანებით დასრულდა, რომლის გარემონტებასაც დიდი დრო დასჭირდა.

**ალექსანდრე აფაქიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)


„ჰორნეტი“ ერთ-ერთი იმ 11 ავიამზიდთაგანია, რომელიც ამერიკელებმა მეორე მსოფლიო ომში დაკარგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უილიამ ავგუსტუსი

## 1721-1765



### ქრონოლოგია

* 1721 — დაიბადა 15 აპრილს, ლონდონში.
* 1726 — კამბერლენდის ჰერცოგი გახდა.
* 1745 — ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში გაერთიანებული ძალების მხედართმთავარია. დამარცხდა ფონტენუასთან ბრძოლაში; დაიწყო იაკობინელთა აჯანყება.
* 1746 — კალოდენთან ჩარლზ სტიუარტს სძლია.
* 1747 — დამარცხდა ლაუფელდისა და ჰასტენბეკის ბრძოლებში.
* 1765 — გარდაიცვალა 31 ოქტომბერს, ლონდონში.

კამბერლენდის ჰერცოგმა ტახტის ახალგაზრდა პრეტენდენტი ჩარლზ სტიუარტი დაამარცხა კალოდენთან ბრძოლაში და სასტიკად ჩაახშო 1745 წლის იაკობინელთა აჯანყება, რის გამოც მეტსახელად „კამბერლენდელი ყასაბი“ დაარქვეს.

ჯორჯ II-ს 1721 წლის 15 აპრილს მესამე ვაჟი, უილიამ ავგუსტუსი შეეძინა ლონდონში. 1726 წელს ბიჭს კამბერლენდის ჰერცოგობა მიენიჭა. 1745 წელს ის უკვე ჯარისკაცია და ბრიტანულ, ავსტრიულ, ჰოლანდიურ და ჰანოვერულ ჯარებს მიუძღვის ფონტენუას ბრძოლაში. 11 მაისს ისინი ფრანგმა მარშალმა მორის დე საქსმა დაამარცხა.

იმავე წელს, ოდნავ მოგვიანებით, უილიამი ინგლისში გამოიძახეს, რათა ჩარლზ ედუარდ სტიუარტის სარდლობით შემოჭრილ იაკობინელებს შებრძოლებოდა. ჩარლზი გაძევებული მეფე ჯეიმზ II-ის შვილიშვილი იყო. სტიუარტს უკვე განადგურებული ჰყავდა უმთავრესი ძალა პრესტონპანსთან ბრძოლაში „მთიელთა შეტევის“ წყალობით, რასაც შოტლანდიელები ჯერ კიდევ ბანოკბერნის დროიდან იყენებდნენ.

### კალოდენის სასაკლაო

როდესაც კამბერლენდი ჩარლზ სტიუარტს 1746 წლის აპრილში კალოდენთან წამოეწია, მას უკვე შემუშავებული ჰქონდა მთიან რეგიონში შეტევის მოგერიების სტრატეგია, საქმეში არტილერია ჩართო, — მისმა მეომრებმა ცეცხლი გახსნეს. მიუხედავად ამისა, შოტლანდიელები შეტევაზე მაინც გადავიდნენ და დაიწყო ხელჩართული ბრძოლა, მაგრამ მარჯვენა ფლანგიდან გახსნილმა ცეცხლმა შოტლანდიელები მოცელა. ამ ომს დაახლოებით ათასი მთიელი შოტლანდიელი შეეწირა.

ბრძოლის დასრულების შემდეგ კამბერლენდმა ბანქოს უკანა მხარეს წააწერა: „არავითარი შებრალება!“ ამ ბანქოს „ცხრა ალმასი“ ერქვა და „შოტლანდიის წყევლას“ უწოდებდნენ. სწორედ ამის შემდეგ დაარქვეს „ყასაბი კამბერლენდი“. ინგლისში მას „ტკბილ უილიამს“ ეძახდნენ, ხოლო შოტლანდიაში — „აყროლებულ უილიამს“.

### მეფის შურისძიება

გამარჯვების შემდეგ ინგლისელებს გარანტია სჭირდებოდათ, რომ მთიელები აღარ აჯანყდებოდნენ, ამიტომ ჯორჯ II-მ მითითებები გასცა სკოტთა დასასჯელად, თუკი ისინი ჩარლზს ისევ დაეხმარებოდნენ. კამბერლენდის ჰერცოგი შოტლანდიაში კიდევ სამი თვე დარჩა, 3500-მდე კაცი დააკავა და 120 სიკვდილით დასაჯა. დასჯილთა მიწები ერთგულ შოტლანდიელებს გადასცა. ამასობაში კი კამბერლენდის

1745 წლის 11 მაისს სოფელ ფონტენუასთან (ბელგია) ინგლისელების, ჰოლანდიელებისა და ჰანოვერელების გაერთიანებულმა არმიამ ფრანგების წინააღმდეგობის დაძლევა ვერ შეძლო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცები ყველას ხოცავდნენ, ვისზეც კი ეჭვს მიიტანდნენ, რომ იაკობინელთა იდეებს იზიარებდნენ. ინგლისის ჯარმა მთიელებს სახლ-კარიც გადაუბუგა, სარჩო-საბადებელი წაართვა და შინაური ცხოველი წაასხა. შედეგად, 40000 მთიელს ამერიკაში მოუწია ემიგრირებამ. ახალი კანონების თანახმად, შოტლანდიელებს ტრადიციული სამოსისა და იარაღის ტარება აეკრძალათ, გარდა ამისა, კანონგარეშე გამოცხადდა გუდასტვირზე დაკვრაც.

კამბერლენდის ჰერცოგს კი კონტინენტზე დაბრუნება და 1747 წლის ივლისში ლაუფელდის ბრძოლის წაგება ელოდა. ამის შედეგად დაწყებულ შვიდწლიან ომში (1756-1763) ფრანგებმა კიდევ ერთხელ სძლიეს კამბერლენდს ჰასტენბეკის ბრძოლაში ჰანოვერთან, 1757 წელს. დაიდო სამშვიდობო ე. წ. ცევენის კონვენცია, რომელსაც კამბერლენდმა ხელი 1757 წლის სექტემბერში მოაწერა. შეთანხმების თანახმად, ჰანოვერის საკურფიურსტო ავსტრიასა და საფრანგეთთან ომზე უარს ამბობდა, ნეიტრალიტეტს აცხადებდა და ფრანგების მიერ თავისი ტერიტორიების ოკუპაციაზე თანხმდებოდა. ჰანოვერის ჯარს ჰანზის კავშირის ქალაქ შტადში დარჩენის უფლება ეძლეოდა, პრუსიის სხვა მოკავშირეთა ჯარები კი უნდა დაშლილიყვნენ. ჯორჯ II-მ არ ცნო შვილის ხელმოწერილი დოკუმენტი და კონვენცია დახია, მეტიც, სარდლობა ჩამოართვა.

ჰერცოგმა კამბერლენდმა 1765 წლის ზაფხულში ინსულტი გადაიტანა, იმავე წლის 31 ოქტომბერს კი, როგორც ვარაუდობენ, ინფარქტით გარდაიცვალა.






## ხოცვა-ჟლეტვა კალოდენთან

● კალოდენთან კამბერლენდის ჰერცოგმა ფეხოსნები სამ რაზმად განალაგა. პირველ რანგს უბრძანა, ცეცხლი არ გაეხსნა, სანამ მთიელები თორმეტ მეტრზე მაინც არ მიუახლოვდებოდნენ. როდესაც პირველი რაზმი იარაღს გადატენიდა, მეორეს უნდა ესროლა, ხოლო სანამ პირველი იარაღს მოამზადებდა, მესამე რაზმს უნდა დაეცხო.

ეს სისტემა პირველად გუსტავ II-მ გამოიყენა ასი წლით ადრე, მაგრამ კამბერლენდის ჯარი ახლა კაჟის იარაღს იყენებდა, რაც ბევრად სწრაფი იყო, ვიდრე ძველი პატრუქიანი იარაღი. ახალ თოფებს ხიშტებიც ჰქონდათ, ასე რომ, თუკი ფრონტის ხაზიდან მთიელი შოტლანდიელები ინგლისელებამდე მიაღწევდნენ თავიანთი ორლესული ხმლებით, ინგლისელებს თავდაცვა ხიშტებით შეეძლოთ. კალოდენთან მთიელთა შეტევას ერთხანს გაუძლეს ინგლისელებმა. მათი თოფების ცეცხლი მთიელებს იქამდე ცელავდა, სანამ ინგლისელთა წინა რიგებამდე მიაღწევდნენ. რაკი მტრებამდე ვერ ახერხებდნენ მიღწევას ორლესული ხმლებით, ზოგიერთი მთიელი ქვებს უშენდა ინგლისელებს.

*მოამზადა*
***ლევან ინასარიძემ***



# საბრძოლო ხელოვნების ფიზიკური და ფიზიოლოგიური პრინციპები

**ხელჩართული ბრძოლის სისტემა**

წინა ნომერში შემოგთავაზეთ ხელჩართული ბრძოლის სისტემის სამი მიმართულება. ამჯერად გთავაზობთ დანარჩენ სამ მიმართულებას. ესენია: ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა ჯარისკაცებისთვის, პოლიციელებისა და სპეცრაზმელებისთვის.

**ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა: ჯარისკაცებისთვის**

გათვალისწინებულია ხიშტ-დანით ბრძოლის სწავლება, გასწავლიან, საგუშაგოზე დგომისას როგორ უნდა მოიგერიოთ თავდამსხმელი, რომელსაც თქვენი განაიარაღება უნდა. გარდა ამისა, ამ სისტემაში ისწავლება გუშაგის უხმაუროდ მოხსნა საგუშაგოდან და მისი განაიარაღება, და ბოლოს, შიშველი ხელით ბრძოლა თავდამსხმელთან.

**პოლიციელებისთვის**

ამ სისტემაში გაერთიანებულია დამნაშავის განაიარაღებისათვის საჭირო ილეთები, ხელბორკილების დადება დამნაშავეებისთვის; ისწავლება, როგორ უნდა მოიგერიოთ მოულოდნელი თავდასხმა და როგორ დაიცვათ თავი განაიარაღებისაგან.

**სპეცრაზმელებისთვის**

სისტემა ითვალისწინებს სპეციალური დანიშნულების რაზმებისათვის ხელჩართული ბრძოლის ტექნიკის სწავლებას. აქ ვარჯიშობენ უმაღლესი კლასის პროფესიონალები. ამ სისტემით ამზადებენ პრეზიდენტის, მინისტრების, პარლამენტარებისა და ბიზნესმენების პირად მცველებს; ამ სისტემით ემზადებიან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სპეცსამსახურები ტერორისტებთან საბრძოლველად.

**უსაფრთხოების წესები პისტოლეტით შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის დროს**

როგორც დანითა და ხელკეტით, ასევე პისტოლეტით შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლისას უსაფრთხოების წესები უნდა დავიცვათ. ამ შემთხვევაში სრულიად განსხვავებული წესები მოქმედებს:

1. ილეთების დასამუშავებლად თავდაპირველად გამოიყენეთ სანთებელა-პისტოლეტი ან ლითონის სათამაშო პისტოლეტი. ამით თავიდან აიცილებთ დაზიანებას;

2. ნამდვილი პისტოლეტის წართმევისთვის ვარჯიში დაიწყეთ სროლის ინსტრუქტორის მეთვალყურეობით. როდესაც ნამდვილ პისტოლეტზე გადახვალთ, გახსოვდეთ: ა) პისტოლეტიდან გამოიღეთ სავაზნე კოლოფი; ბ) უსაფრთხო მიმართულებით მინიმუმ სამჯერ გააკეთეთ საკონტროლო გასროლა, რათა ვაზნა პისტოლეტის ლულაში არ დარჩეს; გ) როდესაც დარწმუნდებით, რომ პისტოლეტი ცარიელია, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეთ ვარჯიში. ამით თავს დაიზღვევთ უბედური შემთხვევისაგან;

3. როდესაც ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვდებით, ეცადეთ, არ გამოიწვიოთ თავდამსხმელის გაღიზიანება. თუ შეიარაღებული მოწინააღმდეგე გიბრძანებთ, რომ ხელები მაღლა ასწიოთ, ასეც მოიქეცით. ამით მის ყურადღებას მოადუნებთ. ის ჩათვლის, რომ ყველაფერს გააკეთებთ, რასაც გიბრძანებთ;

4. პისტოლეტი წაართვით მაშინვე, როგორც კი თქვენი მოწინააღმდეგე ოდნავ მოადუნებს ყურადღებას. მეორე შანსს არ დაელოდოთ;

5. აქაც მნიშვნელოვანია გაცლების დამუშავება. გაეცალეთ მარჯვნივ ან მარცხნივ, შემდეგ კი მაჯა გაუკავეთ თავდამსხმელს და პისტოლეტი წაართვით;

6. იყავით მოწინააღმდეგესთან მაქსიმალურად ახლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებთ მისთვის იარაღის წართმევას;

7. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და იყავით გაწონასწორებული. გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი რთული სიტუაციიდან მოიძებნება გამოსავალი. მთავარია, სულიერად არ დაეცეთ.

**სახსრებზე ზემოქმედების ძალა**

პისტოლეტის წასართმევად აუცილებელია ვიცოდეთ სახსრებზე ზემოქმედება. თუ კარგი თავდაცვის ინსტინქტი გაქვთ, კარგად გაქვთ დამუშავებული გაცლები, მაშინ შეძლებთ

სახიფათო ზონიდან გარიდებას. დაიმახსოვრეთ, რომ ამ ილეთის შესრულებისას უმთავრესია გვერდზე გადგომა, რომ მოწინააღმდეგემ შემთხვევითი გასროლით არ დაგჭრათ. ამის შემდეგ კი უნდა იმოქმედოთ თქვენი მოწინააღმდეგის სახსრებზე.

ამ ილეთის შესრულებისას მარჯვენა ხელით იჭერთ პისტოლეტის ლულას და მოწინააღმდეგის საჩვენებელი თითის სახსარს ატრიალებთ. მოწინააღმდეგე იძულებული გახდება, პისტოლეტს ხელი გაუშვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თითი მოსტყდება. ასე რომ, სახსრებზე ზემოქმედებით თქვენ ადვილად შეძლებთ მოწინააღმდეგის განიარაღებას.

**ალიკა მერებაშვილი**

*შოტოკან კარატე-დოს ტექნიკური ოსტატი, შავი ქამრისა და I დანის მფლობელი*

# ცეცხლსასროლი იარაღის მოგერიების ტექნიკა



1. მოწინააღმდეგე პისტოლეტს გვიმიზნებს



2. გავეცლებით მარჯვნივ და მარჯვენა ხელით ვიჭერთ პისტოლეტის ლულას



3. ვატრიალებთ ლულას



4. ვართმევთ და ვუმიზნებთ პისტოლეტს



# გამაგრებული რაიონები საქართველოს საზღვარზე

## NATO-ს წევრი თურქეთის საზღვრის გასწვრივ მოსკოვს ოთხი გამაგრებული რაიონი ჰქონდა შექმნილი, მათგან ორი საქართველოს მონაკვეთზე, ვალესთან, სოფელ წყალთბილასთან

„ცივი ომის“ პერიოდში, მას შემდეგ, რაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შეიქმნა, საბჭოთა კავშირის ხელისუფლება NATO-ს უპირველეს მტრად აღიქვამდა და მასთან საბრძოლველად ამზადებდა საბჭოთა არმიას.

მაშინდელ საბჭოთა კავშირს უზარმაზარი ტერიტორიები და საზღვრები ჰქონდა, თუმცა, უშუალოდ NATO-სთან მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, სულ რაღაც 500-ოდე კმ-ის საერთო საზღვარი თუ ჰქონდა, საიდანაც 275 კმ სახელმწიფო საზღვრის საქართველოს, ხოლო დანარჩენი კი სომხეთის მონაკვეთზე მოდიოდა.

მიუხედავად ამისა, კრემლი შიშობდა, რომ მესამე მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში NATO-ს წევრი თურქეთის მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალები (და უპირველესად თურქეთის სახმელეთო ჯარების მე-3 საველე არმია) სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას ეცდებოდნენ.

სავარაუდოდ, „ცივი ომის“ დროს



ბუნკერებში დაყენებული ქვემეხი ჯავშანხუფით იყო დაცული

საბჭოთა სამხედრო სტრატეგები სამხრეთ კავკასიას არ განიხილავდნენ ძირითად თავდაცვით ზღუდედ და კავკასიის ქედის ბუნებრივი დამცველი ზღუდის იმედზე უფრო იყვნენ, თუმცა, უბრძოლველად სამხრეთ კავკასიის რეგიონის დატოვებას (მით უმეტეს, ბაქოს ნავთობრესურსების) არ აპირებდნენ.

თურქეთის არმიის შესაძლო შეტევისგან თავდასაცავი პირველი ზღუდეები უშუალოდ საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის საქართველოსა და სომხეთის მონაკვეთებზე გაკეთდა.

1991 წლისთვის ამ საზღვარზე ფუნქციონირებდა ოთხი გამაგრებული რაიონი, მათგან მე-6 და მე-8 საქართველოს ტერიტორიაზე იყო განთავსებული და 31-ე საარმიო კორპუსს (შტაბი ქუთაისში) ემორჩილებოდა, ხოლო მე-7 და მე-9 გამაგრებული რაიონები სომხეთში მე-7 ცალკეული არმიის დაქვემდებარებაში შედიოდა.



ასე გამოიყურებოდა „დოტი“ შიგნიდან

გამაგრებული რაიონების შექმნა სამხრეთ კავკასიაში სტალინისა და ბერიას ინიციატივით 1940 წლის მაისის გადაწყვეტილებით დაიწყო.

გამაგრებული რაიონი წარმოადგენს თავდაცვის ხაზს, რომელიც ინჟინრული სახითაა მომზადებული თავდაცვითი ბრძოლებისთვის და შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ჯავშანტექნიკის შესაჩერებლად.

ამისათვის გამაგრებულ რაიონში აწყობენ თავდაცვით ზღუდეებს, ამზადებენ მართვად და უმართავ ნაღმურ ველებს და რაც მთავარია, ხანგრძლივ საცეცხლე წერტილებს, რომლებიც მიწაშია ჩაფლული.

ამ საცეცხლე წერტილებში — ბუნკერებში სპეციალურად დაცულ ამბრაზურებში დამონტაჟებულია ტყვიამფრქვევები და ქვემეხები, რომელთა საშუალებით გამაგრებული რაიონების მებრძოლები აფერხებენ შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის წინსვლას.

1941 წლის 22 ივნისს, გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების შემდეგ, მთელ დასავლეთ ფრონტის გასწვრივ შავიდან ბალტიის ზღვამდე საბჭოთა კავშირს მოწყობილი ჰქონდა 40-მდე გამაგრებული რაიონი, რომლებშიც 2500-მდე რკინაბეტონის ბუნკერი იყო. ათასამდე ბუნკერში 45 მმ-იანი ქვემეხები იდგა, 1500-ში კი მხოლოდ ტყვიამფრქვევები.

სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო გამაგრებულმა რაიონებმა ეფექტურად ვერ შეასრულეს თავიანთი დანიშნულება, ხშირად




თავდაპირველად „დოტებში“ ასეთი 45 მმ-იანი კაზემატური ქვემეხები ეყენა

ეროვნული ბიბლიოთეკა



1976 წლიდან ვალეში, სოფელ წყალთბილასთან ДОТ-ებში ასეთი НСВ „Утес"-ის ტიპის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები დააყენეს

მათ გერმანული ვერმახტის ნაწილები გვერდს უვლიდნენ და ბრძოლაში არ ერთვებოდნენ, რათა შეტევის ტემპი არ გაენელებინათ.

საბჭოთა კავშირის ევროპული, ნაკლებად მთაგორიანი რელიეფისგან განსხვავებით, სამხრეთ კავკასიის მთებში შემოვლითი გზების პოვნა ბევრად ძნელია, რაც გაითვალისწინა საბჭოთა გენერალიტეტმა თურქეთის საზღვართან გამაგრებული რაიონების აგებისას.

სამცხე-ჯავახეთში გამაგრებული რაიონის ტერიტორიაზე გაითხარა სანგრები, ტრანშეები, ასევე, საცეცხლე ძელმიწურები (ხისგან აგებული მიწაში ნახევრად ჩაფლული საცეცხლე წერტილი) და ხანგამძლე საცეცხლე წერტილები.

ხანგამძლე საცეცხლე წერტილები მონოლითური ან ასაწყობი რკინაბეტონის ნაჭრებისგან კეთდებოდა, რომლებსაც დატანებული ჰქონდა სპეციალური ამბრაზურები ტყვიამფრქვევებისა და ქვემეხების სროლისათვის.

მე-6 გამაგრებული რაიონის დაცვა საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის საქართველოს მონაკვეთზე 48-ე და 54-ე ცალკეული სატყვიამფრქვევო-საარტილერიო ბატალიონებს ევალებოდათ.

გამაგრებულ რაიონში 40-იან წლებში ააგეს ДОТ-4 ტიპის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილები, რომლებიც 45 მმ-იანი კალიბრის ქვემეხებით იყო შეიარაღებული.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ ხანგამძლე საცეცხლე წერტილების შეიარაღება ჯერ 76 მმ კალიბრის კაზემატური ქვემეხებით შეცვალეს, ხოლო უფრო მოგვიანებით მათ შეიარაღებაში უფრო სრულყოფილი 85 და 100 მმ კალიბრის კაზემატური ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებიც გამოჩნდა.

1976 წელს თურქეთის საზღვართან განთავსებულ ხანგამძლე საცეცხლე წერტილებს რეკონსტრუქცია ჩაუტარეს და ქვემეხების ნაცვლად მხოლოდ ЕНСВ „Утес"-ის ტიპის 12,7 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევები დააყენეს სპეციალურ დაზგებზე, რომლებიც მიწაში ნახევრად ჩაფლული ბუნკერებიდან ეფექტურად სროლის საშუალებას იძლეოდა.

1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირი დაიშალა, თუმცა, უკვე დამოუკიდებელ საქართველოს საზღვართან თურქეთთან 1996 წლამდე მაინც რჩებოდნენ რუსი მესაზღვრეები, 2007 წლამდე კი რუსეთის არმიის 145-ე (ბათუმი) და 147-ე (ახალქალაქი) მოტომსროლელი დივიზიების ნაწილები ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ გამაგრებულ რაიონებს.

სავარაუდოდ, დღეს გამაგრებული რაიონების ინფრასტრუქტურა მოშლილია და მისი არსებობის საჭიროება არც არსებობს, რადგან საზღვრის მეორე მხარეს იმ NATO-ს წევრი თურქეთია, რომლის ალიანსშიც შესვლისკენაც მიისწრაფვის საქართველო.

***ირაკლი ალადაშვილი***



რკინაბეტონის ДОТ-ი (ხანგრძლივი საცეცხლე წერტილი) ტანკსაწინააღმდეგო „ზღარბებით"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ გჩუქნით წიგნებს!

## ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს

## იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

**გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი არსენალი და „პალიტრა მედიის" კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის წიგნი ბესტსელერები:**

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)




| მედია „პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

**დაგვიკავშირდით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი**
**ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge**

ს. 33/43

# ავტომატური რევოლვერი იტალიურად



„არსენალის“ ამ რუბრიკაში რვა წლის განმავლობაში რევოლვერების თემას ძალიან იშვიათად ვაშუქებდით. ალბათ, იმიტომ, რომ თითქმის ყველა რევოლვერის სქემა ერთმანეთს ძალზე ჰგავს.

ამჯერად ამ საეჭვო ტრადიციას დავარღვევთ და ჩვენს ერთგულ მკითხველს საინტერესო კონსტრუქციის იტალიურ რევოლვერზე, Mateba Model 6 Unica-ზე მოვუთხრობთ.

სახელი „რევოლვერი“ ამ ტიპის იარაღს დოლურას (რომელშიც ვაზნებია განთავსებული), ბრუნვის (revolving) გამო შეერქვა. რევოლვერები, ძირითადად, ორ სახედ იყოფოდა: ერთმაგი და ორმაგი მოქმედების პრინციპით. ერთმაგი მოქმედების პრინციპი ნიშნავს, რომ ყოველი ახალი გასროლის წინ მსროლელმა თითით უნდა გადასწიოს და შეაყენოს რევოლვერის ჩახმახი. ამ დროს მექანიკურად ხდება დოლურის ერთ ნაბიჯზე მოტრიალება. ეს მეთოდი, რა თქმა უნდა, არ გამოირჩეოდა დიდი სწრაფსროლით და დამახასიათებელი იყო უფრო მე-19 საუკუნის შუახანების რევოლვერებისთვის. თუმცა, მე-20 საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთის არმია პირველი მსოფლიო ომის დროს თავისი ჯარისკაცებისთვის სწორედ ასეთი ერთმაგი მოქმედების „ნაგანის“ ტიპის რევოლვერებს უკვეთდა იმ მოსაზრებით, რომ ნაკლებად მომზადებულ ჯარისკაცებს ბევრი ვაზნა არ გაეხარჯათ. ამასთან, რუსეთის არმიის ოფიცრებისთვის ორმაგი მოქმედების „ნაგანები“ იყო გათვალისწინებული.

ორმაგი მოქმედების რევოლვერებში ჩახმახის შეყენებისთვის აღარ არის საჭირო მისი თითით გადაწევა. ჩახმახის შესაყენებლად და შესაბამისად დოლურის დასატრიალებლად საკმარისია სასხლეტზე თითის დაჭერა. ეს, რა თქმა უნდა, ბევრად მოსახერხებელია და ამასთან, იზრდება სწრაფსროლის ტემპიც, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მნიშვნელოვნად იზრდება სასხლეტზე თითის დაწოლის ძალაც, რაც უარყოფითად მოქმედებს სროლის სიზუსტეზე.

**ჩვენი დოსიე:** იტალიური ავტომატურ-რევოლვერი Mateba Model 6 Unica 1250გ-ზე მეტს იწონის ვაზნების გარეშე. მისი სიგრძე 152 მ-იანი ლულით 275 მმ-მდეა. რევოლვერს შეიძლება დაუყენდეს 76, 102, 127, 152 ან 205 მმ სიგრძის ლულები. დოლურაში 6 ვაზნა ჩადის. რევოლვერზე შესაძლებელია .357Magnum-ის .44Magnum-ისა ან .454Casull-ის ტიპის ვაზნებისთვის განკუთვნილი დოლურებისა და ლულების მონაცვლეობა.

ანალოგიური პრობლემა ჩნდება პისტოლეტის შემთხვევაშიც, თუმცა, მხოლოდ პირველი გასროლის წინ, თუკი ჩახმახი დაშვებულია. პისტოლეტის შემდეგი გასროლები უკვე ნახევრად ავტომატურ რეჟიმში გრძელდება, როდესაც ყოველი გასროლის შემდეგ საკეტი წინ და უკან გადაადგილდება და ჩახმახს ავტომატურად შეაყენებს დაცემის რეჟიმში.

80-იანი წლების ბოლოს იტალიელმა მეიარაღე ემილიო გიზონიმ სცადა თავისი ახალი რევოლვერის სროლის მექანიზმი პისტოლეტისათვის მიეახლოებინა.

გიზონის Mateba Model G Unica-ს ავტომატური რევოლვერი ეწოდა, რადგან ვაზნებიანი დოლურის გადასატრიალებლად და ჩახმახის შესაყენებლად აღარ იყო საჭირო სასხლეტზე თითის დიდი ზეწოლით დაჭერა — გადატენას წინა გასროლის წარმოქმნილი დენთის აირები ასრულებდნენ, რომლებიც გასროლის შემდეგ უკან გადააადგილებდნენ რევოლვერის ჩარჩოს ზედა ნაწილს. იარაღის ზედა ჩარჩოზე დამონტაჟებული იყო ლულა და დოლურა, ხოლო ქვედა ჩარჩოზე კი დამშვები მექანიზმი და ხელის მოსაკიდი.



გადატენის ასეთი მექანიზმი რაც იტალიელმა კონსტრუქტორმა თავისი „მატებასთვის“, სავარაუდოდ, 1890-იანი წლების ბრიტანული ავტომატური რევოლვერისგან Werley-Fosbery-ისგან გადმოიღო, ძალიან წააგავს თვითდამტენი, ნახევრად ავტომატური პისტოლეტის მოქმედების პრინციპს, როდესაც ყოველი ახალი გასროლის წინ საკმარისია მხოლოდ სასხლეტზე თითის დაჭერა.

ამიტომაც იტალიური „მატებას“ მოხსენება მთლიანად ავტომატურ რევოლვერად ცოტა არასწორია და უფრო უპრიანი იქნება დასახელება — ნახევრად ავტომატური. მაგალითად, ავტომატური პისტოლეტის ცნება ნიშნავს, რომ სასხლეტზე დაჭერისა და თითის აუღებლად შეიძლება ავტომატურ რეჟიმში (ისევე როგორც პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებისა თუ ავტომატების) ყველა ტყვიის გასროლა, ხოლო თუკი ყოველი გასროლისთვის საჭიროა სათითაოდ სასხლეტზე თითის დაჭერა, მაშინ ეს სროლის ნახევრად ავტომატური რეჟიმია.

ასეა თუ ისე, იტალიური „მატება“ მართლაც გამოირჩევა თანამოძმე რევოლვერისგან როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებით.

ნახევრად ავტომატურ რეჟიმში სროლის შესაძლებლობა მსროლელს საშუალებას აძლევს, გაზარდოს სროლის ტემპი და სიზუსტე. ამასთან, „მატებას“ ლულაში ვაზნა დოლურას ქვედა სათავსიდან შედის, შესაბამისად, გასროლისას წარმოქმნილი უკუცემის ძალა უფრო ხელისგულისკენაა მიმართული, რაც ამცირებს რევოლვერის ლულის ზემოთ „აგდებას“.

იტალიელმა კონსტრუქტორებმა „მატება“ უნივერსალურობითაც „დააჯილდოეს“. ერთი რევოლვერის ბაზაზე სამი სხვადასხვა კალიბრის ლულისა და შესაბამისი დოლურების დაყენება შეიძლება, ხოლო ეგზოტიკური იარაღის მოყვარულებს კონსტრუქტორები 45 სმ სიგრძის ლულიან და კონდახიან რევოლვერ-კარაბინს სთავაზობენ.

მედალს ორი მხარე აქვს და არც „მატებაა“ უნაკლო. რევოლვერის გასაყიდი ფასი მწარედ „იკბინება“ და მისი სროლა ძლიერი მაჯის პატრონისთვის უფროა რეკომენდებული (დენთის აირებით ამოქმედებული გადატენის მექანიზმის გადაადგილებისას მსროლელს რევოლვერის ტარი კარგად უნდა ჰქონდეს ხელში დაჭერილი), რაც „მატებას“ ქალებისთვის ნაკლებად მომხიბლავს ქმნის.

თუმცა, პრობლემა სულ სხვა რამ არის, — ჩვეულებრივი კონსტრუქციის რევოლვერში თავისუფლად შეიძლება ერთი და იმავე კალიბრის, მაგრამ სხვადასხვა ფორმისა და სხვადასხვა სიმძლავრის ვაზნების გამოყენება, რადგან დოლურის გადატრიალება და ჩახმახის შეყენება მექანიკურად, სასხლეტზე თითის დაწოლით ხდება. თუკი „მატებას“ დოლურაში მისი პატრონი სუსტი ძალის ვაზნას მოათავსებს, გასროლისას წარმოქმნილი დენთის აირების წნევა არ იქნება საკმარისი უკან ბოლომდე გადასწიოს გადატენის მექანიზმი. შესაბამისად, არ დატრიალდება დოლურა, არც ჩახმახი შეყენდება და რევოლვერიც არ იქნება მზად ახალი გასროლისთვის.

***ირაკლი ალადაშვილი***



იტალიური „მატება“ ჰოლივუდური ბლოკბასტერების ხშირი სტუმარია



რევოლვერი გადახსნილი დოლურით (უკანა და წინა ხედი)

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

ISSN 1987 - 5061




# MATEBA MODEL 6 UNICA